# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 25 აპრილი 2000 №76 (1098) | ფასი 50 თეთრი


## ბათუმში დიდი ამბებია

საქართველოს ჩემპიონატი

გუშინ ბათუმში საქართველოს საკალათბურთო ჩემპიონატის ექვსეულის მერვე ტურის მატჩი „ბასკო“—„აზოტი“ სამი წინამორბედივით დაძაბული და ნერვული გამოდგა, ოღონდ ამჯერად „ბასკომ“ შედარებით იოლად სძლია მეტოქეს. სატურნირო თვალსაზრისით ლიდერთა ეს შეხვედრა დიდად მნიშვნელოვანი არ გახლდათ. ტურის ცენტრალური დაპირისპირება „ვითა“—სდასუ იყო. სტუდენტებმა 88:56 დაამარცხეს შვიდგზის ჩემპიონი და პრაქტიკულად გაინაღდეს პლეი ოფი. „ვითას“ საუკეთესო ოთხეულში გასვლის შანსი მთლად არ დაუკარგავს, საამისოდ მან ორივე დარჩენილი თამაში უნდა მოიგოს, ხოლო სდასუ-მ — ორივე წააგოს.


„სარბიელის“ საგანგებო კორესპონდენტის გიორგი ბიკაშვილის რეპორტაჟი ბათუმიდან ექვსეულის მეექვსე, მეშვიდე და მერვე ტურების შესახებ იხილეთ მეთოთხმეტე-მეთხუთმეტე გვერდებზე


საქართველოს ჩემპიონატი

### 8 ტური ექვსეული

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბასკო | 30 | 28 | 2 | 2745:2198 | 58 |
| აზოტი | 30 | 23 | 7 | 2638:2264 | 53 |
| სტუ | 30 | 22 | 8 | 2630:2177 | 52 |
| სდასუ | 30 | 18 | 12 | 2414:2258 | 48 |
| ვითა | 30 | 17 | 13 | 2425:2381 | 47 |
| მაკაბი | 30 | 14 | 16 | 2432:2276 | 44 |

საქართველოს 11 ჩემპიონატი

### 8 ტური

#### «ა» ზონა

22 აპრილი, შაბათი

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 1 |
| დინამო | 1 |
| კოლხეთი | 2 |
| ტორპედო | 1 |
| დილა | 1 |
| სიონი | 0 |
| იბერია | 0 |
| ბათუმი | 2 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 8 | 4 | 2 | 2 | 19:9 | 32 |
| დინამო | 8 | 3 | 5 | 0 | 9:1 | 31 |
| ბათუმი | 8 | 5 | 1 | 2 | 14:3 | 29 |
| ვიტ ჯორჯია | 8 | 4 | 4 | 0 | 7:3 | 28 |
| კოლხეთი | 8 | 3 | 2 | 3 | 7:7 | 24 |
| სიონი | 8 | 2 | 1 | 5 | 9:15 | 18 |
| იბერია | 8 | 2 | 1 | 5 | 5:19 | 16 |
| დილა | 8 | 1 | 0 | 7 | 6:19 | 13 |

#### «ბ» ზონა

22 აპრილი, შაბათი

| | |
|---|---|
| სამგურალი | 3 |
| თსუ | 1 |
| გორდა | 3 |
| არსენალი | 0 |
| ხობი | 0 |
| ლოკომოტივი | 7 |
| მერანი | 4 |
| თბილისი | 0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მერანი | 8 | 6 | 2 | 0 | 10:1 | 28 |
| ლოკომოტივი | 8 | 5 | 2 | 1 | 14:2 | 26 |
| გორდა | 8 | 5 | 1 | 2 | 12:3 | 24 |
| თსუ | 8 | 5 | 0 | 3 | 11:7 | 23 |
| სამგურალი | 8 | 3 | 2 | 3 | 8:6 | 17 |
| არსენალი | 8 | 2 | 0 | 6 | 7:16 | 11 |
| თბილისი | 8 | 1 | 1 | 6 | 5:14 | 11 |
| ხობი | 8 | 1 | 0 | 7 | 7:25 | 8 |

პირველი ეტაპის ქულები განახევრებულია

## ოთხეულის ვნებანი



შაბათს მცხეთაში: „ვიტ ჯორჯია“ — „დინამო“ 1:1.
„დინამოს“ კარში გოლის გამტან გიორგი ქორიძეს ვალტერ გუჩუა მეურვეობს

*მეორე ეტაპის მეორე წრის დაწყებამ ისეთი სენსაცია გამოაცხო, ჩემპიონობის შანსი ერთბაშად ოთხ გუნდს გაუჩნდა. „კოლხეთისგან“ ძლეულმა „ტორპედომ“ გაზაფხულზე უკვე 10 ქულა დაკარგა, ისევე როგორც „დინამომ“, რომელმაც „ვიტ ჯორჯიას“ ქულა მატჩის დამთავრებამდე ათი წუთით ადრე გამოგლიჯა. სამტრედიაში მოგებით ოთხეულში მესამეზე აინაცვლა „ბათუმმა“, შაბათს ქუთაისში „ტორპედოს“ რომ უნდა ესტუმროს. „დინამო“ კი აღდგომის წინა დღეს „ბათუმის“ და „ტორპედოს“ მომგებ „კოლხეთს“ უმასპინძლებს.*


იხილეთ მეორე, მესამე და მეოთხე გვერდები


## ქართველები მოდიან! ერევანში ბუმია



საქართველოს ეროვნული ნაკრები დიღომში გუშინდელი ვარჯიშისას

საქართველოს ნაკრებთან სახვალიო ამხანაგური მატჩისთვის სომხების მწვრთნელმა ვარუჟან სუკიასიანმა ყველა საუკეთესოს უხმო და „რაზდანზე“ მასპინძლობა უძლიერესი შემადგენლობით გადაუწყვეტია.

ჩვენი ეროვნული გუნდი კი, რომელიც დღეს ერევანს ქუთაისის „ტორპედოს“ კუთვნილი ავტობუსით გაემგზავრა, ერთობ გადახალისებულია. უწინდელთან შედარებით სასომხეთო შემადგენლობაში ბევრი ცვლილებაა. საქართველოს ნაკრები არველაძეების, ქეცბაიას, კალაძის, ჯამარაულისა და თარხნიშვილის გარეშე ითამაშებს. ნაკრების სხვა გამოცდილ წევრებზე ალარაფერს ვამბობთ, რადგანაც ადრევე გადაწყდა, რომ ისინი სომხეთში არ ითამაშებდნენ. კობიაშვილი, იაშვილი, ქინქლაძე ნაკრების მწვრთნელთა თანხმობით თავიანთ კლუბებში დარჩებიან, ზაზა ჯანაშია კი ტრავმირებულია.

ეროვნული გუნდი ერევანს ნაკრებში აქამდე უთამაშებელი რამდენიმე ფეხბურთელით შევსებული ეწვევა. რევაზ ძოძუაშვილსა და დავით ყიფიანს მეზობლად სამი მეკარით ჩასვლა ჩაუფიქრებიათ. სოსო გრიშიკაშვილსა და დავით გვარამაძეს „ვიტ ჯორჯიას“ სერგო ჭურაძე დაემატება. ნაკრებში პირველად თამაშის შანსი ექნებათ ასევე ვიტელს, მცველ სევასტი თოდუას, „ლოკომოტივში“ ძოძუაშვილის შეგირდ ლევან მიქაძესა და „დინამოს“ თავკაც ოთარ კორღალიძის ლატვიის „სკონტოში“ მოთამაშე ვაჟს, ლევანს. დანარჩენებიდან, რომლებიც მათთან ერთად გუშინ დილმის საწვრთნელ ბაზაზე ვარჯიშობდნენ, ზოგს ბევრჯერ, ზოგსაც ერთი-ორჯერ მაინც ეცვა ეროვნული გუნდის მაისურა: გივი დიდავა, გიორგი ნემსაძე, ზურაბ ხიზანიშვილი, გიორგი ჩიხრაძე, თენგიზ სიჭინავა, ალექსანდრე რეხვიაშვილი, ზურაბ მენთეშაშვილი, ზურაბ იონანიძე, დავით ჩალაძე, რატი ალექსიძე — მათ წუხელ კიევიდან გამოფრენილი გიორგი დემეტრაძე უნდა შემატებოდათ, მიხეილ ყაველაშვილი კი გუნდს ერევანში დახვდება. ძოძუაშვილი და ყიფიანი 19 ფეხბურთელს იახლებენ.

ახლა იმათზე, ვინც თბილისში ვერ ჩამოვიდა. კახი კალაძეს უკრაინის ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩში ფეხი დაშავებია, ნატკენ ადგილას სისხლი ჩაქცევია. თბილისში მაინც მოდიოდა, მაგრამ ყიფიანის რჩევით კიევში დარჩენილა. ასევე ტრავმირებულნი ყოფილან მოლდოვის „შერიფის“ მცველი ვაჟა თარხნიშვილი და „ნიუკასლის“ თავდამსხმელი თემურ ქეცბაია. არჩილ არველაძისა და გოჩა ჯამარაულის მოწვევა მწვრთნელებს შეგნებულად გადაუფიქრებიათ, წლეულს ისინი კვიპროსის ტურნირზეც გამოვიძახეთ, ისრაელში მატჩისთვისაც და, ახლაც რომ ჩამოსულიყვნენ, წლეულსვე დაგეგმილი რომელიმე ამხანაგური მატჩი უნდა გამოეტოვებინათ, უეფას ხომ ფეხბურთელთა ნაკრებში გამოძახება ლიმიტირებული აქვსო, გვითხრეს მწვრთნელებმა. შოთა არველაძის ჩამოუსვლელობა კი ნაკრების თავკაცებმა მისი ჩვეულ სათამაშო ფორმაში არყოფნით ახსნეს. თანაც „აიაქსის“ ხელმძღვანელებს უთხოვიათ, ჩემპიონატში მეორეობისთვის ვიბრძვით და შოთას იმედი გვაქვსო.

სომხეთში კი ბუმია. იქაურ ფეხბურთის ფედერაციას ამ თამაშის პირდაპირი ტელეტრანსლაციის უფლება სომხური პირველი არხისთვის არ მიუცია და რეპორტაჟს ერთ-ერთი სომხური საკაბელო არხი გადასცემს. დღეს 18 საათზე ქართველები „რაზდანზე“ ივარჯიშებენ. მერე ორივე გუნდის მწვრთნელები იქვე პრესკონფერენციას გამართავენ.

ჯობა ინასარიძე

საქართველოს ჩემპიონატი 11 მეორე ეტაპი

8 ტური

# უსენსაციოდ ინტრიგა დაგვრჩა

მცხეთა
22 აპრილი
16 საათი
არმაზი
3 000 (ტევადობა 3 000)

**ვიტ ჯორჯია 1:1 დინამო**

1:0 ქორიძე (29), 1:1 დათუაძე (80)
**ვიტ ჯორჯია:** ჭურაძე, ჯ. მუჯირი, ჭანკოტაძე, თოდუა, საჯაია, ლ. ნოზაძე, ი. ხაჭაპურიძე (კობიაშვილი 25), დ. დოლიძე, კოტორაშვილი (დილმელაშვილი 65), გიორგი ქორიძე, ვ. გოჩაშვილი (ზ. გვაზავა 73)
*სათადარიგონი:* მამარდაშვილი; მორჩილაძე, რ. გოცირიძე
**დინამო:** გრიშიკაშვილი, ვაშაკიძე, დიდავა, ა. სახვაძე, ნემსაძე, რუხაძე (ანჩაბაძე 46), მინაშვილი, სიჭინავა (ზირაქიშვილი 58), არველაძე (დათუაძე 35), გ. შენგელია, გუჩუა
*სათადარიგონი:* ა. ჩიხრაძე; ქემოკლიძე, შელია, შაშიაშვილი
**გაფრთხილება:** დათუაძე (88)
**მსაჯები:** მ. მალალურაძე; მ. ელიკაშვილი, ლ. სილაგავა (ყველა თბილისი); ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო

**მამუკა კვანტალიანი** მცხეთიდან

ვინც ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს სისტემატურად არ ადევნებს თვალს, მან მთლად კარგად არ უწყის, რა დაბალი დონისაა საქართველოს საფეხბურთო გათამაშება.

ამ სიტყვების სიმართლეში კიდევ ერთხელ დარწმუნდა შაბათს, მცხეთაში ფეხბურთის სანახავად მისული 3 ათასი გულშემატკივარი.

მე არ ვიტყვი, რომ თამაში დაძაბული არ იყო. ისევე, როგორც ჩემპიონატს, სიმწვავე არც მცხეთურ მატჩს ჰკლებია, მაგრამ უშუალოდ მინდორზე ვერაფერი ვიხილეთ საიმედო. მეთერთმეტე ეროვნული მხოლოდ შიშველი ინტრიგალაა, მეტი არაფერი. ვერსად იხილავთ გამართულ ტაქტიკურ ნააზრევს, უზადო ტექნიკას და ბოლომდე დაულალავად ბრძოლას.

მიყოლებით მესამე პრინციპული მატჩის ჩამტარებელ „ვიტ ჯორჯიას" ათი წუთიც რომ გაეძლო, კოტრიკაძის ბიჭები „დინამოს" ბეჭებზე დასცემდნენ და ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე მხოლოდ თავად დარჩებოდნენ დაუმარცხებელნი. მარტო გამარჯვება რა მოსატანია, მოგებით ვეტერინარები საჩემპიონოდ ხმამაღალ განაცხადს გააკეთებდნენ და მერე ვინ იცის, თუ ღმერთიც გადმოხედავდათ...

ათი წუთი დააკლდა ოცნების ასრულებას და სენსაციას. „ვიტ ჯორჯია" და „დინამო" საბოლოოდ მშვიდობით გაიყარნენ, ალბათ, ეს ლოგიკური შედეგი იყო.

გუშინწინდელი მატჩი სტუმარ-მასპინძლისთვის საუკეთესო ნამდვილად არ გახლდათ. „ვიტ ჯორჯიას" გაცილებით უკეთ გარჯა შეუძლია, „დინამოს" კი... ნუთუ ის „დინამო" იყო, შაბათს მცხეთაში რომ ვიხილეთ?!

ვეტერინარებს კარგი მეკარე და ძლიერი უკანა ხაზი ჰყავდათ, ამიტომ თავიდანვე კონტრშეტევებს რომ მიეძალნენ, არავის გაკვირვებია.

ჩემპიონები სწრაფი გოლის გატანას ესწრაფვოდნენ, მერე ბურთის დაჭერით გალევდნენ დროს და დარჩებოდა „ვიტ ჯორჯია" ხელცარიელი.

საწყისი თხუთმეტი წუთი „დინამოს" სრული უპირატესობით აღინიშნა. გიორგი ყიფიანის არყოფნაში მასპინძელთა შუა ხაზს გაუჭირდა და ნემსაძე-არველაძის ძალისხმევით სტუმართა ნახევარდაცვაც მძლავრობდა. „დინამო" თუ მოიგებდა, სწორედ შუახაზის გამოხდომებით, თორემ ჩემპიონებს თავდასხმა თითქმის არც ჰყავთ.

ამ დროის მანძილზე რევაზ არველაძეს ორჯერ და გიორგი შენგელიას შეეძლოთ გატანა, მაგრამ ნახევარმცველმა ზუსტად ვერც ერთხელ დაარტყა, თავდამსხმელს კი ჭურაძემ აუღო ურთულესი ბურთი.

არველაძე მანამ ნავარდობდა მასპინძელთა ნახევარზე, სანამ მისი მეურვე ხაჭაპურიძე კოტრიკაძემ კობიაშვილით არ შეცვალა. ამის მერე „ვიტ ჯორჯიაც" გონს მოეგო, არველაძეც ჯერ დაიღალა, მერე გაუგებარ ვითარებაში გაუგებარი ტრავმა მიიღო და...

მასპინძლებმა პირველივე სერიოზული შეტევა გოლად აქციეს. სტუმართა დაცვაში ყველაფერი დალაგებული რომ არ იყო, მაშინ გამოჩნდა. ღმერთმა უწყის, ვინ რამდენჯერ შეეხო ბურთს, სანამ საჯარიმოში გოჩაშვილს მიუვიდოდა. გოჩაშვილის დარტყმულს, ვარდნაში ვაშაკიძე გადაეღობა, მაგრამ ბურთი ქორიძეს მიუგორდა და წამის შემდეგ მასპინძლებმა გაიხარეს.

„დინამოს" ყოველგვარი მცდელობა, მეტოქესთვის თავისი თამაში თავს მოეხვია, უშედეგოდ დასრულდა და მალალურაძემაც დასვენება ბრძანა.

მეორე ტაიმში გუნდებს აშკარად დაეტყოთ დაღლა. ეს განსაკუთრებით ბოლო ოც წუთს შეინიშნებოდა.

მასპინძლებს გატანა ორჯერ შეეძლოთ. პირველად დილმელაშვილმა ააცილა თავური ხელსაყრელი მდგომარეობიდან, მერე ვიტელთა კარგი კომბინაცია გვაზავამ დაასრულა ძლიერი დარტყმით, თუმც გრიშიკაშვილმა საიმედოდ ითამაშა.

„დინამოს" შეტევებს მეორე ტაიმში გამოჩენილი ანჩაბაძე უძღვებოდა. ჰოდა, მას უნდა უმადლოდეს კორღალიძე, მცხეთიდან მთლად ხელცარიელი რომ არ წამოვიდა. მართალია, გოლი დათუაძემ გაიტანა, მაგრამ ანჩაბაძე „დინამოს" ერთადერთი ნათელი წერტილი იყო.

ზემოთ დათუაძე და მის მიერ გატანილი გოლი ვახსენეთ, მაგრამ მანამდე ერთი საგოლე მომენტიც იყო. მასპინძელთა დაცვის ერთადერთი შეცდომა შენგელიამ ვერ გამოიყენა — მეკარესთან პირისპირ დარჩენილს ჭურაძემ აჯობა.

დინამოელმა დათუაძემ კი საჯარიმოს გარედან ზუსტი და მეკარესთვის უხერხული დარტყმით გაიტანა. მან აშკარად ფორმიდან ამოვარდნილი მინაშვილისა და სუსტად მოთამაშე შენგელიას საკეთებელი იტვირთა.

დარჩენილ დროში თითქოს ორივე გუნდმა მოინდომა, მაგრამ ჯანგამოლეულებს არაფრის შეცვლა აღარ ძალუძდათ.

ბოლოს მსაჯობაზეც ვთქვათ. მასპინძლები მალალურაძის მადლიერები არ იყვნენ. განსასჯელად იოლი შეხვედრა არ იყო და არბიტრის ქმედებასაც, ალბათ, სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტი შეაფასებს, მაგრამ თავს უფლებას მივცემ და მალალურაძის ორ გადაწყვეტილებას არ დავეთანხმები.

პირველი: ქორიძის ერთ-ერთი გარღვევისას თავდამსხმელი მცველ დიდავას დაუპირისპირდა. „დინამოს" კაპიტანმა სწრაფი მომხდურის წინაშე ვერაფერი რომ ვერ გააწყო, ეუხეშა და წააქცია. წითელის თუ არა, ყვითელი ბარათის ჯიბიდან ამოღებას წინ რაღა ედგა, გაუგებარია.

მეორე: სანამ დათუაძე გოლს გაიტანდა, მეც და ტრიბუნაზე მსხდომთაც მოგვეჩვენა, რომ ზირაქიშვილს ხელზე მოხვდა ბურთი, უბრალოდ, ვერ დაიმორჩილა იგი. მსაჯის სასტვენი ისევ დუმდა.

რაც შეეხება იმ სადაო მომენტს, როცა გრიშიკაშვილთან თითქმის პირისპირ გასული ქორიძე ელიკაშვილის აღმართულმა დროშამ და მალალურაძის სასტვენმა ერთდროულად შეაჩერა, ამაზე ვერაფერს მოგახსენებთ, მეტად შეუფერებელი ადგილიდან ვადევნებდი თვალ-ყურს ყოველივეს. პრესლოჟაში მსხდომი ჟურნალისტები იმ ეპიზოდს კარგად ვერ ვხედავდით.

„დინამომ" არ წააგო, „ტორპედოსთან" სხვაობა ერთ ქულამდე შეამცირა, მაგრამ „ბათუმი" ძალიან მიიახლოვა.

„ვიტ ჯორჯია" ჯერაც დაუმარცხებელია, თუმც ფრემაც დიდად ვერ არგო. ვეტერინარებს კარნევალის გუნდმა გაუსწრო და მეოთხე ადგილზე დააქვეითა.



[illegible] მცხეთიდან

დინამოელი გიორგი ანჩაბაძე შაბათს ყველასგან გამოირჩეოდა

# ღმერთი არ გწირავდეს და...

ფოთი
22 აპრილი
16 საათი
ფაზისი
1 500 (ტევადობა 6 500)

**კოლხეთი 2:1 ტორპედო**

1:0 ხვადაგიანი (28 ს.კ.), 2:0 გვასალია (78), 2:1 ხვადაგიანი (82)
**კოლხეთი:** ქვაჩახია, გოროზია, ტორჩინავა, დავითნიძე, ფანჩულიძე, ტრაპაიძე (ახალკაცი 88), კიკლიაშვილი, ხუჭუა (გ. ჩიტაია 76), ე. გვასალია, მ. ქობულაძე, შალამბერიძე
*სათადარიგონი:* მ. გვასალია; შავგულიძე, ქუნთელია, კედელაშვილი, ღაღანიძე
**ტორპედო:** ზოიძე, შეყრილაძე, მახვილაძე, ხვადაგიანი, მაღლაკელიძე (გოგიაშვილი 79), ახვლედიანი (მ. ბობოხიძე 65), კ. კვეტენაძე, ასათიანი (მედოევი 55), ჩხეტიანი, მეგრელაძე, იონანიძე
*სათადარიგონი:* ჭანტურია; თავბერიძე, თურმანიძე, ამისულაშვილი
**მსაჯები:** თ. ლაცაბიძე (სურამი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); კ. მესხი (ზუგდიდი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** მ. მიმინოშვილი

**იუზა კაციტაძე** ფოთიდან

დღეს 25 აპრილია, ხვალ კიდევ 26. ასეა და ზუსტად თვე შესრულდება, რაც მეთერთმეტე ეროვნულის უდავო ფავორიტად მონათლული გუნდი ქულების ფლანგვას შეუდგა. დიახ, ერთი თვის წინ იყო „დინამოსთან" გასაკვირად მხდალმა თამაშმა „ტორპედოს" ორი ქულა დააკარგვინა. არადა, ათგზის ჩემპიონთან გამარჯვების შემთხვევაში ქუთაისელებს საპატიო კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხურისკენ მიმავალ გზაზე მწვანე ენთებოდათ. ვერ გამოიყენა „ტორპედომ" ეს შანსი და, ალბათ, ამიტომაც ისჯება ახლა ასე მწარედ. ჩემპიონობაზე მეოცნებე გუნდის ზარალმა ერთ თვეში 10 ქულა(!?) შეადგინა. „დინამოს" შემდეგ „ბათუმთან" მარცხი იყო. „ტორპედო" მაშინაც დაცვითმა ტაქტიკამ დაღუპა. მცხეთაში იყო და „ვიტ ჯორჯიასაც" დამფრთხალნი ეთამაშნენ იმერლები, ვეტერინარებს დამატებულ დროში გაათანაბრებინეს ანგარიში. როგორც ხედავთ, „ტორპედომ" ვერცერთი პრინციპული მატჩი ვერ მოიგო, მთავარ კონკურენტებს უხეიროდ ეთამაშა, თუმც ჩემპიონატის მეორე ეტაპის პირველი წრე მაინც ლიდერად დაასრულა.

ჩანს, ღმერთი არ წირავს „ტორპედოს", მაგრამ რაღ გინდა, გუნდი თავად ითხრის სამარეს. გასულ შაბათს ქუთაისური კლუბი ფოთს ეწვია და... ძვირადღირებულ სამ ქულას შეელია.

ბევრი მწარე, უცერემონიო რეპლიკის მოსმენა მოუხდა „ფაზისზე" მრავლად თავშეყრილ „ტორპედოს" ქომაგებისგან დავით ყიფიანს. ამათ მოთმინების ფიალა ავსებიათ და გუნდის ბოლოდროინდელ წარუმატებლობებზე სწორედ მას, მთავარ მწვრთნელს თხოვენ პასუხს.

ზღვისპირელები საბრძოლო შემადგენლობით დაუხვდნენ სტუმრებს და თამაშის დასაწყისშივე აგრძნობინეს მათ, რომ არავითარ შეღავათს არ გაუწევდნენ. „კოლხეთის" აქტიურობას უკვე მესამე წუთზე შეიძლებოდა გამოელო ნაყოფი. ტრაპაიძე აღმოჩნდა ხელსაყრელ პოზიციაში, მაგრამ მეკარის ბაქნის კუთხიდან არაზუსტად დაარტყა. ხუთ წუთში ხუჭუამ ქუთაისელთა საჯარიმოს წინა ხაზიდან შემობრუნებით გაგზავნა კარისკენ, მაგრამ მასაც აუცდა. ამას მალე შალამბერიძის შორეული დარტყმაც მოჰყვა და სტუმრები ამ ეპიზოდშიც გადაურჩნენ ხიფათს, ბურთმა ძელს ჩაუქროლა. წუთში ქუთაისელებმაც იძალეს და პირველ ტაიმში ერთადერთი ხეირიანი კონტრშეტევა განახორციელეს, ოღონდ მეგრელაძის საჯარიმოს კუთხიდან დიაგონალურად დარტყმულიც არაზუსტი გამოდგა. დიახ, შესვენებამდე სტუმრებს კოლხთა დაცვა მეტად აღარ შეუწუხებიათ და უფრო საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავდნენ.

„კოლხეთს" მყარად ეპყრა თამაშის სადავეები. მასპინძელთა ნახევარდაცვა აშკარად სჯაბნიდა სტუმრებისას, უფრო გააზრებულად, გამიზნულად მოქმედებდა და გადამწყვეტიც სწორედ ეს ფაქტორი აღმოჩნდა. კოლხნი 28-ე წუთზე დაწინაურდნენ. „ტორპედოს" კარიდან დაახლოებით 35 მეტრში ჯარიმა დაინიშნა. შალამბერიძემ არცთუ ძლიერად კარისკენ გაგზავნა ბურთი, საჯარიმოს წინა ხაზთან სტუმარ მცველთა გარემოცვაში კარისკენ ზურგშექცევით მდგარმა ელდარ გვასალიამ ქუსლით გაატარა ბურთი და... ხვადაგიანმა უნებლიედ იგი საკუთარი კარის მარცხენა კუთხეში ჩაჭრა. ზოიძეც ამ მომენტში საწინააღმდეგო მიმართულებით გადამხტარიყო და, ბუნებრივია, საქმეს აღარ ეშველა.

„ტორპედომ" ვერც მდევრის როლში ააწყო თამაში. წინ წაწეულ მეგრელაძეს და იონანიძეს რომ არაფერი გამოსდიოდათ, არც იყო გასაკვირი. ამათ, ფაქტობრივად, დახმარება არ ჰქონდათ. ნამეტანი უსუსურად გამოიყურებოდა ქუთაისელთა ნახევარდაცვა. ასე განსაჯეთ, „ტორპედოს" წინახაზელებს ერთი ხეირიანი პასიც არ ღირსებიათ. მასპინძლებმა გოლის შემდეგაც არ მოიშალეს თავისი, ჯიუტად მიიწევდნენ წინ და 35-ე წუთზე ანგარიშის გაორების კარგი შანსიც მიეცათ. გვასალიას ჩაწოდებულზე ქობულაძე გავიდა კარგად და თაურიც შეაგება, მაგრამ ოდნავ მაღალი გამოუვიდა.

მწვრთნელი იმისთვისაცაა, რომ საჭიროების შემთხვევაში თამაშში კორექტივები შეიტანოს. დავით ყიფიანს არ ესწავლება, საკუთარი გუნდის თამაშში ნაკლს ყველაზე მეტად ის ხედავდა. „ტორპედოს" აშკარად აკლდა გამთამაშებელი, პასის გამცემი. ასეთად კი გუნდში გიორგი გოგიაშვილი ითვლება. ვერ დავიჟინებთ, მაგრამ, ალბათ, უპრიანი იქნებოდა სამეორტაიმოდ მისი მოედანზე გამოყვანა, მაგრამ სხვაგვარად განსაჯა მწვრთნელმა. „ტორპედომ" იგივე შემადგენლობით და იგივე სათამაშო სქემით განაახლა მატჩი. ამით რა? 52-ე წუთზე სტუმრებს ანგარიშის გათანაბრების შასაძლებლობა მიეცათ, ოღონდ ქობულაძემ შეძლო კარში მიმავალი ბურთის მოგერიება. საკუთრივ თამაში კი ისევ კოლხთა უპირატესობით გრძელდებოდა. მერე ყიფიანმა თითქოსდა თავდასხმა გააძლიერა, ათწუთიან ინტერვალში ასათიანს და ახვლედიანს შესაბამისად მედოევი და ბობოხიძე შეუნაცვლა, მაგრამ, ალბათ, არ ეწყინებათ ზაზას და მიხეილს, სოლსკიაერი არც ერთია და არც მეორე, ძალზე საეჭვო იყო, ამათ თამაში შემოებრუნებინათ. თუმცა, მწვრთნელს უკეთ მოეხსენება...

66-ე წუთზე ქუთაისელთა კართან აშკარა საგოლე სიტუაცია შეიქმნა. შალამბერიძის მიერ „ტორპედოს" საჯარიმოში ჩაწოდებულს ქობულაძის უძლიერესი თავური მოჰყვა, მაგრამ აქ ზოიძემ იყოჩაღა, უძნელესი ბურთი მოიგერია. ამ ეპიზოდს მოყოლილ სამ წუთში ჯერ ხვადაგიანის თავური ასცდა მცირედით კოლხთა კარის ძელს, მერე კი გვასალიასი. ამ ეპიზოდში არა და, ელდარმა რამდენიმე წუთში მაინც დაამწუხრა ქუთაისელები. ამ თამაშში ლიბეროდ(?) გამწესებულმა ხვადაგიანმა მარჯვენა ფლანგიდან ჩაწოდებული ბურთის შეჩერება ვერ შეძლო, იგი ტრაპაიძეს მიუვიდა, გოჩამ ოდნავ წინ წაიწია და თუმც ახლოდან, მაგრამ საკმაოდ მახვილი კუთხიდან დაარტყა კარში, ზოიძემ ბურთი კი მოიგერია, მაგრამ გადმოვარდნილს უყურადღებოდ დატოვებულმა გვასალიამ მიუსწრო და გატანა არ გასჭირვებია.

„ტორპედომ" მეორედ უკვე გოგიაშვილთან ერთად დაიწყო ცენტრიდან. რაღაც სამ წუთში ჩხეტიანის ფლანგიდან ჩაწოდებულს ხვადაგიანმა მაღალ ნახტომში ზუსტი თავური შეაგება და სტუმრებმა ერთი გაქვითეს.

ქუთაისელებს მატჩის ხსნის იმედი გაუჩნდათ, მაგრამ... „კოლხეთი" ბოლო წუთებშიც ვარგობდა და კინაღამ მესამეც გაიტანა. ჩიტაია — ქობულაძე — გვასალიას კომბინაციას 88-ე წუთზე ეს უკანასკნელი აგვირგვინებდა, მაგრამ ზოიძემ შეუშალა ხელი.

ზღვისპირეთში ქუთაისელთა ეს ვოიაჟიც ფიასკოთი დასრულდა. არა, ღმერთი არ წირავს „ტორპედოს". ამ ტურში „დინამომაც" დაჰკარგა ქულები და ყიფიანის გუნდმა ლიდერობა შეინარჩუნა. საკითხავია, როდემდე?



ნუგზარ კითიაშვილის ფოტო

მაჭავარიანმა (№5) და ბათიაშვილმა დუბლის გამტან დევიძის ეს იერიში მოიგერიეს

# პირველ ლიგაში რა უნდა?!

თბილისი
22 აპრილი
16 საათი
სინათლე
500 (ტევადობა 3 000)

**მერანი 4:0 თბილისი**

1:0 კაკაბაძე (6), 2:0 დავითაშვილი (22), 3:0, 4:0 დევიძე (35, 71)
**მერანი:** ნაჭყეპია, ცქიფურიშვილი, დევიძე, ილურიძე, დავითაშვილი (ჯიშკარიანი 66), ხორხელი (ივანიშვილი 46), კაკაბაძე (კობესაშვილი 57), ჭინჭარაული, გუჯაბიძე, კარიაული, როსტიაშვილი
*სათადარიგონი:* კოროშინაძე; ლურსმანაშვილი, ლ. თოლორდავა, ამბიძე
**თბილისი:** ბათიაშვილი, ზამთარაძე, მაჭავარიანი, პაპიძე (ყუფარაძე 50), ზვ. ლაბაძე, დ. ტყებუჩავა (თ. მაისურაძე 46), ბარნოვი, ჩივაძე (კოხრეიძე 46), ი. შენგელია, ლოლაძე, გადელია
*სათადარიგონი:* მამალაძე; ძაგნიძე, კანდელაკი
**გაძევება:** ილურიძე (40)
**მსაჯები:** ა. შილაკაძე; ვ. ჩოჩიშვილი, ზ. დოლიძე; თ. ფანიაშვილი (ყველა თბილისი
**სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. ამირეჯიბი

**ვანო ოქროპირიძე**

ეჰ, ვინ იცის, დავით ფურცელაძე რომ „მერანის" სათავეში ოდნავ ადრე მისულიყო, იქნებ ავჭალელები ახლა „ა" ზონაშიც ყოფილიყვნენ. მეორე ეტაპზე თუ რომელიმე გუნდი გამოირჩევა კარგი თამაშით, მათ შორის ერთ-ერთი უდავოდ „მერანია". სერგო გაბელაიას შეგირდებმა მეორე ეტაპზე დასახული ამოცანა დიდი ხანია, გადაჭრეს, გავარდნა აღარ ემუქრებათ. ეგ კი არა, მერანელები „ბ" ზონას ლიდერობენ და რაც მთავარია, კარგ ფეხბურთსაც თამაშობენ.

ავჭალელებს თუ შაბათამდე ვინმე რამეს უსაყვედურებდა, ეს არცთუ მაღალი შედეგიანობა იყო. მართლაც, წინა ხუთ მოგებულ მატჩში „მერანს" სულ ექვსი გოლი გაეტანა, თუმცა გაშვებითაც მხოლოდ ერთი გაეშვა. ამ შაბათს ეს ხარვეზიც გამოასწორეს ექსტრანსპორტელებმა, „თბილისს" ოთხი უპასუხო ბურთი შეუგდეს და პირველ ლიგაში დარჩენის თეორიული შანსი კიდევ უფრო შეუმცირეს, თანაც ეს ძალების მინიმალური დახარჯვით შეძლეს.

ჯერ სრული შემადგენლობით მოთამაშე „თბილისი" რა სანახავია და ორი ლიდერის — დისკვალიფიცირებული ბურდულისა და გონჩაროვის გარეშე მყოფი რა იქნებოდა, თავად განსაჯეთ. არადა, მთლიანად გუნდის შემადგენლობას თუ გადავხედავთ, „დინამოს" შეილობილს ლიგაში ყოფნა-არყოფნის პრობლემა არ უნდა აწუხებდეს.

თამაში სტუმრების უპირატესობით დაიწყო, თუმცა გოლი საკუთარ კარში მიიღეს. ჭინჭარაულმა თავისივე ნახევრიდან თავური პასით კაკაბაძე მეკარესთან პირისპირ დატოვა. „მერანის" თავდამსხმელი საჯარიმოში შევიდა, ბურთი კარგად გაისწორა და ძლიერი დარტყმით ბათიაშვილს ცხრიანში გაუტანა. ეს მეექვსე წუთზე მოხდა. შემდეგ „სინათლეზე" სიმშვიდემ დაისადგურა. გუნდები მინდვრის ცენტრში აგორებდნენ ბურთს. ასე გაგრძელდა 22-ე წუთამდე, მერე კი მასპინძლებმა პირველის ტყუპისცალი კომბინაცია გაითამაშეს. ჭინჭარაულმა თავისივე ნახევრიდან თავური პასით (მეორედ!) ამჯერად დავითაშვილი შეატოვა სტუმართა კარის დარაჯს, ანგარიშიც 2:0 გახდა „მერანის" სასარგებლოდ. მერე დავითაშვილმა პარტნიორს ვალი გაუსტუმრა, ბათიაშვილთან ერთი-ერთზე გაიყვანა, მაგრამ ჭინჭარაულმა ვერ ივარგა, მეკარეს ბურთი კი გადაუგდო თავზე, მაგრამ მიზანსაც ააცილა. სამაგიეროდ, დევიძემ იყოჩაღა. სოსომ დავითაშვილის კუთხურიდან ჩაწოდებულს ადგილი კარგად შეურჩია და ძლიერი თავურით ყველაფერს ნათელი მოჰფინა — 3:0. ამის შემდეგ მასპინძლები მოეშვნენ, თუმცა „თბილისმა" ამით ვერ ისარგებლა. პირველი ნახევრის ბოლო შვიდ წუთში სტუმრები სამჯერ აღმოჩნდნენ მეკარესთან პირისპირ: პაპიძემ ოდნავ ააცილა, ლოლაძეს ნაჭყეპიამ საუცხოოდ აუღო, მესამედ კი ილურიძემ არ აცალა მეტოქეს შეტევის დაგვირგვინება, წააქცია და ბოლო იმედის ჯარიმისთვის შილაკაძემ სამართლიანადაც გააძევა.

რიცხობრივ უმცირესობაში ყოფნა „მერანს" მეორე ტაიმში სულაც არ დასტყობია. ერთი 46-ე წუთზე მიეცათ „თბილისის" ოპტიმისტ ქომაგებს პატარა იმედი — მეორე ნახევარი რამდენიმე წამის დაწყებული იყო, მასპინძლები რომ გოლს გადაურჩნენ, გადელიას თავური ნაჭყეპიამ სასწაულებრივად მოიგერია. მერე კი ყველაფერი ძველ კალაპოტს დაუბრუნდა, თამაშს დროდადრო „მერანის" მწვავე კონტრიერიშები აცოცხლებდა. ერთი ამგვარი შეტევა კი მეოთხე გოლითაც დასრულდა. დევიძემ პარტნიორს გაუთამაშა ბურთი, მეკარესთან მახვილი კუთხიდან პირისპირ დარჩა, თუმცა მაინც იოლად გაუმკლავდა. ისე, გაბელაიამ მეორე ტაიმში ერთგვარი სიახლე შემოგვთავაზა, ორი თავდამსხმელის — კაკაბაძისა და დავითაშვილის შეცვლის შემდეგ შეტევაში დევიძე განამწესა, რომელიც ჯერ მცველი იყო, ბოლო დროს კი ნახევარდაცვაში თამაშობდა. მწვრთნელის გადაწყვეტილება იქნებ იმანაც განაპირობა, რომ დევიძე ცოტა გადაღლილი ჩანდა. მიუხედავად ამისა, დევიძემ გაბელაიას ნდობა გაუმართლა — დუბლი შეასრულა.

ნეტავ, რაღას თამაშობენ, სულ ნუ გავლენ მინდორზე, ან საერთოდ პირველ ლიგაში რა უნდოდათ, რომ გადმოდიოდნენო, მატჩის შემდეგ „თბილისის" ერთი ქომაგი თავისას ჩიოდა.

# ეჭვის საბაბი

სამტრედია
22 აპრილი
16 საათი
ეროსი მანჯგალაძე
500 (ტევადობა 15 000)

**იბერია 0:2 ბათუმი**

0:1 სიდამონიძე (12), 0:2 ხომერიკი (54)
**იბერია:** ა. ჩომახიძე, ქვანია, ხურციძე (ნ. გიორგაძე 65), გეგეშიძე, მიქელთაძე (დ. ნოზაძე 58), კ. ჯანაშია, მ. ჯინჭარაძე, ს. გიგიაძე (ხმალაძე 44), ზ. მეტრეველი, მუმლაძე, ივეჩიანი
*სათადარიგონი:* ვარდანიძე; გედენიძე, ბიწაძე, ბანძელაძე
**ბათუმი:** ჩლაიძე, სიხარულიძე, ზ. არჩვაძე, სიდამონიძე, თ. ქაცარავა, ღლონტი (ი. მახარაძე 56), ტულუში (თარგამაძე 46), თედორაძე, მაჭუტაძე (ხომერიკი 46), ა. მუჯირი, აფხაზავა
*სათადარიგონი:* ტოგონიძე; შ. ხუჯაძე, კობიძე, ჩიჩუა
**მსაჯები:** ა. მეშკოვი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** მ. ლაცაბიძე

**გოჩა ჯანაშია სამტრედიიდან**

დიდად გასაკვირი არაფერი მომხდარა შაბათს სამტრედიაში. უბრალოდ გუნდმა, რომელსაც ჰაერივით სჭირდებოდა ქულები, მოუგო მეტოქეს, რომელსაც თავის მხრივ ამ მატჩისთვის არავითარი მოტივაცია არ გააჩნდა.

და მაინც, „ეროსი მანჯგალაძეზე" მოსული ხუთასიოდე ქომაგიდან უმეტესობას ეჭვი გაუჩნდა, ემანდ რაიმე გარიგებას ხომ არ ჰქონდა ადგილიო. ამის უმთავრესი საბაბი უთუოდ „იბერიის" ინერტული და უფერული თამაში გახლდათ.

მართლაც, „კოლხეთის" მომგებ და ბოლნისიდან ქულის წამომღებ გუნდს არაფრით ჰგავდნენ იმერლები. მათი უშინაარსო და უჯიგრო ქმედება გაგაოცებდათ.

ძვირად დაუჯდა ჯანი კარნევალის სამშობლოში გამგზავრება. იქიდან ჩამოსულს გუნდში აწყობილი მექანიზმი მოშლილი დაუხვდა. ამან თამაშის ხარისხზეც უმალ იმოქმედა და ზედიზედ ორი მარცხიც სახეზეა.

ამბიციური „ბათუმისთვის" ამ მატჩს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ზედიზედ მესამე წაგება დაუშვებელი იყო და სინიორ ჯანიმაც ძირეული ცვლილებები განახორციელა. ზღვისპირული დერბისგან განსხვავებით, მან ერთბაშად რვა ფეხბურთელი დაასვენა. აქედან უმეტესობა სათადარიგოთა შორის ვიხილეთ, ხოლო მალხაზ მახარაძე, გელა ქორიძე და ზურაბ მინდაძე არც იქ იყვნენ.

საწყისი წუთებიდანვე აჭარელთა გაბატონება მოედანზე სწრაფ გოლში გამოიხატა. ლამის პირველივე შეტევა შედეგიანი აღმოჩნდა. მე-12 წუთზე ამირან მუჯირმა საჯარიმოში მაღალი ბურთი ჩააწოდა. საჰაერო ბრძოლაში ყველას კახა სიდამონიძემ აჯობა და მოხდენილი თავურით ჩომახიძე უშანსოდ დატოვა.

წესით, მიძინებული „იბერია" გოლს უნდა გამოეფხიზლებინა — არაფერი მსგავსი, პირიქით, „ბათუმი" მათი უილაჯობის ფონზე მთლიანად აკონტროლებდა თამაშს, შიგადაშიგ ხიფათსაც ქმნიდა და თავსაც იოლად იცავდა. რიცხვმრავალი მომენტებიდან შესვენებამდე სიმწვავით ორი გამოირჩა. პირველი ეპიზოდი მართლაც დიდებული გამოდგა. საკუთარ ნახევარზე ტულუშმა მეტოქის შეტევა ჩაშალა და მყის ამირან მუჯირს გაუჭრა. ამან საჯარიმოს მარცხენა კიდესთან ხუთიოდ მეტრში მიუსწრო ბურთს, ერთი შეხებითვე მადლიანი აბრაგანი ამოსცხო და ალექსანდრე ჩომახიძეს დაამტკიცებინა, „კოლხეთთან" ჩადენილი საქმენი საგმირონი შემთხვევითი რომ არ იყო. ლამაზი ტრაექტორიით მიმავალი ბურთი იმერელთა მეკარემ ცხრიანიდან სასწაულებრივად ჩამოხსნა, ტრიბუნებს ტაში მოსწყვიტა მომხდურ-დამხდურს კი გაკვირვების გამომხატველი თანდებული გამოათქმევინა.

ტაიმის ორი მესამედის მიწურულს მეორე ეპიზოდი მოჰყვა. მიქელთაძის უხეში შეცდომა და მუჯირმა [illegible] რად თავად უპასა მაჭუტაძეს. პაატამ საჯარიმოში ქვანია იოლად კი ჩამოიცილა, მაგრამ მეკარესთან შერჩენილს საბოლოო დარტყმა გაუცუდდა.

ამასობაში იმერლები ცოტათი გონს მოეგნენ. ოღონდ ეგ არის, თამაშის გამწვავებით არც თავი შეუწუხებიათ და მით უმეტეს, არც მეტოქე. ჩლაიძე სულაც ერთადერთხელ ჩაერთო თამაშში, ისიც მაშინ როცა ლამის ცენტრიდან კახა ჯანაშიას მოულოდნელ ჯარიმას დაუხვდა და ბურთი კუთხურზე გადააგდო.

მასპინძელთაგან სხვებზე უფრო სოსო გიგიაძე გამოირჩეოდა, მაგრამ სოსო ფრუიძემ იგი პირველი ტაიმის დასრულებამდე შეცვალა. არადა, მას დაშავების არაფერი ეტყობოდა. ზემოთ ნახსენები ეჭვის ერთ-ერთი საფუძველიც ეს იყო.

თამაშის განახლებისთანავე „ბათუმში" ხომერიკი გამოჩნდა თარგამაძესთან ერთად. ჰოდა, მათ ახალი სული შთაბერეს სტუმართა შეტევებს. ოთხიოდ წუთში ხომერიკს ხელსაყრელი პოზიციიდან ვერ გააქვს. ეს ერთგვარი მოთელვა გამოუვიდა, ხუთ წუთში, მეორე ცდაზე, მან მაინც შეძლო გატანა. ზღვისპირელთაგან უდავოდ საუკეთესო ამირან მუჯირმა ამ გოლშიც ლომის წილი დაიდო. მისი ჩვეული გასროლილი ჩომახიძემ კი გააუვნებლა, მაგრამ ამაოდ — მოგერიებულ ბურთს პირველმა ხომერიკმა მიუსწრო და მახვილი კუთხიდან მეორედ დალაშქრა მეტოქის კარი.

მორჩა, გათავდა. ამ გოლით ისედაც მინავლებული ინტრიგა სულ გაქრა და მატჩიც ინერციითღა გაგრძელდა. მას აქეთ არც ღირებული და არც მოსაყოლი არაფერი შექმნილა. „ბათუმს" მეტად თავი არ გამოუდვია (ან რა საჭირო იყო), არც პირველ წრეში ბათუმში სასტიკად (0:6) დამარცხებული „იბერია" შეწუხებულა მაინცდამაინც. სასტვენმა სულზე მოუსწრო ფეხბურთით თავმობეზრებულ ფეხბურთელებსაც და მაყურებლებსაც, რომლებსაც თავის მხრივ ერთი კითხვა არ ასვენებდათ — რატომ ითამაშა „იბერიამ" ასე უსუსურად?

# მაინც კარგი იყო!

სენაკი
22 აპრილი
16 საათი
ეგრისი
500 (ტევადობა 3 000)

**ხობი 0:7 ლოკომოტივი**

0:1 ჯულელი (5), 0:2 რუსია (7), 0:3 ხუროძე (11), 0:4 ხიზანიშვილი (44), 0:5 ჯულელი (73), 0:6 აბრამიძე (87), 0:7 კვარაცხელია (88)
**ხობი:** ნიქაბერიძე (რ. თოლორდავა 12), ჯამბურია, ოდიშარია, ვ. ალანია, ზურაბ აიანადი, ხურცილავა (მ. ტყებუჩავა 30), გ. გიორგაძე, ვ. ჩიტაია, ბულუხია, ვართაგავა, ზაზა აიანადი (დ. ჩიტაია 46)
*სათადარიგონი:* ჯიქია, აბაკელია, ლ. ბუკია
**ლოკომოტივი:** ასლანაძე, ბალაშვილი, ლ. მიქაძე, აბრამიძე, გ. ჩიხრაძე, ხიზანიშვილი (კაციაშვილი 46), გოგიჩაიშვილი, კვარაცხელია, ჯულელი, ხუროძე (გ. ჩხაიძე 46), რუსია (ჭიჭვეიშვილი 46)
*სათადარიგონი:* ლომაია; დ. გოდერძიშვილი, გილაური, ონიანი
**გაფრთხილება:** ზურაბ აიანადი (23)
**მსაჯები:** ზ. ანიაშვილი; ლ. რაზმაძე (ორივე გორი), გ. მარლიშვილი (ქარელი); გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** რ. ჩილაჩავა

**თენგიზ ძოწუა ზუგდიდიდან**

მაინც რა იყო კარგიო, შეიძლება იკითხოს მავანმა. ერთმა გუნდმა მეორეს ისე გადაუარა, ისეთი სირცხვილი აჭამა, თავი არსად გამოეყოფა. კლასში ასეთი განსხვავება ნორმალურ ჩემპიონატში არც უნდა არსებობდეს და სასიხარულოც არაფერია. ეს ყველაფერი ჩვენმა ბედკრულმა ყოფამ მოგვიტანა. მაგრამ... მაინც კარგი იყო. თუმც ამაზე ცოტა მოგვიანებით.

თამაში ჯერ ხეირიანად არც დაწყებულიყო, მეტოქეებს სალამიც არ დაემთავრებინათ, რომ ეძგერნენ ერთმანეთს და მეთერთმეტე წუთზე ანგარიში უკვე 0:3 იყო სტუმართა სასარგებლოდ. ჯერ ჩიხრაძის ზუსტი გადაცემის შემდეგ 20 მეტრიდან ძლიერად დაარტყა ჯულელმა. მეკარეს წესით უნდა აეღო ეს ბურთი, მაგრამ შეცდა და ხელებს შუა გაატარა. ორიოდ წუთში მარჯვენა ფლანგიდან ჩამოწოდებულ ბურთს რუსია შესწვდა და თავზე გადაუგდო წინ გამოსულ ნიქაბერიძეს. აქაც მეკარის შეცდომაზე შეიძლება ლაპარაკი.

უკვე ყველა მიხვდა, რომ იმ დღეს ნიქაბერიძე რაღაც ვერ იყო მკვირცხლად და მასპინძელთა მთავარმა მწვრთნელმა ფრიდონ გოცირიძემ სათადარიგო მეკარეს უხმო, რათა დროული შეცვლა მოეხდინა, მაგრამ იქამდე უკვე ყველაფერი დამთავრდა. ხუროძემ საჯარიმოს კუთხიდან ძლიერად დაარტყა და... ბურთი კვლავ კარში აღმოჩნდა.

შეცვლაზე შესული თოლორდავა კარგად კი ირჯებოდა, მაგრამ აბა, როგორ გინდა ისეთი გუნდის კარში იდგე, რომელიც მთელი ტაიმის განმავლობაში საკუთარ ნახევარს ვერ გასცდა და სახიფათო დარტყმა რაა, ისიც ვერ შეასრულა. ხობელებმა კარში პირველად 36-ე წუთზე დაარტყეს, ისიც მოვალეობის მოხდის მიზნით.

44-ე წუთზე ხობელების კარში გატანილმა მეოთხე ბურთმა სტადიონზე მოსული მცირერიცხოვანი გულშემატკივარი ძალიან გაამხიარულა. ჯულელმა და ხიზანიშვილმა საჯარიმოში ისე გააპამპულეს მცველები, კარგა ხანს ვერ მიხვდნენ, რაში იყო საქმე. ხიზანიშვილსაც მეტი არაფერი დარჩენოდა და მშვიდად გაგზავნა ბურთი კარში.

შესვენებაზე რევაზ ძოძუაშვილმა სამი შეცვლა გააკეთა. მეორე ტაიმის პირველ წუთებში რკინიგზელები შედარებით ინერტულად გამოიყურებოდნენ, რამაც ხობელები შეაგულიანა და შეუტიეს კიდეც მოწინაამღდეგეს, მაგრამ ვერაფერს გამორჩნენ. მხოლოდ რამდენჯერმე დაარტყეს კარში, რაც მხოლოდ სტატისტიკისთვის თუ გამოდგება, მეტი არაფერი.

წინ წასვლა და შეტევა ასე არ უნდაო და... „ლოკომოტივი" ისევ ამოქმედდა. ჯულელი ვერავინ დაამაგრა. მის მიერ წამოწყებული შეტევებით და ზუსტი გადაცემებით არეული ხობელები უკვე მთლად აირივნენ.

70-ე წუთზე ჯულელმა ამ მატჩში თავისი მეორე გოლი გაიტანა. გოგიჩაიშვილის ძლიერი დარტყმა თოლორდავამ კი მოიგერია, მაგრამ ჯულელი ბურთს იქვე დახვდა და ანგარიში ხუთამდე გაზარდა.

მე-80 წუთზე თოლორდავა დაშავდა. მან თამაშის გაგრძელება ვერ შეძლო, ხობს კი სამი შეცვლა უკვე გაკეთებული ჰქონდა. ამიტომ მასპინძლები იძულებული გახდნენ, კარში ჯამბურია ჩაეყენებინათ. ეს კატასტროფას მოასწავებდა და მაყურებელი უკვე სტუმრებს სინდის-ნამუსს ახსენებდა და სთხოვდა, მეტი არ გაუტანოთ, სირცხვილიაო.

მატჩის მიწურულს ორი გოლი მაინც გავიდა მასპინძელთა კარში.

ჯერ აბრამიძე გავიდა პირისპირ და ექვსამდე გაზარდა ანგარიში, წუთში კვარაცხელია, ისევ პირისპირ და... აბა, ჯამბურია რაღას იზამდა — 0:7.

ეს იყო და ეს. უიმედო აუტსაიდერმა კიდევ ერთი სირცხვილი ჭამა.

ახლა იმ კარგზე რაზეც თავში ვთქვით. ჩვენში ჯერ კიდევ ახსოვთ კარგი ფეხბურთი და ის ფეხბურთელები, რომლებმაც ასე თუ ისე მაინც გაგვახარეს. მატჩის შემდეგ პატარა ბავშვები საწერ კალმებით და პატარა ფურცლებით დარბოდნენ და ავტოგრაფებს სთხოვდნენ სტუმარ ფეხბურთელებს, ისინი ხომ ცოტა ხნის წინ ეროვნული ნაკრების წევრები იყვნენ. გიორგი ჩიხრაძე, კახი გოგიჩაიშვილი, გია ჩხაიძე და ახლახანს დისკვალიფიკაციამოხდილი გიორგი ბალაშვილი... მათი ავტოგრაფებით ხელდამშვენებულნი და გახარებულნი წავიდნენ ხობელი და სენაკელი ბავშვები შინ. მაინც კარგია, როცა იგრძნობ, რომ ადამიანებს ახსოვხარ.

# სტუმრები იწყებენ და... აგებენ

წყალტუბო
22 აპრილი
16 საათი
26 მაისი
400 (ტევადობა 12 000)

**სამგურალი 3:1 თსუ**

0:1 ერაძე (16), 1:1 დარსაძე (18), 2:1 სუხიაშვილი (56), 3:1 კვერნაძე (63)
**სამგურალი:** სტურუა, ვოსკანოვი, ჩხაბერიძე, ფრანგიშვილი, გ. ჯანელიძე (ქელიძე 46), გიორგობიანი, ბერაძე, სუხიაშვილი, გ. ძაგნიძე (ხუნდაძე 30), დარსაძე, კვერნაძე (ქუთათელაძე 77).
*სათადარიგონი:* ბოდოკია; ნებიერიძე, ფუტკარაძე, გ. გოგოლაძე
**თსუ:** მერლანი, ბარქაია (თ. ბოკერია 65), ინწკირველი (ლობჟანიძე 65), ებრალიძე, ადამია, წუწუნავა, დეკანოსიძე, მესხი, მაზიაშვილი, ერაძე, დ. არჩვაძე (ქადაგიძე 70)
*სათადარიგონი:* გუგუნავა; ფარქოსაძე
**გაფრთხილება:** ინწკირველი (55)
**მსაჯები:** ა. ორდინიძე (ონი), ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)
**სფფ-ს ინსპექტორი:** ჯ. ზეინკლიშვილი

ზაზა ბენიძე წყალტუბოდან

იმერლებმა ამ შეხვედრაში ლონლაძე მოისაკლისეს, რომელიც წინა ტურში ნატკენი ფეხით ტრიბუნიდან გულშემატკივრობდა თავის გუნდს. სამაგიეროდ, იასონ ბზიკაძემ თავიდანვე ძირითადში დააყენა დარსაძე-კვერნაძის თავდასხმის დუეტი, რამაც გადამწყვეტი როლი ითამაშა თსუ-ს ძლევაში.

შეხვედრამ უაღრესად სწრაფ ტემპში ჩაიარა. მასპინძლები სულ უტევდნენ. მართალია, თბილისელები მედგრად იცავდნენ თავს, მაგრამ ხომ გაგიგონიათ, წყლის წვეთი ქვას ხვრეტსო. „სამგურალის" დაჟინებულმა იერიშებმა ნაყოფი გამოიღო.

ინტრიგა სტუმრებმა ჩახლართეს. პირველი თხუთმეტი წუთის მანძილზე წყალტუბოელთა უსისტემო შეტევებს სტუდენტები გააზრებულ დაცვასა და კონტრშეტევებს უპირისპირებენ. პირველი გოლიც მას მერე გავიდა, რაც თბილისელებმა მასპინძელთა მორიგი იერიში ჩაშალეს. დეკანოსიძე მარჯვენა ფლანგზე გაიჭრა და მეტოქის საჯარიმოში ჩაჰკიდა. ერაძე მაღალ ნახტომში შესწვდა ბურთს და მეკარისგან შორეულ კუთხეში გადაგზავნა.



სამგურალელმა რევაზ კვერნაძემ სტუნდენტებთან ივარგა

წყალტუბოელები ისევ უტევენ და საპასუხო გოლი, პირველის ტყუპისცალი, ზუსტად ორ წუთში გადის. ძაგნიძე ფლანგზე გავიდა და მისი ჩაწოდების მერე დარსაძემ თავური დარტყმით გაათანაბრა ანგარიში. მერლანი აღშფოთდა, ბურთმა პირითი ხაზი გადაკვეთაო, ეცა თანამსაჯს მიქელაძეს, მაგრამ არბიტრმა ცენტრისკენ გაიშვირა ხელი.

თითქოს ამ გოლის შემდეგ სული მოითქვესო, მასპინძლები დაწყნარდნენ და უფრო დაალაგეს თამაში. მათი შეტევები უფრო სახიფათო და მწვავე ხდება. მერლანის კარში ზედიზედ ურტყამენ დარსაძე, კვერნაძე, გიორგობიანი, მაგრამ თბილისელთა მეკარე ადგილზეა.

მეორე ტაიმში სურათი არ შეცვლილა. მასპინძლები ისევ უტევენ და მიყოლებით იქმნება სახიფათო მომენტები სტუმართა კართან, მაგრამ ხან „სამგურალის" თავდამსხმელები ირჯებიან უგერგილოდ, ხან კი მირზა მერლანი თამაშობს ოსტატურად.

ცალკე აღნიშვნის ღირსია დარსაძე-კვერნაძის ტანდემი. ეს დუეტი თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში დაუღალავად მოქმედებდა. განსაკუთრებით გააწამა თბილისელთა დაცვა ყოფილი ტორპედოელის, ალეკო კვერნაძის ვაჟმა რევაზ კვერნაძემ, რომლის საწინააღმდეგოდაც სტუდენტები ხშირად ჯარიმდებოდნენ. მისი აქტიურობის ლოგიკური შედეგი გახლდათ სტუმართა კარში გასული მეორე გოლი. თბილისელებმა „სამგურალის" №11 თავის საჯარიმოსთან წააქციეს. საჯარიმო დარტყმის შესრულება სუხიაშვილმა ითავა. კუთხე საკმაოდ მახვილი იყო, მაგრამ იმერელთა კაპიტანმა, ყველასათვის მოულოდნელად, პირდაპირ კარში დაარტყა. მერლანმა ვერაფერი გააწყო და ბურთი ბადეში გაეხვია.

წყალტუბოელებმა სახტად დარჩენილ სტუდენტებს გონს მოსვლა არ აცალეს და ისევ შეუტიეს. 63-ე წუთზე დარსაძე-კვერნაძის ლამაზი კომბინაცია ამ უკანასკნელის ზუსტი დარტყმით დასრულდა.

სტუმრები გამწარდნენ. ასეთი ანგარიში უკვე მარცხს მოასწავებდა და მათაც, სასოწარკვეთილებმა, შეტევა წამოიწყეს. 81-ე წუთი იწურებოდა, მაზიაშვილმა დაახლოებით 20 მეტრიდან ძლიერად რომ დაარტყა. სტურუამ აკრობატულ ნახტომში მოიგერია, მაგრამ იქვე მყოფმა წუწუნავამ დაამატა და ბურთი მასპინძელთა კარში შეაგდო. თუმცა თანამსაჯმა მიქელაძემ თბილისელებს გარჯა წყალში ჩაუყარა, თამაშგარე იყოო. ამას სტუდენტების მხრიდან მძაფრი პროტესტი მოჰყვა, რაც მატჩის შემდგომ მცირე შეხლა-შემოხლაში გადაიზარდა. ორდინიძემ ისევ კოლეგას დაუჭირა მხარი...

# ვარლამიადა უჯანელიძეოდ

რუსთავი
22 აპრილი
16 საათი
ფოლადი
800 (ტევადობა 10 700)

**გორდა 3:0 არსენალი**

1:0, 2:0, 3:0 ვ. კილასონია (38, 44, 86)
**გორდა:** ბედიაშვილი, ბერიძე (სილაგაძე 50), ბურნაძე, ბექაური, გაბელაია, ვ. კილასონია, მიშველიძე, გ. კილასონია, ბაჩილავა (ა. ბუკია 78), კ. ალადაშვილი, ზ. ლაბაძე (კიტეიშვილი 82)
*სათადარიგონი:* გონგაძე; მჭედლიძე, პატარიძე, მ. სახვაძე
**არსენალი:** კუპატაძე, ე. ალადაშვილი, ასპინძელაშვილი, ირემაშვილი, ხარებავა, სულაძე, შუკაკიძე, ი. კაპანაძე (ჩალაძე 76), ხმალაძე (გ. ტულუში 57), ნივნივაძე, ქოიავა (წოწკოლაური 78)
*სათადარიგო:* დ. ქაცარავა
**გაფრთხილება:** ხარებავა (39), გ. კილასონია (84)
**მსაჯები:** ი. კახიანი; ო. ხეცაძე, კ. თბილელი (ყველა თბილისი); გ. ასკაროლლი (ქარელი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ფირცხალავა

კობა ინასარიძე რუსთავიდან

„არსენალს" ახლა სასწაულილა თუ უშველის. როგორ ფიქრობთ, დარჩენილ ექვს ტურში მოახერხებს თსუსთან 12-ქულიანი სხვაობის გაბათილებას? დამეთანხმებით, ძალიან საეჭვოა.

„გორდამ" კი შაბათის სამი ქულით თითქმის გაინაღდა სამომავლოდ ოთხით შეთხელებულ უმაღლეს ლიგაში დარჩენა.

ანგარიში ყველაფერზე მეტყველებს. მასპინძელმა ვარლამ კილასონიამ სტუმრებს ფაქტობრივად პირველივე ტაიმში მოუთავა ხელი. შესვენებამდე გატანილ ორ გოლს კი თამაშის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე მესამეც დაუმატა.

მთელი მატჩი „გორდას" უდავო უპირატესობით მიმდინარეობდა. როგორც ყოველთვის, მათგან ამჯერადაც ძმები კილასონიები და ლიბერო ბურნაძე გამოირჩეოდნენ, თუმც ისეც შემადგენლობაშესუსტებული „არსენალი" არც დანარჩენებმა დაინდეს. სტუმრები რუსთავში სულ 15 ფეხბურთელით და მწვრთნელ ჯონი ჯანელიძის გარეშე ჩავიდნენ. არმიელთა ტექნიკურ დირექტორ თემურ ცერცვაძეს, რომელიც მწვრთნელის მოვალეობას ასრულებდა, სამი შეცვლისთვის საკმარი ფეხბურთელები კი ჰყავდა და სამივეც ათამაშა, მაგრამ სათადარიგოთა სკამზე ბოლოს ერთიღა, მეკარე ქაცარავა დარჩა. „არსენალს" დისკვალიფიცირებული კაკაშვილი და ხოსროშვილი აკლდა. ჯანელიძე კი თავის თანაშემწე მალხაზ კობიაშვილთან ერთად, გავიგეთ, გუნდის დატოვებას აპირებსო. მიზეზი? ერთობ ბანალური — უფულობა.

მთელი მატჩის განმავლობაში არმიელებს მხოლოდ ერთხელ ჰქონდათ საგოლე მომენტი, თანაც ჩინებული რომ ითქმის ისეთი — სულაძე ბედიაშვილთან პირისპირ დარჩა, მაგრამ დარტყმა გაუცუდდა.

მეტჯერ რეალურად რუსთაველთა კარს ისინი აღარ დამუქრებიან, ცენტრის ხაზს გადასცდებოდნენ და უკანვე მირბოდნენ, „გორდას" მცველები ყოჩაღობდნენ.

ვარლამ კილასონიამ კი პირველად მაშინ გაიტანა, როცა „არსენალმა" ხელოვნური თამაშგარის გაკეთება სცადა. სტუმარი მცველები თავიანთ საჯარიმოდან ცენტრის ხაზისკენ გაქანდნენ, კილასონია უკან მოტოვებული ეგონათ, მაგრამ შეცდნენ, ვარლამს ძმამ არც პასი დაუგვიანა და მარცხენა ფლანგიდან კუპატაძესთან პირისპირ დარჩენილს ანგარიშის გახსნა აღარ გასჭირვებია.

მეორედ რუსთაველთა ბომბარდირმა შესვენებამდე წუთით ადრე შეაგდო. კარს მიახლოებული, მცველთათვის მოულოდნელად შეყოვნდა, სტუმრებმა თავი ველარ შეიკავეს, ინერციით რამდენიმე ნაბიჯით დაშორდნენ კილასონიას, მას კი მიშველიძემ გადასცა პასი და მარტოდ დარჩენილმა ბურთი კარში შეაგორა. „არსენალმა" ცენტრიდან რომ განაახლა თამაში, ბურთი მაშინვე დაკარგა და „გორდას" ტაიმის დამთავრებამდე ერთის გატანაც შეეძლო. კუთხურიდან ჩაწოდებულს იქამდე ორჯერ გამტანი კილასონია შესწვდა და კუპატაძეს თავით ცხრიანში დაურტყა. მეკარე გაფრინდა, ბურთი სასწაულებრივად მოიგერია და ვარლამს ჰეთ-თრიქი მატჩის ბოლოსკენ გადაადებინა.

მეორე ტაიმის დასაწყისში „არსენალი" ოდნავ კი გააქტიურდა, მაგრამ, უკვე ვთქვით, სულაძის გარდა „გორდას" კარს რეალურად არავინ დამუქრებია. მასპინძლები მშვიდად, აუღელვებლად თამაშობდნენ და 86-ე წუთზე ერთი გოლიც გამოაცხვეს — ბურნაძის თავური კუპატაძემ კილასონიას სიახლოვეს მოიგერია. ვარლამსაც მეტი რაღა უნდოდა, ბურთს ფეხი წაჰკრა და სეზონში მეთოთხმეტედ გაიტანა.

მერე საინტერესო აღარაფერი ყოფილა. ამ მოგებით „გორდამ" გული დაიარხეინა, „არსენალმა" იკითხოს.



არმიელი ჰამლეტ წივწივაძე (ძირს) და გორდელი პავლე ბექაური

# დილას პირველი

გორი
22 აპრილი
16 საათი
ცენტრალური
600 (ტევადობა 8 230)

**დილა 1:0 სიონი**

1:0 სულთანიშვილი (78)
**დილა:** სოლოლაშვილი, აკოფიანი, რ. ხაჭაპურიძე, გაგნიძე, ლ. გოჩაშვილი, ლომიძე, მარეხაშვილი (ებანოიძე 74), ციცქიშვილი (კარელიძე 87), საყვარელიძე (ოლგესაშვილი 82), ფეზუაშვილი, სულთანიშვილი
*სათადარიგონი:* მდივანი; არუთინიანი, ელყანიშვილი, კოჭლაშვილი
**სიონი:** დალაქიშვილი, კ. გოდერძიშვილი, ვ. მაისურაძე, მ. სამხარაძე, მ. გოგოლაძე, მოსეშვილი, ისიანი (თ. სამხარაძე 81), ნ. მინდიაშვილი, ბ. შენგელია, კ. გოგოლაძე, სვანიძე (დ. ჯაფარიძე 84)
*სათადარიგონი:* ვოლკოვი; ფ. არჩვაძე, ელბაქიძე
**გაფრთხილება:** ლომიძე (40)
**მსაჯები:** ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი (ყველა ქუთაისი); ა. კრიჭაშვილი (თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. დურსუნიში

პაატა კვანტალიანი გორიდან

მასპინძლებმა, როგორც იქნა, ნავსი გატეხეს და მეორე ეტაპზე პირველი გამარჯვებაც მოიპოვეს, თუმცა „ა" ზონაში ბოლო ადგილს მაინც ვერ ასცდნენ გორში და შესაბამისად, „ცენტრალურზეც" რამდენჯერმე შეიცვალა ამინდი, ხან წვიმდა, ხანაც მზე ანათებდა, მაგრამ თამაშის სურათი უცვლელი იყო — „დილა" მთელი 90 წუთის განმავლობაში უტევდა და ერთი თავით სჯობდა ქვემოქართლელ მეტოქეს. რომ არა „სიონის" კარის დარაჯ ნუგზარ დალაქიშვილის თავგამოდებული თამაში, მოკრძალებული ანგარიშით მოგებას არც იკმარებდა.

გორელებს უკვე მეოთხე წუთზე შეეძლოთ ანგარიშის გახსნა. ლომიძემ ოციოდე მეტრიდან ძლიერი დარტყმით ხარიხა შეაზანზარა. ახლო მანძილიდან კი ლევან გოჩაშვილმა ვერ მოახერხა საჯარიმოში დაბრუნებული ბურთის კარში შეგორება.

„დილასაც" და „სიონსაც" ჩვენში მებრძოლ გუნდებად იცნობენ, მაგრამ იმ დღეს ბოლნისელთა ჟინიანობა სადღაც გამქრალიყო. ცოტათი საკვირველიც კია, მაგრამ ფაქტია, პირველი ტაიმის განმავლობაში სტუმრებს ერთი კუთხურიც კი არ მოუწოდებიათ, არც ერთხელ არ დაურტყამთ ბურთი მეტოქის კარის მიმართულებით (კარში დარტყმაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია), „დილა" კი ლაღად უტევდა. ჯერ ლევან გოჩაშვილმა ლამის ავტოგოლი გაატანინა მირზა სამხარაძეს, შემდეგ კი საჯარიმოს ხაზიდან საყვარელიძის დარტყმული ბურთის აღება მოუხდა დალაქიშვილს. თუმცა დარტყმა იმდენად ძლიერი იყო, რომ მეკარემ ბურთის დამორჩილება ვერ შეძლო და გამოცდილი მარეხაშვილი კარიდან სამ მეტრში წაქცეული დალაქიშვილის პირისპირ აღმოჩნდა. გოლი გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ ჯიმშერმა სასწაულებრივ ააცილა კარს.

მეორე ნახევარიც მასპინძელთა იერიშებით დაიწყო, ოღონდ „სიონი" უფრო ყურადღებით მოეკიდა კონტრშეტევებზე თამაშს და ამან „დილას" შეტევებს გარკვეულწილად სიმწვავე მოაკლო. სტუმართაგან შალვა ისიანი გამოირჩეოდა, მარცხენა ფლანგზე მისი სწრაფი გარღვევები ბევრ თავსატეხს უჩენდა მასპინძელთა დაცვას. მიუხედავად ამისა, გორელებს არც კი უფიქრიათ დაცვის გამაგრება და ამისთვის ლამის დაისაჯნენ კიდეც. 65-ე წუთზე ისიანის ოცმეტრიანი პასის შემდეგ კახა გოგოლაძე ერთი-ერთზე დარჩა სოლოლაშვილთან. უნდა გენახათ ბოლნისელთა სიხარული, მათი სათადარიგო სკამი წამოიშალა კიდეც, მაგრამ ამაოდ. მეკარესთან შეყრილმა ფორვარდმა ბოლო წამს წინ გაიგდო ბურთი და უაღრესად ხელსაყრელი მომენტი გააფუჭა. ათი წუთის შემდეგ შენგელიას პასით გოგოლაძე ერთხელაც აღმოჩნდა სოლოლაშვილის პირისპირ, მაგრამ ამჯერადაც მეკარემ იმარჯვა. ამ ეპიზოდიდან სამი წუთის შემდეგ მასპინძლებმა გაიხარეს. „სიონის" მცველები საკუთარ საჯარიმოში ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობის შექმნისას შეცდნენ. სულთანიშვილი აუღელვებლად დაუხვდა გოჩაშვილის მარჯვენა ფრთიდან ჩაწოდებულ ბურთს და ახლო მანძილიდან შანსი არ დაუტოვა დალაქიშვილს.

# მგონი, ჩემპიონია

## გერმანია

### XXXI ტური

**ფრაიბურგი 2:1 შალკე**

0:1 ასამოა (6), 1:1 კობიაშვილი (17), 2:1 კონდე (75)
ფრაიბურგი: გოლცი, ა. ცაიერი, შ. მიულერი, დიარა, ვილი, ვაისჰაუპტი (რამდანე 66), ბაია, ბ. დრეერი (კონდე 29), კობიაშვილი, იაშვილი, სელიმი (ბენ სლიმანი 70)
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
შალკე: რეკი, ტონი (ალპუგანი 62), ვალდოხი, აიგენრაუხი (ჰაინალი 87), ლატალი (ვან ჰოგდალემი 79), კამპუისი, კმეტჩი, ნემეცი, ვან კერკჰოვენი, ასამოა, სანდი
მწვრთნელი: ჰუბ სტევენსი
გაფრთხილება: ვილი, აიგენრაუხი, ტონი
მსაჯი: ფლაიშერი
25 000 მაყურებელი

**დორტმუნდი 0:1 ბაიერნი**

0:1 სალიჰამიჯიჩი (30)
დორტმუნდი: ლემანი, ევანილსონი, ნიეგუსი, როიტერი, დედე, ადო (იკპება 84), სტევიჩი, მიოლერი, ბარბარესი, ჟ. რეინა (რიკენი 67), ბობიჩი
მწვრთნელი: უდო ლატეკი
ბაიერნი: კანი, ბაბელი, პ. ანდერსონი, ლინკე, ლიზარაზუ, ფინკი, იერემისი, სალიჰამიჯიჩი (ვისინგერი 90), ტარნატი, იანკერი (სანტა კრუზი 88), პაულო სერჟიო
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
გაფრთხილება: ევანილსონი, მიოლერი, სტევიჩი, ფინკი, იერემისი, ტარნატი
მსაჯი: მერკი
68 600 მაყურებელი

**ვოლფსბურგი 3:2 ლაუტერნი**

0:1 პეტერსონი (22), 0:2 შონბერგი (393), 1:2 ბანზა (64), 2:2 რიშე (71), 3:2 კრიგერი (76)
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, კრიგერი, ონილი (ბანზა 46), ტომსენი, ბილიშკოვი, დაბრიცი (მალტრიცი 46), მუნტეანუ, ნოვაკი, ვაისერი, იუსკოვიაკი, რიშე (ბალვანცი 81)
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
კაიზერსლაუტერნი: რაინკე, სფორცა, ჰ. კოხი, შონბერგი, ბუკი, რატინიო (ლუცი 77), შტრასერი, კომლიენოვიჩი, რაიხი (კლოსე 89), პეტერსონი, მარშალი (ტარე 46)
მწვრთნელი: ოტო რეჰაგელი
გაფრთხილება: სფორცა
მსაჯი: ფრიოლიხი
19 418 მაყურებელი

**ულმი 0:1 ჰერტა**

0:1 რემერი (51)
ულმი: ლაუქსი, მარკესი, გრაუერი (პლოილერი 67), შტადლერი, მაიერი, უნსოლდი, შარინგერი (ტრკულია 77), ოტო, ე. ვაისი, ზდრილიჩი (როსლერი 46), ლეანდრო
მწვრთნელი: მარტინ ანდერმატი
ჰერტა: კირალი, შმიდტი, კონსტანტინიდისი, სვერისონი, რემერი (დაისლერი 70), სანე, დარდაი, ჰარტმანი (ვაიტი 62), ვოში, ალექს ალვეში (დაეი 46), პრეეცი
მწვრთნელი: იურგენ რიობერი
გაფრთხილება: როსლერი, სვერისონი, ვოში
მსაჯი: მაიერი
22 000 მაყურებელი

**მიუნხენი 1:1 შტუტგარტი**

0:1 ჰოსნი (84), 1:1 ჰესლერი (89)
მიუნხენი: მ. ჰოფმანი, კურცი, პროსენიკი, გრაილიხი, ჩერნი (ბორიმიროვი 63), ტაპალოვიჩი (რიდლი 71), შტრანცლი, ტაისი (ჩიჟეკი 63), ჰესლერი, მაქსი, აგოსტინო
მწვრთნელი: ვერნერ ლორანტი
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ტ. შნაიდერი (ენდრესი 75), ბორდონი, კელერი, პინტო, ტიამი, ბალაკოვი, სოლდო (კეისი 80), გერბერი, კუკა (ჰოსნი 66), დანდი
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
გაფრთხილება: კურცი, გერბერი
გაძევება: გრაილიხი (51)
მსაჯი: იანსენი
36 500 მაყურებელი

**ჰანზა 3:1 დუისბურგი**

1:0 ვიბრანი (31), 2:0 აგალი (34), 3:0 კოვაჩიჩი (82), 3:1 ბაიერლე (84)
ჰანზა: პიკენჰაგენი, ბენკენი, ვაილანდტი, ცალმანი, ლანგე, ვიბრანი, ლანცი, ემარა (მაიაკი 89), ბრაიტკროიცი (ბრანდი 67), ბაუმგარტი (კოვაჩიჩი 78), აგალი
მწვრთნელი: ანდრეას ცახჰუბერი
დუისბურგი: სტაუჩე, ვოლერტი, ემერლინგი, დრსეკი, ჰოერსენი, ტოფტინგი, ჰირში, მ. ცაიერი (გუვენისიკი 78), ოსტჰოფი (ბიუსკენსი 46), ბაიერლე, რაისი (ვედაუ 59)
მწვრთნელი: ზეპო აიხკორნი
გაფრთხილება: ბენკენი, ემარა, ემერლინგი
მსაჯი: შტარკი
16 000 მაყურებელი

**არმინია 1:0 უნტერჰახინგი**

1:0 ვაისენბერგერი (65)
არმინია: გიოსლინგი, შტრატოსი, მაისნერი, კლიცპერა, შ. ბოდე, ჰოფშნაიდერი, ბომე (პეეტერსი 55), მაული, მ. ვაისენბერგერი, ვან დერ ვენი (ვიშნიარეკი 75), ლაბადია
მწვრთნელი: ჰერმან გერლანდი
უნტერჰახინგიი: ტრემელი, ბერგენი, შტრემელი, ზაიფერტი, ჰაბერი, ობერლაიტნერი (მარკ ციმერმანი 75), დ. შვარცი, მატიას ციმერმანი, ზაიცი, რაკლი (კიოგლი 75), ბრაიტენრაიტერი (ბუხერი 61)
მწვრთნელი: გიუნტერ-ლორანც კიოსტნერი
გაფრთხილება: მაისნერი, ბუხერი, ზაიცი
მსაჯი: ბერგი
12 062 მაყურებელი

**ვერდერი 1:3 ლევერკუზენი**

0:1 კირსტენი (29), 0:2 პაულო რინკი (35), 0:3 ზე რობერტო (41), 1:3 ფლოკი (86)
ვერდერი: ფ. როსტი, ფრინგსი (ფლოკი 46), ბარტენი (მაქსიმოვი 46), ფ. ბაუმანი, ვიდნერი, აილტსი, ტრარესი, ა. ჰერცოგი, მ. ბოდე, ბოგდანოვიჩი, აილტონი
მწვრთნელი: თომას შააფი
ლევერკუზენი: მატიშეკი, ნოვოტნი, რ. კოვაჩი, რამელო, ჟივკოვიჩი, ბალაკი, ბაინლიხი, ზე რობერტო, ნოივილი (რეები 62), კირსტენი (ტ. ჰოფმანი 74), პაულო რინკი (ბრდარიჩი 87)
მწვრთნელი: კრისტოფ დაუმი
გაფრთხილება: ჰერცოგი, ბაინლიხი, კოვაჩი, პაულო რინკი
მსაჯი: კრუგი
31 973 მაყურებელი

**აინტრახტი 3:0 ჰამბურგი**

1:0 გუიე მიენი (6), 2:0 ჩენ იანგი (71), 3:0 გუიე მიენი (76)
აინტრახტი: ჰაინენი, კუჩერა, ხუბჩევი, კრახტი, გუიე მიენი, შური (ფალკი 81), ჰელდტი, რასიევსკი, გებჰარდტი (ბინდევალდი 81), რაიხენბერგერი (სალუ 64), ჩენ იანგი
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
ჰამბურგი: ჰ. ბუტი, ჰერჩი, გრავესენი, პანადიჩი, ფიშერი, ნ. კოვაჩი, პრეგერი, ბაბაცი, მაჰდავიკია, ილმაზი (ჰაშემიანი 56), იუსალი
მწვრთნელი: ფრანკ პაგელსდორფი
გაფრთხილება: შური, ბაბაცი, ჰერჩი, პრეგერი
მსაჯი: ფანდელი
50 000 მაყურებელი




დორტმუნდი — ბაიერნი 0:1. მიუნხენელი ტორსტენ ფინკი და დორტმუნდელი ფრედი ბობიჩი

REUTERS დორტმუნდიდან

**საფეხბურთო** გერმანია კვირა საღამოს მოუთმენლად ელოდა. გუშინწინ კრიზისში მყოფმა „დორტმუნდმა" არცთუ კარგ ფორმაში მყოფ „ბაიერნს" უმასპინძლა. მიუნხენელებს წაფორხილების უფლება არ ჰქონდათ — ხუთშაბათს ხომ „ლევერკუზენმა" ბრემენში „ვერდერი" დაამარცხა და ექვსი ქულით იყო წინ გაჭრილი.

რატომღაც ბევრს ეგონა, რომ „დორტმუნდი" მეორე წრეში პირველ გამარჯვებას მიაღწევდა. „ბაიერნი" გადაღლილიაო, ამბობდნენ. ასე არ მოხდა. ბავარიელებმა ძალიან მობილიზებულად ითამაშეს და დამსახურებულადაც მოიგეს. გადამწყვეტი გოლი 30-ე წუთზე გავიდა. სტევიჩის მიერ ხელით თამაშისთვის დანიშნული ჯარიმა პაულო სერჟიომ შეასრულა, ლემანს ბურთი ხელიდან გაუვარდა, დამატებაზე კი სალიჰამიჯიჩმა ივარგა, ყველას დაასწრო და ახლოდან ანგარიში გახსნა. მეკარის შეცდომა საბედისწერო გამოდგა, მისი მოგერიებული რამდენიმე უძნელესი ბურთი კი მატჩის შემდეგ აღარავის გახსენებია. ლემანთან ერთად შეხვედრის ანტიგმირი ბობიჩიც გახდა. ექსშტუტგარტელმა სამი უალრესად ხელსაყრელი საგოლე შანსი დაკარგა. ერთხელ ბარბარესსაც შეეძლო გატანა, მაგრამ ბურთს ფეხი ააცილა. „ბაიერნის" კართან სულ ეს იყო, მოპირდაპირე მხარეს კი ორ-ორჯერ სალიჰამიჯიჩს და ტარნატს, ერთხელაც ბაბელს მიეცათ თავის გამოჩენის შესაძლებლობა, სამჯერ ლემანმა ივაჟკაცა, ორჯერაც ბურთი მიზანს ოდნავ ასცდა.

„ჩემპიონობისთვის ბოლომდე ვიბრძოლებთ, ჩვენ შეგვწევს ამის უნარი. ამ კვირაში ჩემი გუნდით ძალიან კმაყოფილი ვარ. ჩემპიონთა ლიგაში „პორტუსთან" უძნელესი მატჩი გვქონდა, სამ დღეში კი „დორტმუნდს" მოვუგეთ. კვირის დასაწყისში ეს ძნელი საფიქრალი იყო" — თქვა „ბაიერნის" თავკაცმა ოტმარ ჰიცფელდმა.

„ჩემს გუნდს რომ ვუყურებ, მსიამოვნებს. მგონი, ჩემპიონები ვართ" — ეს სიტყვები, „ლევერკუზენის" მთავარმა მწვრთნელმა კრისტოფ დაუმმა ხუთშაბათს რომ წარმოთქვა, სინამდვილესთან ძალიან ახლოა. ძნელად დასაჯერებელია „ლევერკუზენმა" ჩემპიონობა დაკარგოს.

ხუთშაბათს ლევერკუზენელები ბრემენს ეწვივნენ. თითქოს დაძაბული მატჩი უნდა ყოფილიყო, „ვერდერი" ჩემპიონთა ლიგის საგზურს უმიზნებს და მეტოქეს დიდ ბრძოლასაც ჰპირდებოდა, მაგრამ პირველი ტაიმის შემდეგ ყველაფერი ნათელი გახდა — სტუმრები 3:0-ს იგებდნენ. არადა, თამაში „ვერდერის" უპირატესობით დაიწყო. მასპინძლებს 24-ე წამზე(!) შეეძლოთ დაწინაურება, როცა ბოდემ ხელსაყრელი მომენტი გააფუჭა. მერე ჰერცოგსაც უნდა გაეტანა, ვერც მან ივარგა. თანდათან „ლევერკუზენიც" გონს მოეგო, გააქტიურდა და მოწინააღმდეგის კარიც დალაშქრა. ბაინლიხის პასით კირსტენმა იხეირა. მერე რინკი გამოხტა და როსტი მძლავრი თავურით ხახამშრალი დატოვა. მასპინძელთა კარის რბევა ზე რობერტომ დაასრულა ძალიან ლამაზი გოლით. მეორე ტაიმში „ვერდერმა" პრესტიჟის ბურთი შეაგდო — ფლოკმა ლამის მთელი დაცვა მოატყუა და მატიშეკიც გააწბილა.

ოთხი გოლი ბოლო ექვს მატჩში — აი, ასეთია „ფრაიბურგის" ქართველი ლეგიონერის ლევან კობიაშვილის ბოლოდროინდელი მონაგარი. რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ყველა ბურთი (გარდა „ბაიერნთან" 1:2 წაგებული მატჩისა), ქულების მომტანი აღმოჩნდა. ფაქტია, ლევანმა ბოლო დროს ძალიან მოუმატა.

„შალკესთან" საშინაო მატჩი „ფრაიბურგისთვის" ცუდად დაიწყო. უკვე მე-6 წუთზე სტუმრები ასამოას ზუსტი თავურით დაწინაურდნენ. მერე ჩვენებურის ჯერი დადგა. მე-17 წუთი მიმდინარეობდა, კობიაშვილმა საჯარიმოს ხაზთან ბურთი რომ მიიღო, გაისწორა და ძლიერი დარტყმით წონასწორობა აღადგინა. კობიმ მეორე გოლშიც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. მის შესრულებულ ჯარიმას კონდეს ზუსტი დარტყმა მოჰყვა — 2:1. ეს 75-ე წუთზე მოხდა. მეტი ბურთი აღარ გასულა და „ფრაიბურგმაც" ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვება [illegible] საბოლოო სიმშვიდისთვის ფოლკერ ფინკეს გუნდს დარჩენილ სამ ტურში ერთი მოგებაც სჭირდება. კობიაშვილის მსგავსად, იაშვილმაც მთელი მატჩი ითამაშა, თუმცა, ლევანისგან განსხვავებით, მან ამჯერად გუნდს ნაკლები სარგებლობა მოუტანა.

დრამატული შეხვედრა გაიმართა ვოლფსბურგში, სადაც „კაიზერსლაუტერნი" იყო ჩასული. სტუმრები 63-ე წუთამდე 2:0-ს იგებდნენ, 76-ე წუთზე კი 2:3-ს აგებდნენ. რა დღეში იქნებოდა მათი ემოციური თავკაცი ოტო რეჰაგელი, თავად განსაჯეთ. მატჩს ორივე გუნდი დიდი დანაკლისით შეხვდა, მასპინძლებს ძირითადის ხუთი ფეხბურთელი არ ჰყავდათ. „ლაუტერნმა" კი შვიდი კაცი მოისაკლისა, ამიტომაც სტუმართა სათადარიგო სკამზე სამი მოყვარული გამოჩნდა. ერთმა მათგანმა, კლოსემ ბოლო ორი წუთიც ითამაშა, თუმცა გუნდს ვერაფერში გამოადგა.

„მიუნხენმა" „შტუტგარტი" ისტუმრა. მასპინძლები სამ ქულას კი გეგმავდნენ, მაგრამ მადლობა თქვან, ერთიც რომ აიღეს. 51-ე წუთზე, 0:0-ზე, მიუნხენელებს უხეშობისთვის გრაილიხი გაუძევეს. სტუმრებმა რიცხობრივი უპირატესობა 83-ე წუთზე გამოიყენეს, ჰოსნიმ ბალაკოვის კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს ჰოფმანის კარში მიუჩინა ადგილი. „შტუტგარტს" სამი ქულა რომ ჯიბეში ეგონა, იმ დროს უმტყუნა ბედმა. ჰესლერის გოლმა მასპინძლებს ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის შანსი დაუტოვა.

„აინტრახტმა" ორი ქულის ჩამოკლებით დაგროვილი ბოღმა ერთიანად „ჰამბურგზე" გადმოანთხია — გუიე მიენის დუბლითა და ჩენ იანგის გოლით 3:0 გაანადგურა ბრინჯაოს მედლის კანდიდატი. ფრანკფურტელებმა მდგომარეობა ოდნავ გამოასწორეს.

მესამე უიღბლო წლეულს, ალბათ, „ულმი" გახდება. ღირსიც იქნება, გავარდეს. აბა, შინ, თუნდაც „ლევერკუზენთან" 1:9 წამგებ გუნდს პირველ ბუნდესლიგაში რა ესაქმება. „ულმმა" ახლაც წააგო, ისევ საკუთარ მოედანზე, თუმცა ამჯერად უფრო ღირსეულად 0:1. მისი მძლეველი ბერლინის „ჰერტა" კი მეოთხე ადგილზე ასკუპდა. ბერლინელები, როგორც ჩანს, შარშანდელი მიღწევის გამეორებას აპირებენ. შეგახსენებთ, „ჰერტა" ჩემპიონთა ლიგის ბოლო გათამაშების მონაწილეა.

**ვანო ოქროპირიძე**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ლევერკუზენი | 31 | 19 | 10 | 2 | 68:33 | 35 | 67 | 16 | 12 | 4 | 0 | 40:16 | 24 | 40 | 15 | 7 | 6 | 2 | 28:17 | 11 | 27 |
| 2 | ბაიერნი | 31 | 19 | 7 | 5 | 63:26 | 37 | 64 | 15 | 10 | 3 | 2 | 43:15 | 28 | 33 | 16 | 9 | 4 | 3 | 20:11 | 9 | 31 |
| 3 | ჰამბურგი | 31 | 15 | 10 | 6 | 59:36 | 23 | 55 | 15 | 10 | 4 | 1 | 34:9 | 25 | 34 | 16 | 5 | 6 | 5 | 25:27 | -2 | 21 |
| 4 | ჰერტა | 31 | 13 | 10 | 8 | 38:41 | -3 | 49 | 15 | 8 | 6 | 1 | 23:11 | 12 | 30 | 16 | 5 | 4 | 7 | 15:30 | -15 | 19 |
| 5 | მიუნხენი | 31 | 13 | 9 | 9 | 50:44 | 6 | 48 | 16 | 10 | 3 | 3 | 34:19 | 15 | 33 | 15 | 3 | 6 | 6 | 16:25 | -9 | 15 |
| 6 | ვოლფსბურგი | 31 | 11 | 13 | 7 | 49:51 | -2 | 46 | 16 | 8 | 4 | 4 | 27:25 | 2 | 28 | 15 | 3 | 9 | 3 | 22:26 | -4 | 18 |
| 7 | ლაუტერნი | 31 | 14 | 4 | 13 | 46:54 | -8 | 46 | 15 | 7 | 2 | 6 | 24:25 | -1 | 23 | 16 | 7 | 2 | 7 | 22:29 | -7 | 23 |
| 8 | ვერდერი | 31 | 12 | 8 | 11 | 60:48 | 12 | 44 | 16 | 9 | 3 | 4 | 37:25 | 12 | 30 | 15 | 3 | 5 | 7 | 23:23 | 0 | 14 |
| 9 | შტუტგარტი | 31 | 13 | 5 | 13 | 36:41 | -5 | 44 | 15 | 6 | 1 | 8 | 18:23 | -5 | 19 | 16 | 7 | 4 | 5 | 18:18 | 0 | 25 |
| 10 | უნტერჰახინგი | 31 | 10 | 8 | 13 | 37:39 | -2 | 38 | 15 | 8 | 5 | 2 | 19:10 | 9 | 29 | 16 | 2 | 3 | 11 | 18:29 | -11 | 9 |
| 11 | შალკე | 31 | 8 | 13 | 10 | 39:39 | 0 | 37 | 15 | 4 | 9 | 2 | 19:13 | 6 | 21 | 16 | 4 | 4 | 8 | 20:26 | -6 | 16 |
| 12 | ფრაიბურგი | 31 | 9 | 9 | 13 | 42:47 | -5 | 36 | 16 | 7 | 4 | 5 | 27:18 | 9 | 25 | 15 | 2 | 5 | 8 | 15:29 | -14 | 11 |
| 13 | აინტრახტი | 31 | 10 | 5 | 16 | 35:39 | -4 | 35 | 15 | 7 | 3 | 5 | 23:13 | 10 | 24 | 16 | 3 | 2 | 11 | 12:26 | -14 | 11 |
| 14 | ჰანზა | 31 | 7 | 14 | 10 | 40:52 | -12 | 35 | 16 | 7 | 7 | 2 | 24:18 | 6 | 28 | 15 | 0 | 7 | 8 | 16:34 | -18 | 7 |
| 15 | დორტმუნდი | 31 | 7 | 12 | 12 | 35:36 | -1 | 33 | 16 | 4 | 6 | 6 | 20:20 | 0 | 18 | 15 | 3 | 6 | 6 | 15:16 | -1 | 15 |
| 16 | ულმი | 31 | 8 | 8 | 15 | 31:54 | -23 | 32 | 16 | 6 | 4 | 6 | 20:23 | -3 | 22 | 15 | 2 | 4 | 9 | 11:31 | -20 | 10 |
| 17 | არმინია | 31 | 6 | 8 | 17 | 34:55 | -21 | 26 | 16 | 4 | 6 | 6 | 22:21 | 1 | 18 | 15 | 2 | 2 | 11 | 12:34 | -22 | 8 |
| 18 | დუისბურგი | 31 | 4 | 9 | 18 | 36:63 | -27 | 21 | 15 | 2 | 7 | 6 | 19:21 | -2 | 13 | 16 | 2 | 2 | 12 | 17:42 | -25 | 8 |

*„აინტრახტს" დაკლებული აქვს 2 ქულა*

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| მაქსი (მიუნხენი) | 16 |
| კირსტენი (ლევერკუზენი) | 16 |
| სანდი (შალკე 04) | 13 |
| აილტონი (ვერდერი) | 12 |
| აკპობორი (ვოლფსბურგი) | 12 |
| პრეეცი (ჰერტა) | 12 |

**XXXII ტური**

27 აპრილი
დუისბურგი - არმინია
28 აპრილი
აინტრახტი - ვოლფსბურგი
ჰერტა - ფრაიბურგი
29 აპრილი
ბაიერნი - ჰანზა
შალკე - მიუნხენი
შტუტგარტი - დორტმუნდი
ლაუტერნი - ულმი
უნტერჰახინგი - ვერდერი
30 აპრილი
ჰამბურგი - ლევერკუზენი

## მეორე ბუნდესლიგა

### XXVIII ტური

**ნიურნბერგი 1:1 კიოლნი**

1:0 შტოილასი (30), 1:1 ლოტნერი (42)

**მაინცი 1:1 ობერჰაუზენი**

1:0 დემანდტი (2), 1:1 ობადი (73)

**ჰანოვერი 3:1 ალემანია**

0:1 ჰეერენი (12), 1:1, 2:1 კობილანსკი (41პ, 68), 3:1 მორინასი (90)

**მიონხენგლადბახი 4:2 ბერლინი**

0:1 ტიფერტი (14), 1:1, 2:1 ასანინი (27, 58), 2:2 ჩირიჩი (66), 3:2, 4:2 ვან ლენტი (67, 77)

**ვალდჰოფი 4:2 ბოხუმი**

1:0 ვატა (42), 1:1 ბასტურკი (53), 1:2 მ. მარიჩი (54), 2:2, 3:2 ლიხტი (56, 78), 4:2 ვატა (84)

**კარლსრუე 1:0 კოტბუსი**

1:0 ლაკიესი (62)

**ფორტუნა 0:1 ფიურტი**

0:1 შკარაბელა (86)

**ოფენბახი 0:4 კიკერსი**

0:1 რამოვსი (2), 0:2 კარნევალე (70), 0:3 კევრიჩი (84), 0:4 კარნევალე (86)

**ქემნიცი — ზანქტ პაული**

*იხილეთ ბოლო გვერდი*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 28 | 15 | 8 | 5 | 52:27 | 53 |
| ბოხუმი | 28 | 14 | 6 | 8 | 49:40 | 48 |
| კოტბუსი | 28 | 14 | 3 | 11 | 50:34 | 45 |
| ნიურნბერგი | 28 | 12 | 9 | 7 | 44:40 | 45 |
| გლადბახი | 28 | 11 | 11 | 6 | 47:35 | 44 |
| ჰანოვერი | 28 | 11 | 7 | 10 | 45:42 | 40 |
| ვალდჰოფი | 28 | 9 | 12 | 7 | 42:41 | 39 |
| ალემანია | 28 | 10 | 9 | 9 | 37:44 | 39 |
| ბერლინი | 28 | 9 | 10 | 9 | 35:39 | 37 |
| ობერჰაუზენი | 28 | 8 | 11 | 9 | 32:31 | 35 |
| ქემნიცი | 27 | 9 | 8 | 10 | 35:37 | 35 |
| ფიურტი | 28 | 7 | 14 | 7 | 30:33 | 35 |
| მაინცი | 28 | 7 | 12 | 9 | 33:33 | 33 |
| ზტ. პაული | 27 | 6 | 13 | 8 | 26:31 | 31 |
| კიკერსი | 28 | 8 | 7 | 13 | 43:49 | 31 |
| ოფენბახი | 28 | 6 | 11 | 11 | 27:42 | 29 |
| ფორტუნა | 28 | 5 | 11 | 12 | 25:40 | 26 |
| კარლსრუე | 28 | 4 | 10 | 14 | 31:45 | 22 |

## იტალია

### XXXI ტური

**იუვენტუსი 1:0 ფიორენტინა**

1:0 დელ პიერო (45პ)
იუვენტუსი: ვან დერ სარი, ფერარა, მონტერო (ტუდორი 29), იულიანო, ძამბროტა, კონტე, დავიდსი, პესოტო, ზიდანი (ფ. ინძაგი 57), კოვაჩევიჩი, დელ პიერო (ტაკინარდი 72)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
ფიორენტინა: ტოლდო, ადანი, პადალინო, პიერინი, ტორიჩელი (კოისი 59), დი ლივიო (ტაროცი 74), როსიტო, ჰაინრიხი, რუი კოშტა, ბატისტუტა (ბალბო 61), კიეზა
მწვრთნელი: ჯოვანი ტრაპატონი
გაფრთხილება: დი ლივიო, კოისი, ჰაინრიხი, კონტე
მსაჯი: პაპარესტა
45 000 მაყურებელი

**პიაჩენცა 0:2 ლაციო**

0:1 სიმეონე (57), 0:2 ვერონი (65)
პიაჩენცა: რომა, მაკანი, პოლონია, დელი კარი, გაუტიერი (ბუზო 66), ტალიაფერი, ზიტოლო, მორონე, მანიგეტი, რასტელი (ფორლინი 66), ჯილარდინო (დი ნაპოლი 73)
მწვრთნელი: დანიელე ბერნაცანი
ლაციო: მარკეჯანი, ნეგრო, ნესტა (გოტარდი 84), მიხაილოვიჩი, პანკარო, სერჟიო კონსეისაო, ალმეიდა (სიმეონე 56), ვერონი, ნედვედი, ს. ინძაგი, ბოკშიჩი (რ. მანჩინი 46)
მწვრთნელი: სვენ გორან ერიკსონი
გაფრთხილება: მორონე, ტალიაფერი, ნედვედი
მსაჯი: მესინა
8 000 მაყურებელი

**რომა 0:0 პარმა**

რომა: ანტონიოლი, რინალდი, ალდაირი, ძაგო, კაფუ, ტომაზი, მარკოს ასუნსაო, დი ფრანჩესკო, ტოტი, დელვეკიო, მონტელა
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
პარმა: ბუფონი, სარტორი, ტურამი, კანავარო, ფუზერი (პაულო სოუზა 16), ბოლანო, დაბო (სტანიჩი 70), დ. ბაჯო (მაინი 85), ვანოლი, ამოროზო, კრესპო
მწვრთნელი: ალბერტო მალესანი
გაფრთხილება: ტომაზი, ტოტი, ამოროზო
მსაჯი: როსეტი
58 006 მაყურებელი

**რეჯინა 1:2 მილანი**

0:1 ვარგასი (ნს.კ.), 0:2 შევჩენკო (14), 1:2 პირლო (25)
რეჯინა: ტაიბი, ოშადოგანი, სტოვინი, ვარგასი, ჩირილო, ბარონიო, კოცა (პრალია 68), ბრევი (რეჯი 57), მორაბიტო, პირლო, პოსანცინი (იანუცი 72)
მწვრთნელი: ფრანკო კოლომბა
მილანი: აბიატი, შამოტი, მალდინი, კოსტაკურტა, გატუზო, ალბერტინი, ამბროზინი (სალა 92), გულიელმინპიეტრო (ჰელვეგი 46), ლეონარდო (ჯუნტი 84), შევჩენკო, ხოსე მარი
მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი
გაფრთხილება: კოსტაკურტა, ბრევი, შამოტი, რეჯი
მსაჯი: როდომონტი
26 000 მაყურებელი

**ინტერი 3:0 ბარი**

1:0 კოე (24), 2:0 ბლანი (33), 3:0 ბაჯო (51)
ინტერი: პერუცი, სიმიჩი, ბლანი, კორდობა, ხ. ძანეტი, კოე, დი ბიაჯო, სერენა (ფრეზი 37), ზეედორფი, რ. ბაჯო (კოლონეზე 80), რეკობა (სამორანო 54)
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
ბარი: ფ. მანჩინი, დე როსა, ფერარი (ჯორჯეტი 58), ნექროიზი, დელ გროსო, ოლივარესი (პეროტა 62), დ. ანდერსონი, მარკიჩი, ბელავისტა, სპინეზი (ენინაია 57), კასანო
მწვრთნელი: ეუჯენიო ფაკეტი
გაფრთხილება: ანდერსონი, ნექროიზი
მსაჯი: ბაცოლი
50 000 მაყურებელი

**უდინეზე 0:0 ტორინო**

უდინეზე: დე სანტისი, ჟენო, სოტილი, ძამბონი, ალბერტო (ესპოზიტო 85), ჯანიკედა, ფიორე, ვან დერ ვეგტი, მანფრედინი (ვარლეი 32), სოსა (მარჯოტა 64), მუცი
მწვრთნელი: ლუიჯი დე კანიო
ტორინო: ბუჩი, გალანტე, გრანდონი, მალტალიატი, ტრიკარიკო, მენდესი, ბრამბილა, პეკია (კოკო 89), სომეზე (ლენტინი 57), ფერანტე, პინგა (კალაიო 76)
მწვრთნელი: ემილიანო მონდონიკო
გაფრთხილება: ალბერტო, ტრიკარიკო, გრანდონი, ლენტინი, მენდესი
მსაჯი: პელეგრინო
19 000 მაყურებელი

**ვენეცია 2:2 ვერონა**

1:0 ბუდანი (11), 2:0 განცი (73), 2:1 ადაილტონი (75), 2:2 სალვეტი (81)
ვენეცია: ბენუსი, მალდონადო, პავანი, ნგოტი, კარნაშალი, ვალტოლინა (ბერგი 56), რუკავინა (იბერტსბერგერი 60), ვოლპი (ბრიოსკი 69), პედონე, განცი, ბუდანი
მწვრთნელი: ფრანჩესკო ოდო
ვერონა: ფრეი, დიანა, ლაურსენი, აპოლონი, ჯანდებიაჯი, ბროკი, მარასკო, იტალიანო, კოლუჩი (სალვეტი 66), მელისი (ადაილტონი 52), კამარატა (კოსატო 52)
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
გაფრთხილება: განცი, ბენუსი, სალვეტი, კარნაშალი, ჯანდებიაჯი
მსაჯი: ნუჩინი
9 965 მაყურებელი

**ბოლონია 2:1 პერუჯა**

1:0 სინიორი (14), 2:0 ანდერსონი (15), 2:1 ამორუზო (20)
ბოლონია: პალიუკა, ფალკონე (პიაჩენტინი 51), პაგანინი, დალ კანტო, პარამატი, ინგესონი, მაროკი, გორეტი (ზე ელიასი 63), ტონეტო (ბია 24), კ. ანდერსონი, სინიორი
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
პერუჯა: მაცანტინი, სოლიანო (ტედესკო 75), კალორი, მატერაცი, მილანეზე (კაპიოლი 63), ესპოზიტო, ბიზოლი, კამპოლო (ტაპია 63), რაპაიჩი, ალენიჩევი, ნ. ამორუზო
მწვრთნელი: კარლო მაცონე
გაფრთხილება: კალორი, ბია
მსაჯი: ბერტინი
23 000 მაყურებელი

**ლეჩე 2:1 კალიარი**

1:0, 2:0 ბონომი (16, 52), 2:1 კონტი (89)
ლეჩე: კიმენტი, ხუარესი (პივოტო 79), ვიალი, სავინო, ბალერი (ტრავერსა 70), კონტიკიო, ლიმა, კ. ბონომი, კოლონელო, სესა, მარინო (ბილოტი 46)
მწვრთნელი: ალბერტო კავასინი
კალიარი: სკარპი, დი ლიზო (ამეტრანო 46), ლოპესი, ვილა, ძებინა, მაჩელარი, კარუსი (კავეცი 78), აბეიონი, ოლივეირა, კორადი, მელისი (კონტი 55)
მწვრთნელი: რენცო ულივიერი
გაფრთხილება: ბონომი, ვიალი
მსაჯი: სერენა
19 702 მაყურებელი

# ქულას სუნი არ უდის


REUTERS რომიდან

რომა — პარმა 0:0. რომაელი ალესანდრო რინალდი (მარცხნივ) და პარმელი ერნან კრესპო ბურთისთვის იბრძვიან

აბა, ვინ გამოიცნობს, „იუვენტუსის" თავდამსხმელმა, ალესანდრო დელ პიერომ იტალიის პირველობაზე ბოლოს როდის გაიტანა ჩვეულებრივი გოლი ანუ გოლი, ჟარგონზე რომ ვთქვათ, თამაშიდან. მათთვის, ვინც ვერ გამოიცნო: „იუვენტუსის" თავდამსხმელმა, ალესანდრო დელ პიერომ, თამაშიდან გოლი ბოლოს 1998 წლის 25 ოქტომბერს შეაგდო. შემდეგ დელ პიერომ მუხლი იტკინა, ექვსი თვე გამოტოვა და დაბრუნებული ფონს ძირითადად პენალტებით გადის. მიმდინარე სეზონში მან თერთმეტი მეტრიდან აგერ უკვე მერვედ მიაღწია საწადელს.

და ერთი წუთით ნუ ვიფიქრებთ, რომ ამაში რამე სახუმაროა, ან ის, რომ დელ პიეროს თამაშიდან დიდი ხანია აღარ გაუტანია, მას აკნინებს. ბიჭი ხარ და დააკნინე ვარსკვლავი (და მისი გუნდი), რომელიც ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი ლიგის, სერია A-ს ჩემპიონი ხდება — შეჯიბრების დამთავრებამდე სამი ტურით ადრე „იუვენტუსი" „ლაციოს" ხუთი ქულით უსწრებს.

სწორედ დელ პიეროს დარტყმულმა პენალტმა მოუტანა „ბებერ ქალბატონს" მორიგი გამარჯვება და მიუხედავად იმისა, რომ „ლაციომ" სტუმრად პიაჩენცაში მოიგო, კონკურენტებს შორის სხვაობა უცვლელი დარჩა, ხოლო ფინიში კიდევ ერთი ტურით მოახლოვდა.

მაშ ასე, ჯანლუკა ძამბროტას წაქცევისთვის დანიშნული თერთმეტმეტრიანი დარტყმით დელ პიერომ ტურინელთა მონაგარს სამი ქულა შემატა და ერთხელაც დაამტკიცა, რომ პრაგმატულ, თანამედროვე ფეხბურთში მოსაგებად ყველა იარაღს უნდა ფლობდე, მაკრატელათი დაწყებული პენალტებით დამთავრებული. რა ხანია წავიდა ის დრო, როდესაც თავდამსხმელი მცველს ბურთს ფეხებს შორის თუ ვერ გაუძვრენდა, გულს აკლდა და გოლი თითქოს ვერც გოლობდა. დღეს საქმე ისეა, რომ ქულას, ფულისა არ იყოს, სუნი არ უდის.

ამ აზრს ისე ნუ ჩამოგვართმევთ, თითქოს ქულის გულისთვის არასპორტულ, მოედნისგარე მეთოდებსაც ვამართლებდეთ.

„იუვენტუსის" მწვრთნელი კარლო ანჩელოტი: „წინ გარკვეული სირთულეები კიდევ გველის, მაგრამ დარჩენილ თამაშებს იმედით შევყურებთ და ვცდილობთ ემოციებს არ ავყვეთ".

ამრიგად, ტიტულთან ყველაზე ახლოს ტურინის გუნდია. შანსი აქვს „ლაციოსაც", დანარჩენები კი ჩემპიონები ველარ გახდებიან — მესამე ადგილზე მყოფ „მილანს". 54 ქულა აქვს და სამივე ტურში რომც მოიგოს, „იუვენტუსის" დღევანდელ მონაგარზე 5 ქულით ნაკლები დაუგროვდება.

დარჩენილი თამაშები გვიხსენებია და ბარემ ჩამოვთვალოთ: „იუვენტუსი" ახლა სტუმრობს „ვერონას", შემდეგ მასპინძლობს „პარმას" და ბოლოს პერუჯაში მიდის, ხოლო „ლაციო" ჯერ მასპინძლობს „ვენეციას", შემდეგ მიდის ბოლონიაში და ბოლო ტურში „რეჯინას" ელის.

ტიტული ტიტულად და იტალიიდან მომავალი სეზონის ჩემპიონთა ლიგაში ოთხი გუნდი გადის. ამ ოთხეულში მოსახვედრად იბრძვიან „მილანი", „პარმა", „ინტერი" და „რომა". თეორიული შანსი აქვს „უდინეზესაც", მაგრამ რეალურად იქ მომხვედრი არ არის.

ამ გუნდებიდან „მილანმა" რეჯინაში 2:1 გაიმარჯვა. ანგარიში მე-5 წუთზე გაიხსნა. ტრავმამოშუშებული ესპანელის ხოსე მარის დარტყმული ბურთი მასპინძელმა ვარგასმა აისხლიტა და საკუთარ კარში შეაგდო, ხოლო შემდეგ ესპანელმა უკრაინელ ანდრეი შევჩენკოს გაუწია ასისტენტობა.

სერია A-ში ახალგადასული „რეჯინა" კი ინტერტოტოს თასზე გამსვლელი ადგილისთვის იბრძვის და ბუნებრივია, იოლად არ დათმობდა — საჯარიმო დარტყმით ანდრეა პირლომ შეამცირა სხვაობა.

„ინტერმა" „სან სიროზე" „ბარი" დაჯაბნა — 3:0. ეს გახლდათ მარჩელო ლიპის გუნდის პირველი გამარჯვება ბოლო შვიდ შეხვედრაში.

„ეს სამი ქულა პურივით გვჭირდება" — თქვა ლიპიმ ფრანგების, ბენუა კოეს, ლორან ბლანისა და მივიწყებული იტალიელი ვარსკვლავის, რობერტო ბაჯოს გოლების ხილვის შემდეგ.

რაც შეეხება „პარმას" და „რომას", ისინი რომის „სტადიო ოლიმპიკოზე" ერთმანეთს შეხვდნენ და ერთობ დაძაბულ, ტაქტიკურად გამართულ, მაგრამ სანახაობრივად უფერულ შეხვედრაში 0:0 ითამაშეს.

და ბოლოს — ცხრილის თვალსაზრისით — „პიაჩენცა" და „კალიარი" უკვე მეორე ტურია სერია B-ში არიან, ხოლო კიდევ ორი არასასურველი ადგილის პატრონი ჯერ არ გარკვეულა.

**ბაპუნა ძედია**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | იუვენტუსი | 31 | 20 | 8 | 3 | 45:17 | 28 | 68 | 16 | 13 | 2 | 1 | 27:8 | 19 | 41 | 15 | 7 | 6 | 2 | 18:9 | 9 | 27 |
| 2 | ლაციო | 31 | 18 | 9 | 4 | 55:29 | 26 | 63 | 15 | 11 | 4 | 0 | 34:13 | 21 | 37 | 16 | 7 | 5 | 4 | 21:16 | 5 | 26 |
| 3 | მილანი | 31 | 14 | 12 | 5 | 59:39 | 20 | 54 | 15 | 8 | 6 | 1 | 35:18 | 17 | 30 | 16 | 6 | 6 | 4 | 24:21 | 3 | 24 |
| 4 | პარმა | 31 | 15 | 9 | 7 | 48:35 | 13 | 54 | 15 | 9 | 3 | 3 | 27:15 | 12 | 30 | 16 | 6 | 6 | 4 | 21:20 | 1 | 24 |
| 5 | ინტერი | 31 | 15 | 7 | 9 | 54:31 | 23 | 52 | 16 | 10 | 4 | 2 | 40:12 | 28 | 34 | 15 | 5 | 3 | 7 | 14:19 | -5 | 18 |
| 6 | რომა | 31 | 14 | 9 | 8 | 54:31 | 23 | 51 | 16 | 10 | 4 | 2 | 33:13 | 20 | 34 | 15 | 4 | 5 | 6 | 21:18 | 3 | 17 |
| 7 | უდინეზე | 31 | 12 | 10 | 9 | 53:40 | 13 | 46 | 16 | 8 | 4 | 4 | 34:22 | 12 | 28 | 15 | 4 | 6 | 5 | 19:18 | 1 | 18 |
| 8 | ფიორენტინა | 31 | 10 | 12 | 9 | 38:38 | 0 | 42 | 15 | 8 | 5 | 2 | 24:17 | 7 | 29 | 16 | 2 | 7 | 7 | 14:21 | -7 | 13 |
| 9 | რეჯინა | 31 | 9 | 12 | 10 | 29:36 | -7 | 39 | 16 | 6 | 6 | 4 | 15:17 | -2 | 24 | 15 | 3 | 6 | 6 | 14:19 | -5 | 15 |
| 10 | პერუჯა | 31 | 11 | 6 | 14 | 33:48 | -15 | 39 | 15 | 6 | 4 | 5 | 20:23 | -3 | 22 | 16 | 5 | 2 | 9 | 13:25 | -12 | 17 |
| 11 | ბოლონია | 31 | 9 | 11 | 11 | 27:33 | -6 | 38 | 16 | 8 | 5 | 3 | 16:9 | 7 | 29 | 15 | 1 | 6 | 8 | 11:24 | -13 | 9 |
| 12 | ვერონა | 31 | 9 | 11 | 11 | 35:42 | -7 | 38 | 15 | 7 | 5 | 3 | 19:12 | 7 | 26 | 16 | 2 | 6 | 8 | 16:30 | -14 | 12 |
| 13 | ლეჩე | 31 | 9 | 10 | 12 | 30:41 | -11 | 37 | 16 | 8 | 5 | 3 | 16:10 | 6 | 29 | 15 | 1 | 5 | 9 | 14:31 | -17 | 8 |
| 14 | ბარი | 31 | 9 | 7 | 15 | 32:47 | -15 | 34 | 15 | 6 | 7 | 2 | 19:13 | 6 | 25 | 16 | 3 | 0 | 13 | 13:34 | -21 | 9 |
| 15 | ტორინო | 31 | 6 | 12 | 13 | 30:43 | -13 | 30 | 15 | 4 | 5 | 6 | 17:21 | -4 | 17 | 16 | 2 | 7 | 7 | 13:22 | -9 | 13 |
| 16 | ვენეცია | 31 | 6 | 8 | 17 | 28:53 | -25 | 26 | 16 | 6 | 5 | 5 | 18:18 | 0 | 23 | 15 | 0 | 3 | 12 | 10:35 | -25 | 3 |
| 17 | კალიარი | 31 | 3 | 11 | 17 | 26:49 | -23 | 20 | 15 | 3 | 6 | 6 | 13:16 | -3 | 15 | 16 | 0 | 5 | 11 | 13:33 | -20 | 5 |
| 18 | პიაჩენცა | 31 | 4 | 8 | 19 | 17:41 | -24 | 20 | 16 | 3 | 6 | 7 | 11:18 | -7 | 15 | 15 | 1 | 2 | 12 | 6:23 | -17 | 5 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| შევჩენკო (მილანი) | 22 |
| კრესპო (პარმა) | 21 |
| ბატისტუტა (ფიორენტინა) | 18 |
| მონტელა (რომა) | 17 |
| ფ. ინძაგი (იუვენტუსი) | 15 |
| კ. ლუკარელი (ლეჩე) | 14 |
| ფერანტე (ტორინო) | 14 |

### XXXII ტური

30 აპრილი

კალიარი — ბოლონია
პერუჯა — ინტერი
ვერონა — იუვენტუსი
ფიორენტინა — ლეჩე
მილანი — პიაჩენცა
ტორინო — რეჯინა
ბარი — რომა
პარმა — უდინეზე
ლაციო — ვენეცია

## სერია B

### XXXI ტური

**სავოია 0:0 ჩეზენა**

**სამპდორია 0:2 ნაპოლი**

0:1 ასტრა (41), 0:2 შვოხი (69პ)

**რავენა 0:0 ალძანო**

**პისტოიეზე 0:0 მონცა**

**პესკარა 1:1 ტერნანა**

0:1 ფაბრისი (30), 1:1 ძანინი (32)

**ფერმანა 1:2 სალერნიტანა**

1:0 რუტზიტუ (44), 1:1 ვანუკი (54), 1:2 დი ჯორიო (65)

**ემპოლი 0:0 ჯენოა**

**კოზენცა 1:1 ტრევიზო**

1:0 პისანო (13), 1:1 ბეგეტო (29)

**კიევო 2:2 ბრეშა**

1:0 მარაზინა (26), 1:1 სტროპა (53), 2:1 მარაზინა (57), 2:2 უბნერი (74)

**ატალანტა 1:0 ვიჩენცა**

1:0 დონი (33პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიჩენცა | 31 | 16 | 6 | 9 | 55:33 | 54 |
| ბრეშა | 31 | 14 | 12 | 5 | 45:27 | 54 |
| ატალანტა | 31 | 15 | 8 | 8 | 41:28 | 53 |
| ნაპოლი | 31 | 13 | 11 | 7 | 43:34 | 50 |
| სამპდორია | 31 | 12 | 11 | 8 | 33:29 | 47 |
| სალერნიტანა | 31 | 12 | 9 | 10 | 45:43 | 45 |
| ჯენოა | 31 | 12 | 7 | 12 | 37:33 | 43 |
| ტრევიზო | 31 | 11 | 9 | 11 | 40:37 | 42 |
| კიევო | 31 | 10 | 10 | 11 | 39:41 | 40 |
| კოზენცა | 31 | 9 | 13 | 9 | 27:30 | 40 |
| ჩეზენა | 31 | 8 | 15 | 8 | 37:34 | 39 |
| რავენა | 31 | 9 | 12 | 10 | 30:29 | 39 |
| ტერნანა | 31 | 8 | 14 | 9 | 33:38 | 38 |
| პესკარა | 31 | 7 | 16 | 8 | 44:41 | 37 |
| ალძანო | 31 | 9 | 10 | 12 | 28:37 | 37 |
| ემპოლი | 31 | 9 | 10 | 12 | 28:44 | 37 |
| მონცა | 31 | 6 | 17 | 8 | 30:35 | 35 |
| პისტოიეზე | 31 | 9 | 9 | 13 | 28:34 | 32 |
| სავოია | 31 | 6 | 11 | 14 | 29:44 | 29 |
| ფერმანა | 31 | 5 | 10 | 16 | 29:50 | 25 |

** „პისტოიეზეს" დაკლებული აქვს 4 ქულა*

## სერია C1/A

31-ე ტური. ბრეშელო — სანდონა 3:1; ჩიტადელა — ალბინოლეფე 3:1; კომო — მონტევარკი 4:0; ლუკეზე — ლეკო 0:0; ლუმეცანე — კარარეზე 3:1; მოდენა — ლივორნო 1:1; პიზა — კრემონეზე 1:0; სიენა — სპალ 1:1; ვარეზე — რეჯანა 0:0

## სერია C1/B

31-ე ტური. ანკონა — პალერმო 2:2; არეცო — მარსალა 5:0; ატლეტიკო — ჯულიანოვა 1:4; დი სანგრო — აველინო 1:1; ფ. ანდრია — კატანია 2:0; გუალდო — კროტონე 1:1; სტაბია — ასკოლი 1:1; ნოჩერინა — ბენევენტო 1:0; ვიტერბეზე — ლოდიჯანი 2:1

## ესპანეთი

### XXXIII ტური

**ოვიედო 0:0 მალიორკა**

ოვიედო: ესტებანი, რაბარივონი, ონოპკო, ბორისი, რუბენი (გონსალესი 55), პომპეი, პაულო ბენტუ, ნადი (ხაიმე 30), კეიტა (პინტო 70), დელი ვალდესი, ლოსადა
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
მალიორკა: ლეო ფრანკო, არმანდო, ოლაიზოლა, სივიერო, მიგელ სოლერი, ლორენი, ჩიჩი სოლერი, ი. სტანკოვიჩი, იბაგასა, დიეგო ტრისტანი (კარლოსი 81), ეტოო
მწვრთნელი: ფერნანდო ვასკესი
გაფრთხილება: გონსალესი, სივიერო, ლოსადა, არმანდო, პაულო ბენტუ
გაძევება: გონსალესი (66)
მსაჯი: მედინა კანტალეხო
13 000 მაყურებელი

**ბეტისი 0:1 ალავესი**

0:1 კოდრო (53პ)
ბეტისი: ტონი პრატსი, ოტერო, რივასი, ვიდაკოვიჩი, კროსა, კანიასი, რომერო (ოლი 60), იტო (ბენჟამინი 59), დენილსონი, ფინიდი, ალფონსო
მწვრთნელი: გუს ჰიდინკი
ალავესი: ერერა, ტორეს მესტრე, კარმონა, კონტრა, ეგენი, მორალესი (ასკოიტია 79), ნან რივერა, დესიო, ასტუდილიო, მაგნო (იბონ ბეგონია 64), კოდრო (ხავი მორენო 55)
მწვრთნელი: ხოსე მანუელ მანე
გაფრთხილება: კანიასი, ნან რივერა, ხავი მორენო, იბონ ბეგონია, დესიო, ერერა
გაძევება: ნან რივერა (58)
მსაჯი: ფერნანდეს მარინი
30 000 მაყურებელი

**დეპორტივო 2:0 სოსიედადი**

1:0 მაკაი (34), 2:0 სესარი (43)
დეპორტივო: სონგო, შურერი, სესარი (რომერო 61), მანუელ პაბლო, დონატო, ჯალმინია (პაულეტა 82), ფრანი (ტურუ ფლორესი 65), მაურო სილვა, იოკანოვიჩი, მაკაი, ვიქტორ სანჩესი
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
სოსიედადი: ალბერტო, პიკაბეა, გურუჩაგა, არანსაბალი, ხ. გერერო (ლოპეს რეკარტე 52), ხოხლოვი, გომესი (ადეპოჟუ 66), ხაურეგი (დე პედრო 52), სა პინტუ, იანკაუსკასი, დე პაულა
მწვრთნელი: ხავიერ კლემენტე
გაფრთხილება: ჯალმინია, დე პედრო, გურუჩაგა, სა პინტუ
გაძევება: სა პინტუ (68)
მსაჯი: ესკინას ტორესი
32 000 მაყურებელი

**ვალიადოლიდი 1:0 ესპანიოლი**

1:0 როდრიგო (89პ)
ვალიადოლიდი: სესარი, პენა, გარსია კალვო, სანტამარია, ტორეს გომესი, მარკოსი, ჰაინცე, მარკესი (კამინერო 46), ვიქტორი, ალბერტო (შოჯი ჯო 6[illegible]), როდრიგო
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
ესპანიოლი: მორა, კრისტობალი, სოლდევილა, პოჩეტინიო, ივან დიასი (არტეაგა 6[illegible]), სერხიო, როხერი, გალკა, ველამასანი, მანელი (ტამუდო 63), სერანო (მაურო ნავასი 72)
მწვრთნელი: პაკო ფლორესი
გაფრთხილება: პენა, ტამუდო, სერხიო, როხერი
მსაჯი: ბუენო ხრიმალი
9 000 მაყურებელი

**რეალი 2:4 რასინგი**

1:0 რობერტო კარლოსი (27), 1:1 მანხარინი (28), 1:2 ვივარ დორადო (44), 1:3 სალვა (55), 2:3 მაკმანამანი (58), 2:4 სალვა (74პ)
რეალი: კასილიასი, მიჩელ სალგადო (ჯერემი 24), რობერტო კარლოსი, კარანკა (ბალიჩი 58), ივან კამპო, ი. ელგერა, რედონდო, სავიო (ანელკა 46), მაკმანამანი, რაული, მორიენტესი
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
რასინგი: ლემენსი, ტაისი, სიეტესი, მელბერგი, არსენო, კოლსა, ესპინია, ვივარ დორადო (შუსტიკოვი 70), მანხარინი (ჩემა 76), სალვა (ბესჩასტნიხი 85), მუნიტისი
მწვრთნელი: გუსტავო ბენიტესი
გაფრთხილება: კარანკა, ელგერა, ჯერემი
მსაჯი: კარმონა მენდესი
40 000 მაყურებელი

# დაიღალნენ და რა ქნან



REUTERS მადრიდიდან

რეალი — რასინგი 2:4. მადრიდელი რობერტო კარლოსი სანტანდერელ გონსალო კოლსას გასცდა და გოლიც გაიტანა

**ვალენსია 2:0 ატლეტიკო**

1:0 კლაუდიო ლოპესი (23), 2:0 ანგულო (90)
ვალენსია: კანისარესი, ბიორკლუნდი, პელეგრინო, ანგლომა, ჯუკიჩი, ანგულო, ხერარდი (ალბელდა 60), კილი გონსალესი, მენდიეტა (ხუან სანჩესი 76), ფარინოსი (ოსკარი 90), კლაუდიო ლოპესი
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
ატლეტიკო: მოლინა, აგილერა, გასპარი, კაპდევილა, გამარა, სანტი, უგო ლეალი, ბეიბლი (ბარახა 67), სოლარი (ვალერონი 75), პაუნოვიჩი, კიკო ნარვაესი (ლუკე 70)
მწვრთნელი: რადომირ ანტიჩი
გაფრთხილება: უგო ლეალი, გამარა, სოლარი, ანგლომა, მენდიეტა
მწვრთნელი: ლონჩი ანდრეუ
40 000 მაყურებელი

**ბილბაო 1:0 სელტა**

1:0 ურსაისი (87)
ბილბაო: ლაფუენტე, ფელიპე, ლარაინსარი, კარლოს გარსია, ალკორტა, ხოსე მარი (ტიკო 64), ხავი გონსალესი (ურსაისი 73), ურუტია, ალკისა, ხ. ეჩებერია, ესკერო
მწვრთნელი: ლუის ფერნანდესი
სელტა: პინტო, სერხიო, ველასკო (ვივასი 55), კასერესი, მოსტოვოი, ჯოვანელა, მაკელელე, სელადესი, კარპინი, რევივო (გუსტავო ლოპესი 68), ტურდო (ბენი მაკკარტი 82)
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
გაფრთხილება: ლაფუენტე, მოსტოვოი, ურუტია, სერხიო, ალკისა, ველასკო, ფელიპე, კარპინი, კარლოს გარსია, კასერესი, ლარაინსარი
მსაჯი: ტურიენსო ალვარესი
28 000 მაყურებელი

**ბარსელონა 2:0 სევილია**

1:0 კლუივერტი (20), 2:0 ლიტმანენი (90)
ბარსელონა: ჰესპი, რაიციგერი, პიუოლი, ფ. დე ბური, გვარდიოლა, კოკუ (დანი 46), გაბრი (ბოგარდი 79), ზენდენი, ფიგუ, რივალდო (ლიტმანენი 56), კლუივერტი
მწვრთნელი: ლუის ვან გაალი
სევილია: ოლსენი, ჰიბიჩი, ექტორი, ნანდო, მარჩენა, იურიჩი (კევედო 85), ანხელი, ცარტასი, ვიქტორი (ლორენი 69), ხუან კარლოსი (მარსელო ოტერო 63), ხესული
მწვრთნელი: ხუან ანტონიო ალვარესი
გაფრთხილება: გვარდიოლა, ანხელი, გაბრი, იურიჩი
მსაჯი: ანდრადას ასურმენდი
40 000 მაყურებელი

**ნუმანსია 1:2 სარაგოსა**

0:1, 0:2 იორდი (2, 6), 1:2 ივან როჩა (45პ)
ნუმანსია: ნუნიესი, იან როჩა, ოქტავიო, მუნისი, ხაუმე (ბარბუ 74), მორანი, პაჩეტა, ნაგორე, ოხედა (რივერა 80), დელგადო (რუბენ ნავარო 34), ინიაკი
მწვრთნელი: ანდონი გოიკოეჩეა
სარაგოსა: ხუანმი, სუნდგრენი, პაკო ხემესი, აგუადო, ლანა, მარკოს ვალესი (ხოსე იგნასიო 72), ტორო აკუნია, გარიტანო, ველისკა (კუარტერო 43), იორდი, მილოშევიჩი
მწვრთნელი: ხოსე ფრანსისკო როხო
გაფრთხილება: ინიაკი, მუნისი, ხოსე იგნასიო, პაკო ხემესი, მილოშევიჩი
მსაჯი: ლოპეს ნიეტო
10 000 მაყურებელი

**მალაგა 2:0 რაიო ვალეკანო**

1:0 დარიო სილვა (32), 2:0 კიკი მუსამპა (80)
მალაგა: კონტრერასი, როხასი, ლარაინსარი, ვალკარსე, ფერნანდო სანსი, სანდრო (როტეტა 85), მოვილია, აგუსტინო (კიკი მუსამპა 62), დე ლოს სანტოსი, კატანია, დარიო სილვა (ლუკე 83)
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო
რაიო ვალეკანო: ლოპეტეგი, პაბლო სანსი (მიჩელ II 60), ამაია, კოტა, ფერონი (ესტიბარისი 39), ერნანდესი, ალკასარი, ლუის სემბრანოსი (ვან დენ ბერგი 57), პოშნერი, მიჩელ I, ბოლო
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
გაფრთხილება: როხასი, ერნანდესი, ფერონი, დარიო სილვა
გაძევება: ერნანდესი (72)
მსაჯი: პუენტეს ლეირა
15 000 მაყურებელი

ოთხი ტურიც და ესპანეთის ჩემპიონის ვინაობას შევიტყობთ. ახლა კი ასეა — გამარჯვების შანსი (თუნდაც მხოლოდ თეორიული) ერთბაშად ექვს გუნდს აქვს. თუმცა თეორია თეორიად, პრაქტიკულად კი „დეპორტივოს" გასწრებას, ალბათ, „ბარსელონა" თუ შეძლებს.

„ჩელსისთან" ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ ლუის ვან გაალმა თქვა, დარჩენილ ხუთ ტურში თხუთმეტ ქულას ავიღებთო. ამ თხუთმეტიდან სამი უკვე მოპოვებულია და ჰოლანდიელი მწვრთნელი, თუ სასწაული არ მოხდა, სიტყვას შეასრულებს. მაშ, რას ველოდოთ? დაკარგავს „დეპორტივო" ხუთ ქულას? ეგებ ასეც მოხდეს. ლაკორუნიელთა დარჩენილი მეტოქეები „სელტა", „სარაგოსა", „რასინგი" და „ესპანიოლი" არიან. ცხადია, „სარაგოსა" იოლად არაფერს დათმობს — ჩემპიონობის შანსი აქვს, ხოლო „ესპანიოლი" და სელტა" ევროტურნირის საგზურისთვის (თუნდაც ინტერტოტო იყოს) იბრძვიან.

რაც ზემოთ ვთქვით, მხოლოდ და მხოლოდ თეორია და ვარაუდებია. მათ სისწორეს კი დრო გვიჩვენებს. ახლა უკვე მომხდარ ამბებს მივხედოთ. 34-ე ტურში ექვსეულიდან ხუთმა მოიგო, ერთმა კი წააგო. ჩვენც დამარცხებულით დავიწყოთ.

რამდენად სენსაციურია „სანტიაგო ბერნაბეუზე" „რეალისა" და „რასინგის" მატჩის შედეგი? ზოგადად, „რეალი" „რასინგისგან" ოთხ გოლს არ უნდა უშვებდეს, თუმცა მადრიდელთა განადგურებას თავისი ახსნაც მოეძებნება. გავიხსენოთ, „რეალმა" მიმდინარე სეზონში ორი უაღრესად პრინციპული თამაში მოიგო: „ბარსელონასთან" ესპანეთის ჩემპიონატში და „მანჩესტერთან" ჩემპიონთა ლიგაში. ამ გამარჯვებების შემდეგ კი გუნდი ჩავარდა — 2:4 „ბაიერნთანაც" და „რასინგთანაც". ეს ერთ რამეს უნდა ნიშნავდეს, „სამეფო კლუბს" ყოველ მესამე-მეოთხე დღეს თამაში უჭირს და ენერგიის აღდგენას ვერ ახერხებს. გასაკვირია? ალბათ, არა. ქვეყნის პირველობა, თასი, ჩემპიონთა ლიგა, მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი, ამას ფეხბურთელების სანაკრებო შეხვედრებიც დავუმატოთ და ჯამში სამოცდაათზე მეტი გამოდის. ცხადია, სხვა დიდ კლუბებსაც მსგავსი გადატვირთული კალენდრები აქვთ, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ სხვათაგან განსხვავებით „რეალს" ფეხბურთელების მწირი არჩევანი აქვს. „მანჩესტერს", „ბარსელონასა" და კიდევ ბარე ორს შეუძლიათ, სათადარიგო მოთამაშეთაგან მეორე, თითქმის სრულფასოვანი გუნდი იყოლიონ. დელ ბოსკე კი თერთმეტ კაცს ძლივს უყრის თავს. აგერ რობერტო კარლოსმა ერთი კვირის წინ თქვა, აღარ შემიძლია ამდენი თამაში, გადავიღალეო. არადა, ეს ფეხბურთელი რომ ამტანია...

ეს მიზეზია თუ რაიმე სხვა, „რეალი" გათამაშების ცხრილში მეოთხე ადგილზე გადავიდა და გაჩემპიონების იმედიც პრაქტიკულად დაკარგა.

კატალონიელთა სამწუხაროდ, „დეპორტივომ" მორიგი სამი ქულა მიითვალა. ამ მატჩის გამარჯვებულის ვინაობა პირველივე ტაიმში გაირკვა, როდესაც როი მაკაიმ და სესარმა ბასკებს ორი გოლი გაუტანეს. ამას შესვენების შემდეგ სოსიედადელი რიკარდო სა პინტუს გაძევებაც დაერთო.

ასეთივე ანგარიშით მოუგო „ბარსელონამ" აუტსაიდერ „სევილიას". მათგან პატრიკ კლუივერტმა და იარი ლიტმანენმა ისახელეს თავი, რითაც სევილიელებს მეორე დივიზიონისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი [illegible].

კვლავ „დეპორტივოსა" და „ბარსელონას" საჩემპიონო ბრძოლას მივუბრუნდეთ. რა მოხდება, თუ ისინი ჩემპიონატს ქულათა თანაბარი რაოდენობით დაასრულებენ? ამ შემთხვევაში, დებულების თანახმად, უპირატესობა ურთიერთშეხვედრებში უკეთეს შედეგს ენიჭება. გუნდების პირველი მატჩი ლა კორუნიაში „დეპორტივოს" გამარჯვებით — 2:1 დასრულდა. ასეთივე ანგარიში იყო ბარსელონაში, იქ მასპინძლებმა მოიგეს. უკეთესი გუნდის გამოვლენის მეორე კრიტერიუმი ბურთების შეფარდება გახლავთ. დღეისთვის გალისიელთა ეს მაჩვენებელი პლუს ოცდაერთია, კატალონიელთა — პლუს ოცდასამი. როგორც ვხედავთ, სხვაობა უმნიშვნელოა და შეიძლება დეპორტივოელთა სასარგებლოდაც შეიცვალოს.

„სარაგოსა", „ალავესი", „ვალენსია" — მათ გაჩემპიონება ჯერ კიდევ ხელეწიფებათ, მაგრამ უფრო რეალური მიზანი მომავალი სეზონისთვის უპირველესი ევროტურნირის საგზურის მოპოვება გახლავთ. 34-ე ტურში სამივემ მოიგო: სარაგოსელები „ნუმანსიასთან" სტუმრობდნენ და მე-6 წუთზე ხორდი გონსალესს უკვე ორი გოლი ჰქონდა გატანილი. ექტორ კუპერის ბიჭებმა მადრიდის „ატლეტიკოსთან" მატჩში პირველივე წუთებზე არა, მაგრამ მაინც იხეირეს — გოლები კლაუდიო ლოპესის და მიგელ ანხელ ანგულოს ანგარიშზეა. ყველაზე მეტად კი „ალავესს" გაუჭირდა. ვიტორიელებს ისევ მეტოქემ უშველა — ბეტისელებმა საკუთარ საჯარიმოში წესები დაარღვიეს და მეხო კორდოს პენალტის გატანის საშუალება მისცეს.

ბოლოს კი „ვალენსიასგან" ძლეული მადრიდელები ვახსენოთ. გაისად სეგუნდა დივიზიონში ხესუს ხილს, ალბათ, ორი გუნდი ეყოლება — „ატლეტიკო" და „ატლეტიკო B". ხილის ამბავი რომ ვიცით, სარეზერვო გუნდს პირველთან მატჩებში ქულებს დაათმობინებს, აბა, რას იზამს.

**გიორგი დარჯანია**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 დეპორტივო | 34 | 20 | 4 | 10 | 61:40 | 21 | 64 | 17 | 15 | 0 | 2 | 43:17 | 26 | 45 | 17 | 5 | 4 | 8 | 18:23 | -5 | 19 |
| 2 ბარსელონა | 34 | 18 | 5 | 11 | 65:42 | 23 | 59 | 17 | 13 | 1 | 3 | 40:14 | 26 | 40 | 17 | 5 | 4 | 8 | 25:28 | -3 | 19 |
| 3 სარაგოსა | 34 | 15 | 13 | 6 | 54:34 | 20 | 58 | 17 | 10 | 6 | 1 | 33:15 | 18 | 36 | 17 | 5 | 7 | 5 | 21:19 | 2 | 22 |
| 4 რეალი | 34 | 14 | 14 | 6 | 54:46 | 8 | 56 | 17 | 9 | 4 | 4 | 31:25 | 6 | 31 | 17 | 5 | 10 | 2 | 23:21 | 2 | 25 |
| 5 ვალენსია | 34 | 15 | 9 | 10 | 50:37 | 13 | 54 | 17 | 10 | 4 | 3 | 34:15 | 19 | 34 | 17 | 5 | 5 | 7 | 16:22 | -6 | 20 |
| 6 ალავესი | 34 | 15 | 9 | 10 | 36:33 | 3 | 54 | 17 | 9 | 3 | 5 | 20:16 | 4 | 30 | 17 | 6 | 6 | 5 | 16:17 | -1 | 24 |
| 7 ვალიადოლიდი | 34 | 12 | 11 | 11 | 33:39 | -6 | 47 | 17 | 10 | 3 | 4 | 24:16 | 8 | 33 | 17 | 2 | 8 | 7 | 9:23 | -14 | 14 |
| 8 ესპანიოლი | 34 | 12 | 10 | 12 | 51:42 | 9 | 46 | 17 | 8 | 6 | 3 | 31:18 | 13 | 30 | 17 | 4 | 4 | 9 | 20:24 | -4 | 16 |
| 9 მალაგა | 34 | 11 | 13 | 10 | 51:44 | 7 | 46 | 17 | 7 | 6 | 4 | 25:13 | 12 | 27 | 17 | 4 | 7 | 6 | 26:31 | -5 | 19 |
| 10 რაიო | 34 | 13 | 7 | 14 | 44:46 | -2 | 46 | 17 | 8 | 3 | 6 | 26:19 | 7 | 27 | 17 | 5 | 4 | 8 | 18:27 | -9 | 19 |
| 11 მალიორკა | 34 | 12 | 9 | 13 | 42:41 | 1 | 45 | 17 | 10 | 4 | 3 | 28:18 | 10 | 34 | 17 | 2 | 5 | 10 | 14:23 | -9 | 11 |
| 12 სელტა | 34 | 13 | 6 | 15 | 40:40 | 0 | 45 | 17 | 9 | 4 | 4 | 29:19 | 10 | 31 | 17 | 4 | 2 | 11 | 11:21 | -10 | 14 |
| 13 ბილბაო | 34 | 11 | 11 | 12 | 43:54 | -11 | 44 | 17 | 7 | 7 | 3 | 25:23 | 2 | 28 | 17 | 4 | 4 | 9 | 18:31 | -13 | 16 |
| 14 რასინგი | 34 | 10 | 12 | 12 | 49:47 | 2 | 42 | 17 | 3 | 11 | 3 | 24:21 | 3 | 20 | 17 | 7 | 1 | 10 | 25:26 | -1 | 22 |
| 15 სოსიედადი | 34 | 10 | 12 | 12 | 39:43 | -4 | 42 | 17 | 9 | 5 | 3 | 26:17 | 9 | 32 | 17 | 1 | 7 | 9 | 13:26 | -13 | 10 |
| 16 ნუმანსია | 34 | 10 | 10 | 14 | 41:54 | -13 | 40 | 17 | 8 | 6 | 3 | 27:16 | 11 | 30 | 17 | 2 | 4 | 11 | 14:38 | -24 | 10 |
| 17 ოვიედო | 34 | 9 | 11 | 14 | 37:54 | -17 | 38 | 17 | 9 | 6 | 2 | 21:10 | 11 | 33 | 17 | 0 | 5 | 12 | 16:44 | -28 | 5 |
| 18 ბეტისი | 34 | 9 | 9 | 16 | 28:49 | -21 | 36 | 18 | 8 | 6 | 4 | 19:16 | 3 | 30 | 16 | 1 | 3 | 12 | 9:33 | -24 | 6 |
| 19 ატლეტიკო | 34 | 8 | 9 | 17 | 43:57 | -14 | 33 | 17 | 5 | 7 | 5 | 25:21 | 4 | 22 | 17 | 3 | 2 | 12 | 18:36 | -18 | 11 |
| 20 სევილია | 34 | 5 | 12 | 17 | 37:56 | -19 | 27 | 16 | 5 | 6 | 5 | 21:17 | 4 | 21 | 18 | 0 | 6 | 12 | 16:39 | -23 | 6 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| სალვა (რასინგი) | 25 |
| ჰასელბაინკი (ატლეტიკო) | 23 |
| კატანია (მალაგა) | 23 |
| მაკაი (დეპორტივო) | 20 |
| მილოშევიჩი (სარაგოსა) | 19 |

### XXXV ტური

30 აპრილი

მალიორკა — ბეტისი
ალავესი — ვალიადოლიდი
ესპანიოლი — რეალი
რასინგი — ნუმანსია
სარაგოსა — ბილბაო
სელტა — დეპორტივო
სოსიედადი — მალაგა
რაიო — ვალენსია
ატლეტიკო — ბარსელონა
სევილია — ოვიედო

## მეორე დივიზიონი

### XXXVI ტური

**კორდობა 0:4 ბადახოსი**

0:1 სანდრო (4), 0:2, 0:3, 0:4 საბინო (17, 19, 49პ)

**ოსასუნა 2:0 ეიბარი**

1:0 კუკო სიგანდა (45), 2:0 არპონი (84)

**ლეგანესი 0:0 ელჩე**

**ტოლედო 1:1 ტენერიფე**

1:0 ლუის გარსია (72), 1:1 ბარატა (75)

**მერიდა 1:0 ლევანტე**

1:0 პრიეტო (10)

**ლას პალმასი 2:1 ალბასეტე**

1:0 ოლიასი (58), 2:0 ელოი (80), 2:1 ხავი გერერო (83)

**ლეიდა 2:3 ესტრემადურა**

1:0 ხავი პენია (17), 1:1, 1:2 დურე (41, 47), 1:3 რუედა (49), 2:3 როა (90)

**ატლეტიკო B 1:4 ვილიარეალი**

0:1 ბერუეტი (4), 0:2 კრაიოვეანუ (7), 0:3 მოიზესი (56), 0:4 ხაიტანი (79პ), 1:4 ხუანმა (89)

**ლოგრონიესი 0:0 სალამანკა**

**კომპოსტელა 3:2 ხეტაფე**

0:1 კაიკუ (18), 1:1 მაურო (21), 2:1 საულა (37), 2:2 კაიკუ (61), 3:2 ჩანგუი (90)

**უელვა 0:1 სპორტინგი**

0:1 მონჩუ (72)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლას პალმასი | 36 | 16 | 11 | 9 | 48:34 | 59 |
| ვილიარეალი | 36 | 16 | 10 | 10 | 52:38 | 58 |
| ესტრემადურა | 36 | 15 | 12 | 9 | 43:37 | 57 |
| ლეიდა | 36 | 16 | 7 | 13 | 55:44 | 55 |
| სპორტინგი | 36 | 16 | 7 | 13 | 48:41 | 55 |
| ოსასუნა | 36 | 16 | 6 | 14 | 35:30 | 54 |
| სალამანკა | 36 | 14 | 11 | 11 | 43:36 | 53 |
| ლევანტე | 36 | 13 | 13 | 10 | 45:43 | 52 |
| ტენერიფე | 36 | 13 | 11 | 12 | 44:41 | 50 |
| კორდობა | 36 | 13 | 11 | 12 | 39:38 | 50 |
| მერიდა | 36 | 12 | 13 | 11 | 34:33 | 49 |
| ლეგანესი | 36 | 13 | 13 | 10 | 37:37 | 49 |
| ბადახოსი | 36 | 9 | 21 | 6 | 33:29 | 48 |
| ალბასეტე | 36 | 12 | 12 | 12 | 41:46 | 48 |
| ელჩე | 36 | 10 | 16 | 10 | 39:43 | 46 |
| ეიბარი | 36 | 11 | 13 | 12 | 39:45 | 46 |
| ხეტაფე | 36 | 12 | 8 | 16 | 35:40 | 44 |
| ატლეტიკო B | 36 | 11 | 9 | 16 | 38:49 | 42 |
| კომპოსტელა | 36 | 9 | 14 | 13 | 43:49 | 41 |
| უელვა | 36 | 10 | 9 | 17 | 36:47 | 39 |
| ლოგრონიესი | 36 | 9 | 11 | 16 | 44:49 | 38 |
| ტოლედო | 36 | 7 | 8 | 21 | 27:49 | 29 |

## ინგლისი

### XXXIV ტური

**ბრედფორდი 4:4 დერბი ქაუნთი**

0:1 დელაპი (1), 1:1 უინდასი (11), 1:2 შტრუპარი (6), 2:2 უინდასი (18), 3:2 ბიგრი (27პ), 3:3 ბარლი (36პ), 4:3 უინდასი (44), 4:4 ბარლი (52პ)
ბრედფორდი: კლარკი, მაკკოლი, ვეზეროლი, ვესტვუდი (სონდერსი 71), ბლეიქი, ბიგრი, ობრაიენი, უინდასი, ჰალე, დრეიერი, ჯაკობსი (რანკინი 77)
მწვრთნელი: პოლ ჯუელი
დერბი ქაუნთი: პოომი, კარბონარი, პაუელი, დორიგო, ჯონსონი, დელაპი, კრისტი, ლაურსენი, ს. ელიოტი, ბარლი, შტრუპარი (ძინძლაძე 65)
მწვრთნელი: ჯიმ სმიტი
გაფრთხილება: ვესტვუდი, ჰალე, უინდასი, დრეიერი, ჯონსონი, კრისტი, კარბონარი
გაძევება: დელაპი (26)
მსაჯი: უილკი
18 276 მაყურებელი

**ევერტონი 0:0 ლივერპული**

ევერტონი: ჟერარი, დანი, შავიერი, ვეირი, ანსუორთი, პემბრიჯი (ბოლი 85), კოლინზი, ს. ჰიუზი, ბარმბი (უორდი 89), მარკ ჰიუზი (ჯეფერსი 81), ჰათჩისონი
მწვრთნელი: უოლტერ სმიტი
ლივერპული: ვესტერველდი, კარაგერი, ენჩოსი, ჰიიპია, მატეო, ტომპსონი (შეგემი 56), ჰამანი, ჯერარდი, ბერგერი, ოუენი, ჰესკი (ფაულერი 46)
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
გაფრთხილება: ტომპსონი, ჰამანი, ენჩოსი
მსაჯი: პოლი
40 052 მაყურებელი

**ნიუკასლი 2:2 ლიდსი**

0:1 ბრიჯისი (12), 0:2 უილკოქსი (17), 1:2, 2:2 შირერი (24, 48)
ნიუკასლი: გივენი, უ. ბარტონი, ჰაუი, დაბიზასი, ა. ჰიუზი, გავილანი (ანტუნესი 86), ლი, ჰელდერი (მარსელინო 65), დომი, დაიერი (მარიჩი 80), შირერი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
ლიდსი: მარტინი, მილსი, რადებე, დაბერი, ჰარტი (ბოიერი 77), ბაკე, ჰაალანდი, მაკფაილი, უილკოქსი, ბრიჯისი (ჰაკერბი 80), კიუელი
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
გაფრთხილება: შირერი, ჰაალანდი, ჰარტი, კიუელი, ბაკე
მსაჯი: ელერეი
36 460 მაყურებელი

**უოტფორდი 2:3 არსენალი**

0:1 ანრი (18), 0:2 პარლოუ (43), 0:3 ანრი (45), 1:3 ჰელგუსონი (58), 2:3 ჰიდი (60)
უოტფორდი: ჩემბერლენი, უორდი, პეიჯი, რობინსონი, კოქსი, პალმერი, ჰიდი, პერპეტუინი (ჯონსონი 86), მ. სმიტი, სმარტი (გუდმუნდსონი 72), ჰელგუსონი
მწვრთნელი: გრემ ტეილორი
არსენალი: სიმენი, ლუჟნი, კიოუნი, უინტერბერნი, პარლოუ, ვიეირა, პეტი, გრიმანდი, ბერხკამპი, ანრი, ოვერმარსი (სილვინიო 63)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: ჰელგუსონი, პეიჯი, ბერხკამპი, კიოუნი, ვიეირა
მსაჯი: ჰარისი
19 670 მაყურებელი

**ასტონ ვილა 2:2 ლესტერი**

1:0 ტომპსონი (31), 1:1 ელიოტი (36), 2:1 მერსონი (48), 2:2 ლენონი (67)
ასტონ ვილა: ჯეიმსი, ეჰიოგუ, სამუელი, ბერი, უოტსონი, ტომპსონი (ჰენდრი 72), ბოატენგი, მერსონი, ა. რაიტი, დაბლინი (ჯოუჩიმი 80), კარბონე
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
ლესტერი: ფლაუერსი, ფ. სინკლერი, ტაგარტი, ჯილკრისტი, იმპი, სევიჯი, ლენონი, ოუქსი (დადფილდი 59), იზეტი (ზაგორაკისი 72), კოტი, მ.ელიოტი
მწვრთნელი: მარტინ ონილი
გაფრთხილება: ბოატენგი, უოტსონი, ჰენდრი, ტაგარტი, ლენონი
მსაჯი: ბარბერი
31 229 მაყურებელი

**ჩელსი 1:1 მიდლსბრო**

1:0 პოიეტი (10), 1:1 რიკარდი (37)
ჩელსი: დე გუი, მელხიოტი (ჰარლი 72), ტომე, დესაი, ლამბური, პოიეტი, დეშამპი (მორისი 61), უაიზი, ამბროზეტი, სატონი, ძოლა (ფლო 61)
მწვრთნელი: ჯანლუკა ვიალი
მიდლსბრო: შვარცერი, კუპერი, ვიკერსი, ფესტა, ფლემინგი, სამერბელი, ინსი, მასტო, ციგე, დინი, რიკარდი (ე. კემპბელი 78)
მწვრთნელი: ბრაიან რობსონი
გაფრთხილება: ფლემინგი
მსაჯი: რენიე
34 467 მაყურებელი

**უენსდი 0:2 სანდერლენდი**

0:1, 0:2 ფილიპსი (86, 90)
შეფილდ უენსდი: პრესმენი, ჰასლამი, აზერტონი, უოლკერი, ჰინჩკლიფი, ალექსანდერსონი (სონერი 88), იონკი, ჰორნი (სიბონი 88), ე. ქუინი, ბუტი (კროსველი 80), დე ბილდე
მწვრთნელი: პიტერ შრივსი
სანდერლენდი: სორენსენი, მაკინი, ბატლერი, კრადოკი, გრეი, ჰოლოვეი (უილიამსი 55), რაე, რუა, კილბეინი (ოსტერი 66), ნ. ქუინი (დიჩიო 75), ფილიპსი
მწვრთნელი: პიტერ რიდი
გაფრთხილება: კროსველი
მსაჯი: რიდი
28 072 მაყურებელი

**საუთჰემპტონი 1:3 მანჩესტერი**

0:1 ბექემი (7), 0:2 ბენალი (15ს.კ.), 0:3 სოლსკიაერი (29), 1:3 პახარსი (83)
საუთჰემპტონი: მოსი, დოდი, რიჩარდსი, ლუნდეკვამი, ბენალი (კაჩლული 46), ტესემი, ტაჰარი (ოუკლი 82), მარსდენი, ბრიჯი, დევისი (ლე ტისიე 71), პახარსი
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
მანჩესტერი: ვან დერ გოუ, გ. ნევილი, სტამი, სილვესტრი, ფ. ნევილი, ბექემი, ბათი, როი კინი, გიგზი (იონსენი 58), სოლსკიაერი (შერინგემი 71), ე. კოული (იორკი 71)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: პახარსი, დევისი, კინი
მსაჯი: ბერი
15 245 მაყურებელი

**ტოტენჰემი 2:0 უიმბლდონი**

1:0 არმსტრონგი (8), 2:0 ანდერტონი (36)
ტოტენჰემი: ი. უოქერი, კარი, სოლ კემპბელი, პერი, კლემენსი, კორსტენი, ფროინდი, ანდერტონი, ჟინოლა (ეზერინგტონი 73), ივერსენი, კ. არმსტრონგი
მწვრთნელი: ჯორჯ გრემი
უიმბლდონი: სალივანი, იუპი, კანინგემი, ჰრეიდარსონი, კიმბლი, ანდერსენი, რობერტსი, მაიკლ ჰიუზი, იუელი, გეილი (ლუნდი 82), კორტი, ანდრესენი (ფრანცისი 79)
მწვრთნელი: ეგილ ოლსენი
გაფრთხილება: კიმბლი
მსაჯი: გალაჰერი
33 086 მაყურებელი

**ვესტ ჰემი 5:0 ქოვენთრი**

1:0 კარიკი (7), 2:0 მარგასი (14), 3:0, 4:0 დი კანიო (48, 67), 5:0 კანო (83)
ვესტ ჰემი: ფიუერი, ტ. სინკლერი, რ. ფერდინანდი, შტიმაცი, მარგასი, მინტო (ნიუტონი 86), ლამპარდი, კარიკი, დი კანიო, ვანჩოპე, კანო
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
ქოვენთრი: ჰედმანი, ტელფერი, ბრინი, ჰენდრი (შოუ 57), ბოროუზი, მ. ქუინი (ბეტსი 73), ოსტიჩი, მაკალისტერი, ნორმანი (რუსელი 46), ველანი, რობი კინი
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
გაფრთხილება: შტიმაცი
მსაჯი: დურსო
24 719 მაყურებელი

# შორო და შორო ძნელია?
## მანჩესტერი კვლავ ჩემპიონია



REUTERS უოტფორდიდან

უოტფორდი — არსენალი 2:3. ლონდონელი დენის ბერხკამპი უოტფორდელ რობერტ პეიჯს გაურბის

შაბათ საღამოს, საუთჰემპტონში „მანჩესტერ იუნაიტედი“ ბოლო რვა სეზონში მეექვსედ გახდა პრემიერლიგის ჩემპიონი. სათამაშო კვირა მეტად ტევადი გამოვიდა — ოთხშაბათს „მანჩესტერი“ ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდა, შაბათს კი ბოლომდე მიიყვანა საქმე, რომელსაც ბოლო თვეებია, ყველა მოელოდა. საუთჰემპტონში თამაშის ბედი პირველ თხუთმეტ წუთში გადაწყდა: დევიდ ბექემმა ჯარიმა გაიტანა, „საუთჰემპტონის“ მცველმა ბენალიმ კი ზუსტად ისე შეაგდო საკუთარ კარში, როგორც სამი დღის წინათ, როი კინმა „რეალთან“ თამაშისას.

წინა დღით, უგოლოდ დასრულდა მერსისაიდული დერბი „ევერტონსა“ და მეორე ადგილზე მდგომ „ლივერპულს“ შორის. შეხვედრის ბოლო წამზე კურიოზული გოლი გავიდა: თავისი საჯარიმოდან ჯარიმა დაარტყა „ლივერპულის“ მეკარე სანდერ ვესტერველდმა. ბურთი ზურგში მოხვდა ევერტონელ დან ჰათჩისონს და კარში შევარდა. ერთი ამბავი კი ატყდა, მაგრამ მსაჯმა ჯონ პოლმა არჩასათვლელი არ ჩათვალა — ჰათჩისონი ცხრა მეტრში უნდა მდგარიყო.

კვირას, „არსენალმა“ დრამატული ანგარიშის მიუხედავად ძალიან იოლად მოუგო „უოტფორდს“, თუმცალა არსენ ვენგერს ეს ამბავი დიდად არ გახარებია: „შარშან პრემიერლიგას საინტერესო ბოლო ჰქონდა. უკანასკნელ ტურამდე ვდიეთ „მანჩესტერს“. წლეულს კი რაღა იყო? მათ არ ითამაშეს ასოციაციის თასზე, დაისვენეს ზამთარში... დიდი ფორა ჰქონდათ. წლევანდელი პრემიერლიგის კალენდარი „მანჩესტერზე“ ააწყვეს. სეზონის დასაწყისში რამდენიმე ქულა დავკარგეთ და ეს საკმარისი იყო, რომ ველარ დავწეოდით. აბა, წარმოიდგინეთ, მაიკ ტაისონთან გაჩხუბებენ და მას ფორას აძლევენ. რა გამოვა?“

სერ ალექს ფერგიუსონი კი კმაყოფილიც იყო და სევდიანიც და უფრო მომავალზე ფიქრობდა: „ჩვენ გაისად უკეთესი გუნდი ვიქნებით. ამის პოტენციალი არსებობს. და რაც მთავარია, არსებობს მოტივაცია, რომ ევროპაში, სადაც წელს ხელი მოგვეცარა, მეტი ხმაურით შევალებთ კარს. რაც მაიმედებს, გუნდში გამეფებული უტეხი სული და მეგობრობის გრძნობაა“.

„მანჩესტერის“ კვალად ჩემპიონთა ლიგის საგზურს „ლივერპული“ და „არსენალი“ უახლოვდებიან, „ჩელსი“ და „ლიდსი“ კი კვლავ ჭიდაობენ. სააღდგომო დღეებში ორივემ ფრედ ითამაშა, თან ორივე იგებდა, „ლიდსი“ „ნიუკასლთან“, „ჩელსი“ კი „მიდლსბროსთან“. მაგრამ, იქეთ ალან შირერმა გაიტანა ორი გოლი, აქეთ, ამილტონ რიკარდმა და ქულები განაწილდა.

მოკლედ, პრემიერლიგას ძველი, ახალი ჩემპიონი ჰყავს. რაიან გიგზმა კი თქვა:

„ყოველ წელიწადს უფროდაუფრო ძნელია“.

რას გულისხმობდა მანჩესტერელთა მფრინავი ცაცია, ძნელი სათქმელია. „იუნაიტედმა“ წელს უფრო მსუბუქად მოიგო ტიტული, ვიდრე შარშან, ან სამი წლის წინათ. გიგზი კი ექვსივე საჩემპიონო სეზონის მონაწილეა და ყველაფერი კარგად ახსოვს.

**ირაკლი გამყრელიძე**

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | მანჩესტერი | 35 | 25 | 7 | 3 | 90:42 | 48 | 82 | 18 | 14 | 4 | 0 | 56:15 | 41 | 46 | 17 | 11 | 3 | 3 | 34:27 | 7 | 36 |
| 2 | ლივერპული | 34 | 19 | 9 | 6 | 51:25 | 26 | 66 | 17 | 11 | 3 | 3 | 28:11 | 17 | 36 | 17 | 8 | 6 | 3 | 23:14 | 9 | 30 |
| 3 | არსენალი | 33 | 19 | 6 | 8 | 63:34 | 29 | 63 | 16 | 12 | 2 | 2 | 35:12 | 23 | 38 | 17 | 7 | 4 | 6 | 28:22 | 6 | 25 |
| 4 | ლიდსი | 34 | 19 | 4 | 11 | 51:41 | 10 | 61 | 17 | 11 | 1 | 5 | 25:16 | 9 | 34 | 17 | 8 | 3 | 6 | 26:25 | 1 | 27 |
| 5 | ჩელსი | 35 | 16 | 11 | 8 | 46:32 | 14 | 59 | 17 | 10 | 5 | 2 | 29:12 | 17 | 35 | 18 | 6 | 6 | 6 | 17:20 | -3 | 24 |
| 6 | ასტონ ვილა | 35 | 15 | 11 | 9 | 43:31 | 12 | 56 | 17 | 8 | 7 | 2 | 22:10 | 12 | 31 | 18 | 7 | 4 | 7 | 21:21 | 0 | 25 |
| 7 | სანდერლენდი | 35 | 15 | 9 | 11 | 54:52 | 2 | 54 | 18 | 9 | 6 | 3 | 27:17 | 10 | 33 | 17 | 6 | 3 | 8 | 27:35 | -8 | 21 |
| 8 | ვესტ ჰემი | 34 | 15 | 9 | 10 | 51:49 | 2 | 54 | 17 | 11 | 4 | 2 | 32:22 | 10 | 37 | 17 | 4 | 5 | 8 | 19:27 | -8 | 17 |
| 9 | ევერტონი | 35 | 12 | 13 | 10 | 58:45 | 13 | 49 | 17 | 7 | 9 | 1 | 36:18 | 18 | 30 | 18 | 5 | 4 | 9 | 22:27 | -5 | 19 |
| 10 | ტოტენჰემი | 35 | 14 | 7 | 14 | 52:44 | 8 | 49 | 17 | 9 | 2 | 6 | 36:24 | 12 | 29 | 18 | 5 | 5 | 8 | 16:20 | -4 | 20 |
| 11 | ლესტერი | 34 | 13 | 7 | 14 | 48:50 | -2 | 46 | 18 | 9 | 3 | 6 | 28:24 | 4 | 30 | 16 | 4 | 4 | 8 | 20:26 | -6 | 16 |
| 12 | ნიუკასლი | 34 | 12 | 8 | 14 | 55:50 | 5 | 44 | 17 | 8 | 5 | 4 | 36:18 | 18 | 29 | 17 | 4 | 3 | 10 | 19:32 | -13 | 15 |
| 13 | მიდლსბრო | 34 | 12 | 8 | 14 | 40:49 | -9 | 44 | 17 | 8 | 3 | 6 | 20:23 | -3 | 27 | 17 | 4 | 5 | 8 | 20:26 | -6 | 17 |
| 14 | ქოვენთრი | 35 | 11 | 8 | 16 | 43:50 | -7 | 41 | 18 | 11 | 1 | 6 | 34:21 | 13 | 34 | 17 | 0 | 7 | 10 | 9:29 | -20 | 7 |
| 15 | საუთჰემპტონი | 35 | 11 | 7 | 17 | 42:60 | -18 | 40 | 17 | 7 | 4 | 6 | 23:20 | 3 | 25 | 18 | 4 | 3 | 11 | 19:40 | -21 | 15 |
| 16 | დერბი | 35 | 9 | 9 | 17 | 43:52 | -9 | 36 | 18 | 6 | 2 | 10 | 22:25 | -3 | 20 | 17 | 3 | 7 | 7 | 21:27 | -6 | 16 |
| 17 | უიმბლდონი | 35 | 7 | 11 | 17 | 44:67 | -23 | 32 | 18 | 6 | 6 | 6 | 28:26 | 2 | 24 | 17 | 1 | 5 | 11 | 16:41 | -25 | 8 |
| 18 | ბრედფორდი | 35 | 7 | 9 | 19 | 34:65 | -31 | 30 | 17 | 4 | 8 | 5 | 22:29 | -7 | 20 | 18 | 3 | 1 | 14 | 12:36 | -24 | 10 |
| 19 | უენსდი | 34 | 7 | 6 | 21 | 30:60 | -30 | 27 | 17 | 5 | 3 | 9 | 17:20 | -3 | 18 | 17 | 2 | 3 | 12 | 13:40 | -27 | 9 |
| 20 | უოტფორდი | 34 | 5 | 5 | 24 | 30:70 | -40 | 20 | 17 | 4 | 4 | 9 | 21:28 | -7 | 16 | 17 | 1 | 1 | 15 | 9:42 | -33 | 4 |

*ცხრილში შეტანილია 24 აპრილის შედეგებიც*

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ფილიპსი (სანდერლენდი) | 29 |
| შირერი (ნიუკასლი) | 21 |
| ე. კოული (მანჩესტერი) | 19 |
| იორკი (მანჩესტერი) | 19 |
| ბრიჯისი (ლიდსი) | 16 |

**XXXV ტური**

2 მაისი
არსენალი — ვესტ ჰემი
მიდლსბრო — ნიუკასლი

3 მაისი
ლიდსი — უოტფორდი

**XXXVI ტური**

29 აპრილი
ასტონ ვილა — სანდერლენდი
ჩელსი — ლივერპული
ევერტონი — არსენალი
ნიუკასლი — ქოვენთრი
საუთჰემპტონი — ლესტერი
ტოტენჰემი — დერბი
უოტფორდი — მანჩესტერი
ვესტ ჰემი — მიდლსბრო

30 აპრილი
შეფილდი — ლიდსი
ბრედფორდი — უიმბლდონი

## პირველი დივიზიონი

### XLIII ტური

**ჩარლტონი 1:1 პორტსმუთი**
0:1 ბრედბერი (40), 1:1 სტიუარტი (64)

**ქრიუ 3:2 სტოკპორტი**
1:0 რივერსი (6), 2:0 ლაითფუტი (9), 2:1 ლაუსონი (39), 3:1 რივერსი (58), 3:2 მური (70)

**კრ. პალასი 0:2 ბირმინგემი**
0:1 ოსტინი (45ს.კ.), 0:2 ფარლონგი (61)

**გრიმსბი 0:0 ბლექბერნი**

**ჰადერსფილდი 0:3 ბოლტონი**
0:1, 0:2 ჰანსენი (9, 26), 0:3 უიტლოუ (58)

**მანჩესტერ სიტი 2:0 ტრანმერი**
1:0 გოტერი (10), 2:0 ჯეფ უიტლი (72)

**ნორვიჩი 0:0 პორტვეილი**

**ნოტინგემი 0:0 შეფილდ იუნ.**

**ქუინზ პარკი 3:1 იფსვიჩი**
1:0 პიკოკი (46), 2:0 კოიო (52), 2:1 მეჯილტონი (79პ), 3:1 კივომია (90)

**სუინდონი 1:0 ფულემი**
1:0 გრაციოლი (83)

**უოლსოლი 2:1 ვესტ ბრომვიჩი**
0:1 ფლინი (10), 1:1 რამელი (48), 2:1 ბენეტი (83)

**ვულვზი 2:0 ბარნსლი**
1:0, 2:0 აკინბი (43, 52)

### XLIV ტური

**ბარნსლი 2:1 ნორვიჩი**
1:0 ჩეტლი (40), 2:0 შიპერლი (45), 2:1 ბილეიმი (68)

**ბირმინგემი 2:0 უოლსოლი**
1:0, 2:0 ფარლონგი (70, 89 პ)

**ბლექბერნი 1:1 ჩარლტონი**
0:1 სვენსონი (23), 1:1 კარსლი (63 პ)

**ფულემი 1:1 ნოტინგემი**
0:1 ლისტერი (19), 1:1 კოულმენი (29)

**პორტ ვეილი 1:2 ჰადერსფილდი**
0:1 ვინსენტი (8), 1:1 ნეილორი (38), 1:2 აირონსი (54 პ)

**პორტსმუთი 2:2 მანჩესტერ სიტი**
0:1 პრაიორი (26), 0:2 ტეილორი (40), 1:2, 2:2 ბრედბერი (44 პ, 84)

**შეფილდ იუნ. 1:1 ქრიუ**
0:1 ლიტლი (86), 1:1 ვუდჰაუსი (87)

**სტოკპორტი 3:0 სუინდონი**
1:0 მური (18), 2:0 ლოუსონი (51), 3:0 კონელი (57)

**ტრანმერი 1:1 ქუინზ პარკი**
0:1 პიკოკი (26 პ), 1:1 მაჰონი (53)

**ვესტ ბრომვიჩი 2:1 გრიმსბი**
1:0, 2:0 ტეილორი (14, 48), 2:1 ბლექი (52)

**ბოლტონი — ვულვზი**
გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩარლტონი | 44 | 27 | 10 | 7 | 78:40 | 91 |
| სიტი | 44 | 24 | 11 | 9 | 73:39 | 83 |
| ბარნსლი | 44 | 23 | 10 | 11 | 86:64 | 79 |
| იფსვიჩი | 43 | 22 | 12 | 9 | 65:41 | 78 |
| ბირმინგემი | 44 | 22 | 10 | 12 | 65:43 | 76 |
| ჰადერსფილდი | 44 | 21 | 11 | 12 | 62:44 | 74 |
| ვულვზი | 43 | 19 | 11 | 13 | 59:46 | 68 |
| ბოლტონი | 43 | 18 | 13 | 12 | 63:48 | 67 |
| ფულემი | 44 | 16 | 16 | 12 | 46:38 | 64 |
| ბლექბერნი | 44 | 15 | 17 | 12 | 53:45 | 62 |
| ქუინზ პარკი | 44 | 15 | 17 | 12 | 59:52 | 62 |
| ნორვიჩი | 44 | 13 | 15 | 16 | 43:48 | 54 |
| ტრანმერი | 44 | 14 | 12 | 18 | 54:65 | 54 |
| შეფილდ იუნ. | 44 | 13 | 14 | 17 | 56:67 | 53 |
| პორტსმუთი | 44 | 13 | 12 | 19 | 54:62 | 51 |
| სტოკპორტი | 44 | 12 | 15 | 17 | 51:64 | 51 |
| ნოტინგემი | 44 | 12 | 14 | 18 | 48:53 | 50 |
| გრიმსბი | 44 | 13 | 11 | 20 | 40:65 | 50 |
| კრ. პალასი | 43 | 11 | 15 | 17 | 53:64 | 48 |
| ქრიუ | 44 | 13 | 9 | 22 | 43:64 | 48 |
| ვესტ ბრომვიჩი | 44 | 9 | 18 | 17 | 41:60 | 45 |
| უოლსოლი | 44 | 10 | 13 | 21 | 51:75 | 43 |
| პორტვეილი | 44 | 7 | 15 | 22 | 48:66 | 36 |
| სუინდონი | 44 | 8 | 11 | 25 | 35:73 | 35 |

## მეორე დივიზიონი

43-ე ტური. როვერსი — ბრისტოლი 2:0; ბარნლი — მილუოლი 4:3; ბერი — ბლექპული 3:2; ჩესტერფილდი — რექსჰემი 0:3; კოლჩესტერი — კემბრიჯი 3:1; ჯილინგემი — ლუთონი 2:0; ოლდემი — კარდიფი 1:2; ოქსფორდი — ბრენტფორდი 1:1; პრესტონი — სკანთორპი 1:0; სტოკი — ბორნმუთი 1:0; უიგანი — რედინგი 1:0; უიკომბი — ნოტსი 2:0

44-ე ტური. ბლექპული - როვერსი 2:1; ბრენტფორდი - ბარნლი 2:3; ბრისტოლი - ოქსფორდი 2:2; კემბრიჯი - პრესტონი 2:0; კარდიფი - ბერი 0:2; ლუთონი - უიგანი 1:1; მილუოლი - ჯილინგემი 2:2; ნოტსი - ოლდემი 0:1; რედინგი - უიკომბი 2:1; სკანთორპი - სტოკი 0:2; რექსჰემი - კოლჩესტერი 1:0

## ინგლისი

### XXXV ტური

#### მანჩესტერი 3:2 ჩელსი

1:0 იორკი (10), 1:1 პეტრესკუ (22), 1:2 ძოლა (36), 2:2 სოლსკიაერი (39), 3:2 იორკი (69)

მანჩესტერი: ვან დერ გოუ, გ. ნევილი (ბერგი 32), იონსენი, სილვესტრი, ფ. ნევილი, ბექემი, ბათი, როი კინი (სქოულზი 49), გიგზი, იორკი, სოლსკიაერი (კრუიფი 63)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
ჩელსი: დე გუი, ლამბური, ლებეფი, ტომე, მელხიოტი, პეტრესკუ (სატონი 74), უაიზი, დეშამპი (მორისი 46), ამბროზეტი (ჰარლი 46), ფლო, ძოლა
მწვრთნელი: ჯანლუკა ვიალი
გაფრთხილება: სოლსკიაერი, ლამბური, ბექემი
მსაჯი: დანი
61 593 მაყურებელი

#### დერბი 2:0 საუთჰემპტონი

1:0 პაუელი (5), 2:0 კრისტი (42)

დერბი ქაუნთი: პოომი, დელაპი, ლაურსენი, შნური, დორიგო (ბოერტიენი 46), ბარლი, ჯონსონი, პაუელი, ქინქლაძე (მიურეი 90), შტრუპარი, კრისტი
მწვრთნელი: ჯიმ სმიტი
საუთჰემპტონი: მოსი, დოდი, რიჩარდსი, ტაჰარი, რიპლი, მარსდენი (დევისი 46), ოუკლი, სოლტვედტი, კაჩლული (ტესემი 82), ბიტი (ლე ტისიე 70), ბრიჯი
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
გაფრთხილება: მარსდენი, ბარლი, კაჩლული
მსაჯი: ჯონსი
29 403 მაყურებელი

#### სანდერლენდი 0:1 ბრედფორდი

0:1 დრეიერი (60)

სანდერლენდი: სორენსენი, უილიამსი (ოსტერი 42), ბატლერი, კრადოკი (დიკიო 83), მაკინი, გრეი, რუა, რაე, კილბეინი, ქუინი, ფილიპსი
მწვრთნელი: პიტერ რიდი
ბრედფორდი: კლარკი, ჰალე, ვეზეროლი, ჯაკობსი, დრეიერი, მაკკოლი, ობრაინი, უინდასი, ბიგრი (შარპი 90), სონდერსი (რანკინი 83), ბრეიქი (ვესტვუდი 86)
მწვრთნელი: პოლ ჯუელი
გაფრთხილება: ვეზეროლი
მსაჯი: ლოჯი
40 628 მაყურებელი

ამბერ, შაბათს იყო, პრემიერლიგელებმა 34-ე ტურის მატჩები რომ ჩაატარეს, მაგრამ ვინ აცალათ დასვენება? ექვსი მათგანი გუშინ კვლავ გავიდა მოედანზე.

ცხადია, მთავარი შეხვედრა „ოლდ ტრეფორდზე“ გაზლდათ — „მანჩესტერი“ „ჩელსის“ მასპინძლობდა. თამაშის დაწყებამდე მასპინძელ ფეხბურთელებს პრიზები და შამპანურის ბოთლები მიართვეს, ისინი ხომ საუთჰემპტონიდან გაჩემპიონებულნი დაბრუნდნენ. თუმცა ფერგიუსონის ბიჭები სასმელს როგორ დააჭაშნიკებდნენ, ჯავრი ჰქონდათ საყრელი. გეხსომებათ, ამ გუნდების პირველ შეხვედრაში ლონდონელებმა რაც უქნეს მეტოქეს.

რევანში შედგა, 5:0 არა, მაგრამ მაინც. თუმც ანგარიში მთავარი არ არის, კარგი სანახაობის ხილვა გვსურდა და მოლოდინმა გაგვიმართლა. სულ ხუთი გოლი გავიდა, ხუთივე ლამაზი და ერთი ამდენიც სახიფათო მომენტი შეიქმნა.

თუ მანჩესტერულ მატჩს პრაქტიკული მნიშვნელობა ნაკლები ჰქონდა (მასპინძელთათვის მაინც), ორ დანარჩენში გუნდები სხვა მიზნისთვის იბრძოდნენ. „დერბის“ და „ბრედფორდს“ პრემიერლიგაში დარჩენის სურვილი არ ასვენებთ და თავი არ დაუზოგავთ. დაუფასდათ კიდეც მონდომება, შესაბამისად „საუთჰემპტონი“ და „სანდერლენდი“ დაამარცხეს. თუმც, ცხადია, „დერბის“ და „ბრედფორდს“ თავი ქუდში სულაც არა აქვთ.



REUTERS მანჩესტერიდან

მანჩესტერი — ჩელსი 3:2.
დუაიტ იორკმა „ჩელსის“ ორი გოლი გაუტანა



REUTERS პარიზიდან

ვინ შესწვდება ბურთს: გენიონელი იოან ბუზენი თუ პარიზელი ლორან ლერუ (მარჯვნივ)?

## საფრანგეთი

### ლიგის თასის ფინალი

#### პსჟ 0:2 გენიონი

0:1 ტრაპასო (65), 0:2 ფლოტო (90)

პსჟ: კასაგრანდი, ა. სისე, რაბესანდრატანა, ელ კარკური, იანოვსკი, ბენარბია, დიუკრო, ოკოჩა, რობერი (მიურატი 78), ლერუა (დიავარა 73), კრისტიანი
მწვრთნელი: ფილიპ ბერჟერო
გენიონი: ტრივინო, ბუზენი, ბონიფასი, დისტენი, ფანზელი, ქსკეტ-ნზი (ფლოტო 78), შაბერი, ნემანი (ვებერი 83), ტრაპასო, ტრაორე, როდა (კოლენი 88)
მწვრთნელი: ალექს დეპონი
გაფრთხილება: სისე
მსაჯი: პულა
79 000 მაყურებელი

სენსაციებით ალსავსეა საფრანგეთის თასისა და ლიგის თასის გათამაშება. ცოტა ხნის წინ მეოთხედივიზიონელმა „კალემ“ გაიბრწყინა და თასის ფინალში მოხვდა, ახლა კი ჯერი მეორედივიზიონელ „გენიონზე“ მიდგა, რომელმაც ლიგის თასის ფინალში პსჟ დაამარცხა 2:0.

პარიზელთა მეკარე დომინიკ კასაგრანდს ჯერაც ვერ აუხსნია სუსტ მეტოქესთან დამარცხების მიზეზი. „არც კი ვიცი, რა ვიფიქრო. ისე ჩანდა, თითქოს ფეხბურთელებს თამაში არ სურდათ. საოცარია, მაგრამ ჩვენთან შედარებით გაცილებით სუსტ მეტოქესთან შევრცხვით. დიდი იმედი მქონდა, რომ თასს მოვიგებდით, მაგრამ ასე არ მოხდა. ეტყობა, რაღაც დავაკელით“ — განაცხადა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე პსჟ-ს ერთადერთმა წარმომადგენელმა. პარიზული გუნდის სხვა მოთამაშეებმა შეხვედრის შემდეგ მოედანი უმალ დატოვეს და თასის გადაცემის ცერემონიალსაც არ დაესწრნენ.

— დღეს მინდორზე ორი სხვადასხვა განწყობის გუნდი ვიხილეთ — ბრძანა საფრანგეთის პრემიერმინისტრმა ლიონელ ჟოსპინმა, რომელმაც „გენიონს“ თასი გადასცა — სუსტი ბევრს ეცადა, ძლიერი კი არაფერს. ეს ყველა გუნდისთვის მაგალითია. როცა სუსტ მეტოქეს ვერ ამარცხებ, ევროთასებზე წარმატების იმედი არც უნდა გქონდეს.

„გენიონი“ მომავალ სეზონში უეფას თასზე იასპარეზებს, იმავე ტურნირში მონაწილეობის შანსი კიდევ ერთ ქვედადივიზიონელს, „კალეს“ აქვს. როგორც მოგახსენეთ, ეს გუნდი 7 მაისს თასის ფინალში „ნანტს“ შეხვდება.

— ჯერ კიდევ არ ვიცი, იტალიურ და ესპანურ კლუბებს როგორ უნდა გავუმკლავდეთ, მაგრამ ეს არ გახლავთ მთავარი. ჩვენი კლუბი 60 წლისაა, მართალია, გამოცდილება გვაკლია, მაგრამ ვფიქრობ, ევროტურნირებზე არ შევრცხვებით — თქვა „გენიონის“ პრეზიდენტმა ჟილ პერენმა.

გენიონში 9 ათასი მოსახლეა, რომელთა უმრავლესობაც ფოლადის წარმოებაშია დასაქმებული. პროვინციული რეგიონისთვის თასის მოგება უდიდესი წარმატებაა. რამდენიმე წლის წინ „გენიონი“ საფრანგეთის პირველ დივიზიონში ასპარეზობდა, მაგრამ იქიდან მალევე გავარდა.

ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია „გენიონს“ 20 მილიონი ფრანკით დააჯილდოებს. ეს თანხა კლუბის გაძლიერებას მოხმარდება.

— ერთ მუშტად შეკრული გუნდი გვყავს. ამიტომაც გავიმარჯვეთ. ნამდვილად საუცხოო სეზონია, თუმც გამოგიტყდებით, არ გავნცვიფრებულვარ — განაცხადა „გენიონის“ თავკაცმა ალექს დეპონმა, რომლის ხელმძღვანელობით კლუბმა წლეულს „სტრასბური“ და მარსელის „ოლიმპიკი“ დაამარცხა.

ტრიუმფის შემდეგ „გენიონის“ წევრებმა ელისეს მინდვრებზე, რესტორანში იზეიმეს წარმატება.

### მეორე დივიზიონი

XXXIV ტური. ლორიანი – გენგამი 0:2; ვალანსი – ლავალი 1:1; კანი – ნიმი 2:0; კაენი – ნიცა 1:1; ლე მანი – აიაჩო 1:1; ნიორი – შატორუ 1:0; ვასკეალი – ლუანი 2:1; კრეტეი – ტულუზი 3:1; სოშო – ლილი 2:0; გენიონი – ამიენი გაიმართება 3 მაისს

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლილი | 34 | 22 | 7 | 5 | 50:24 | 73 |
| გენგამი | 34 | 18 | 10 | 6 | 60:37 | 64 |
| ტულუზი | 34 | 16 | 7 | 11 | 45:29 | 55 |
| სოშო | 34 | 15 | 7 | 12 | 46:39 | 52 |
| ლავალი | 34 | 13 | 13 | 9 | 38:35 | 49 |
| ლე მანი | 34 | 11 | 15 | 8 | 40:37 | 48 |
| აიაჩო | 34 | 13 | 8 | 13 | 34:37 | 47 |
| გენიონი | 33 | 10 | 16 | 7 | 41:29 | 46 |
| კაენი | 34 | 10 | 16 | 8 | 42:34 | 46 |
| შატორუ | 34 | 11 | 11 | 12 | 35:38 | 44 |
| ლორიანი | 34 | 11 | 10 | 13 | 29:34 | 43 |
| კანი | 34 | 10 | 12 | 12 | 29:32 | 42 |
| ნიმი | 34 | 10 | 11 | 13 | 37:39 | 41 |
| ნიორი | 34 | 9 | 14 | 11 | 37:41 | 41 |
| ნიცა | 34 | 7 | 20 | 7 | 25:30 | 41 |
| ვასკეალი | 34 | 8 | 15 | 11 | 30:36 | 39 |
| კრეტეი | 34 | 10 | 9 | 15 | 32:45 | 39 |
| ამიენი | 33 | 7 | 14 | 12 | 30:38 | 35 |
| ვალანსი | 34 | 5 | 14 | 15 | 30:48 | 29 |
| ლუანი | 34 | 5 | 9 | 20 | 28:56 | 24 |

## ბელგია

### XXXII ტური

#### გენკი 1:4 ანდერლეხტი

0:1 გორი (18), 0:2 რადზინსკი (40), 0:3 კოლერი (63), 1:3 ბანი (80), 1:4 რადზინსკი (90)

ანდერლეხტი: დე ვილდე, კრასონი, სტალენსი, დე ბოეკი, ვან დიემენი, ზეტერბერგი (შიფო 81), ბასეჯიო (დეედენი 56), გორი, ეკაკია, კოლერი, რადზინსკი
მწვრთნელი: ემე ანტუენისი

#### ლიერსი 1:0 ბრიუგე

1:0 სნოექსი (82)

ლიერსი: ნისი, ლაერემანსი, პოორტერსი, დე კისერი, დაემსი (ჰიუსმანსი 25), ლეენი, სნოექსი (ჰოუსგემსი 85), ზდებელი, შეყილაძე, კავენსი (ვან დე ვეირი 80), სპიტერი
მწვრთნელი: ვალტერ მეუსი

#### ბევერენი 3:4 სენტ ტრუიდენი

0:1, 0:2 რუდონია (8, 34), 1:2 ტორკენი (49), 1:3 ვრანკენი (56), 1:4 ოლივეირა (74), 2:4 ტორკენი (88), 3:4 ვლაემინკი (89)

#### მუსკრონი 0:0 ლოკერენი

#### სტანდარდი 3:1 აალსტი

0:1 ჩებოტარიოუ (11 ს.კ.), 1:1, 2:1 ტაისი (30, 463), 3:1 რემაკლი (63)

#### ვესტერლო 8:0 მეხელენი

1:0, 2:0, 3:0 ბრონო (10, 243, 45), 4:0 პელიჩი (45), 5:0 სერნელსი (53), 6:0 ტოელენი (61), 7:0 ბრონო (74), 8:0 პელიჩი (87)

#### ლომელი 1:1 გეელი

1:0 ვალიგორა (27), 1:1 ბენედიქტსონი (68)

#### გენტი 4:2 ჰარელბეკე

0:1 ვოსტინი (6), 0:2 კლომპი (18), 1:2, 2:2 აარსტი (33, 61), 3:2 ვერჰოვენი (65 ს.კ.), 4:2 აარსტი (86)

#### შარლერუა 3:0 ბეერსხოტი

1:0, 2:0 სერხიო როხასი (7, 45), 3:0 დე კონდე (81)

ბრიუსელის „ანდერლეხტმა“ გასულ უქმეებზე ბელგიის ჩემპიონობა 25-ედ მოიპოვა. იქნებ სიმბოლურიც იყოს, რომ ამ ტურში „ანდერლეხტმა“ წინა სეზონის ტრიუმფატორი „გენკი“ დაამარცხა. საინტერესოა, რომ დედაქალაქელები ჯერ კიდევ მატჩის დაწყებამდე ზეიმობდნენ პირველობას. საქმე ის გახლავთ, რომ მეორეადგილოსანი „ბრიუგეს“ გელა შეყილაძის „ლიერსთან“ მარცხი ადრევე გახდა ცნობილი. ეს კი ნიშნავდა, რომ „ანდერლეხტი“ მიუღწეველი შეიქნა. ახალგამომცხვარი ჩემპიონები ალბათ, ამიტომაც თამაშობდნენ ლაღად და იოჰან ბოსკამპის შეგირდებს ოთხი გოლიც გაუტანეს.

რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს, „ანდერლეხტი“ — ბელგიის ყველაზე ტიტულოვანი კლუბი, ამ დღეს დიდხანს ელოდა. მისი დონის კლუბისთვის (ცხადია, ბელგიური მასშტაბით) ხუთწლიანი ლოდინი მართლაც ძალიან ბევრია.

რაღა დარჩა გასარკვევი? უპირველესად იმ გუნდის ვინაობა, რომელიც გათამაშების ცხრილში მეორე ადგილს დაიკავებს და მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაშის საშუალება მიეცემა. ამ პატივისთვის „ბრიუგე“ და „გენტი“ ეცილებიან ერთმანეთს, თუმცა თეორიული შანსი ლიეჟის „სტანდარდსაც“ აქვს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 32 | 21 | 8 | 3 | 83:35 | 71 |
| ბრიუგე | 32 | 19 | 4 | 9 | 65:31 | 61 |
| გენტი | 32 | 19 | 3 | 10 | 74:51 | 60 |
| სტანდარდი | 32 | 18 | 2 | 12 | 65:47 | 56 |
| მუსკრონი | 32 | 15 | 8 | 9 | 65:44 | 53 |
| ლიერსი | 32 | 15 | 7 | 10 | 63:43 | 52 |
| ბეერსხოტი | 32 | 15 | 7 | 10 | 52:43 | 52 |
| ვესტერლო | 32 | 14 | 8 | 10 | 66:63 | 50 |
| გენკი | 32 | 14 | 6 | 12 | 58:57 | 48 |
| ლოკერენი | 32 | 10 | 11 | 11 | 49:55 | 41 |
| მეხელენი | 32 | 12 | 5 | 15 | 46:72 | 41 |
| აალსტი | 32 | 11 | 3 | 18 | 52:68 | 36 |
| ბევერენი | 32 | 9 | 8 | 15 | 48:60 | 35 |
| სტ. ტრუიდენი | 32 | 9 | 7 | 16 | 38:60 | 34 |
| ჰარელბეკე | 32 | 9 | 5 | 18 | 52:69 | 32 |
| გეელი | 32 | 5 | 13 | 14 | 31:54 | 28 |
| შარლერუა | 32 | 6 | 9 | 17 | 38:61 | 27 |
| ლომელი | 32 | 4 | 12 | 16 | 30:62 | 24 |

### მესამე დივიზიონი

43-ე ტური. ბარნეტი — როტერჰემი 1:0; კარლაისლი — ექსეტერი 0:0; ჩელტენემი — დარლინგტონი 0:0; ჰარტლპული — მენსფილდი 1:0; ლინკოლნი — ლეიტონი 0:0; მაკლსფილდი — ჩესტერი 1:1; პიტერბრო — ჰალიფაქსი 2:1; პლიმუთი — როჩდეილი 1:1; შრიუსბერი — საუთენდი 2:1; სუონსი — ტორკი 2:1; იორკი — ბრაიტონი 0:0; ნორთჰემპტონი — ჰალი 1:0

44-ე ტური. დარლინგტონი - ჰარტლპული 1:1; ჩესტერი - იორკი 2:0; ექსეტერი - ლინკოლნი 3:0; ალიფაქსი - შრიუსბერი 2:1; ჰალი - ბარნეტი 1:3; ლეიტონი - პლიმუთი 3:0; მენსფილდი - სუონსი 0:1; როჩდეილი - ნორთჰემპტონი 0:3; როტერჰემი - ჩელტენემი 2:0; საუთენდი - კარლაისლი 2:0; ტორკი - მაკლსფილდი 3:2

## რუსეთი

V ტური

**სპარტაკი 1:0 ცსკა**

1:0 ტიტოვი (87პ)

**როტორი 0:4 ლოკომოტივი**

0:1 ტერიოხინი (41), 0:2 ბულიკინი (62), 0:3 სმერტინი (68), 0:4 ლოსკოვი (70)

**ჩერნომორეცი 1:0 ტორპედო**

1:0 მაიოროვი (28)

**ანჟი 2:1 ურალანი**

1:0 ბუდუნოვი (5), 1:1 ჟარინოვი (49), 2:1 ბუდუნოვი (60)

**ფაკელი 3:2 კრილია**

1:0 საფრონოვი (12), 1:1 კასიმოვი (44), 1:2 მიქაელიანი (61), 2:2 ბესკროვნი (65), 3:2 გრიშინი (90)

**სატურნი 1:0 ზენიტი**

1:0 სოლოვიოვი (27)

**დინამო 0:0 როსტსელმაში**

**ნ. ნოვგოროდი 1:1 ალანია**

0:1 პაგაევი (70), 1:1 ძამიხოვი (79)

კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ „სპარტაკი" რუსთა „სახალხო გუნდია". ოლეგ რომანცევის ბიჭები მე-5 ტურში ცსკა-ს ხვდებოდნენ. მოგეხსენებათ, ამ ტურამდე „სპარტაკი" გათამაშების ცხრილში პირველი იყო, ხოლო ცსკა — ბოლო. როგორც მატჩის მსვლელობამ აჩვენა, არმიელებს აუტსაიდერობა მობეზრდათ და თანაც ავტორიტეტებს არად აგდებენ. ამის დასტური მათი კარგი თამაში იყო. „სპარტაკის" სახალხოობა კი აი, რაში გამოიხატება, ჯერ მათ კარში გატანილი ბურთი მსაჯმა არ ჩათვალა, თამაშგარედან გავიდაო. არადა, ნაღდი გოლი იყო. 87-ე წუთზე კი მათ სასარგებლოდ მეტად საეჭვო პენალტი დაინიშნა. მოდი და ნუ ირწმუნებ, რომ „სპარტაკს" მთელი რუსეთი (იქაური მსაჯების ჩათვლით) არ ქომაგობს.

„სპარტაკმა" მოიგო, თუმცა ლიდერობა „ლოკომოტივმა" იგდო ხელთ. რკინიგზელთა პირველობა კი მეტწილად მეკარე რუსლან ნიგმატულინის დამსახურებაა. ხუთი ტურია, ის კარს ჩინებულად იცავს, გოლი არ გაუშვია და ორი პენალტის მოგერიებაც შეძლო.

ვლადიკავკაზის „ალანია" ვერა და ვერ ამოვიდა ფსკერიდან. ამჯერად „ალანია" ნიჟნი ნოვგოროდში იქაურ „ლოკომოტივს" დაუხავდა. თუმცა, როგორც ვლადიმერ პანოვმა განაცხადა (გუცაევი მატჩისშემდგომ პრესკონფერენციას არ დაესწრო), ცუდმა მსაჯობამ მათ სამი ქულა დააკარგვინა. ალანიელთა პრეტენზიები ასეთი გახლავთ:

1. 38-ე წუთზე მასპინძლებმა საჯარიმოში ალჩაგიროვი მოცელეს და მსაჯმა დარღვევა ვერ შენიშნა.

2. მე-40 წუთზე რკინიგზელმა ნოსოვმა ხელით ითამაშა. არბიტრს ფეხბურთელი არ გაუფრთხილებია.

3. 78-ე წუთზე ბორისენკო წააქციეს. უკანასკნელი იმედის ჯარიმა იყო, მაგრამ მსაჯი ყვითელი ბარათით დაკმაყოფილდა.

4. 79-ე წუთზე ნოვგოროდელმა გრადილენკომ (წინა ეპიზოდში დამნაშავე) ძალიან უხეშად ითამაშა. ის წითელ ბარათს იმსახურებდა, მაგრამ დაინდეს.

აი, ასეთი გახლდათ ვლადიკავკაზელთა არგუმენტები. ჩვენ დავამატოთ, რომ მათ რიგებში სილაგაძემ და აშვეთიამ სრული 90 წუთი ითამაშეს, ხოლო ფოცხვერია შეცვლაზე შევიდა.

მილიციელთა გარეშე არც მე-5 ტურს ჩაუვლია — „დუბინკებსაც" გულიანად იქნევდნენ, თუმც კიდევ კარგი, ამჯერად არავინ მოუკლავთ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 5 | 4 | 1 | 0 | 8:0 | 13 |
| სპარტაკი | 5 | 4 | 1 | 0 | 8:2 | 13 |
| ჩერნომორეცი | 5 | 3 | 2 | 0 | 8:0 | 11 |
| ანჟი | 4 | 3 | 0 | 1 | 6:4 | 9 |
| დინამო | 5 | 2 | 2 | 1 | 3:4 | 8 |
| ტორპედო | 4 | 2 | 1 | 1 | 4:2 | 7 |
| როტორი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:8 | 7 |
| ფაკელი | 5 | 1 | 3 | 1 | 6:6 | 6 |
| კრილია | 5 | 2 | 0 | 3 | 6:7 | 6 |
| ზენიტი | 5 | 2 | 0 | 3 | 3:5 | 6 |
| სატურნი | 5 | 1 | 2 | 2 | 1:4 | 5 |
| როსტსელმაში | 5 | 0 | 4 | 1 | 2:3 | 4 |
| ურალანი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:6 | 4 |
| ნ. ნოვგოროდი | 5 | 0 | 3 | 2 | 3:5 | 3 |
| ალანია | 5 | 0 | 2 | 3 | 6:10 | 2 |
| ცსკა | 5 | 0 | 1 | 4 | 0:7 | 1 |

## ავსტრია

XXX ტური. რაპიდი — რიდი 1:0; ბრეგენცი — შტურმი 1:0; გრაცერი — ლუსტენაუ 2:0; ზალცბურგი — აუსტრია 2:1; ლინცერი — ტიროლი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რაპიდი | 30 | 19 | 5 | 6 | 53:20 | 62 |
| ტიროლი | 30 | 19 | 5 | 6 | 43:24 | 62 |
| შტურმი | 30 | 17 | 7 | 6 | 55:25 | 58 |
| რიდი | 30 | 13 | 6 | 11 | 47:31 | 45 |
| აუსტრია | 30 | 12 | 6 | 12 | 40:40 | 42 |
| გრაცერი | 30 | 12 | 4 | 14 | 35:44 | 40 |
| ზალცბურგი | 30 | 10 | 8 | 12 | 29:35 | 38 |
| ლინცერი | 30 | 7 | 7 | 16 | 34:44 | 28 |
| ბრეგენცი | 30 | 7 | 5 | 18 | 25:63 | 26 |
| ლუსტენაუ | 30 | 4 | 7 | 19 | 19:54 | 19 |

## ჩეხეთი

XXVI ტური. სპარტა — ლიბერეცი 2:1; ვიკტორია — დრნოვიცე 2:0; დუკლა — ბოჰემიანსი 3:0; ოპავა — სიგმა 3:0; ბრნო — ბანიკი 2:1; ბუდეიოვიცე — ჰ. კრალოვე 2:1; ტეპლიცე — ბლშანი 0:0; იაბლონეცი — სლავია 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 26 | 21 | 3 | 2 | 66:20 | 66 |
| სლავია | 26 | 20 | 5 | 1 | 47:15 | 65 |
| დრნოვიცე | 26 | 14 | 4 | 8 | 34:24 | 46 |
| ბრნო | 26 | 10 | 6 | 10 | 29:30 | 36 |
| ბოჰემიანსი | 26 | 9 | 8 | 9 | 21:24 | 35 |
| ტეპლიცე | 26 | 8 | 9 | 9 | 34:36 | 33 |
| ლიბერეცი | 26 | 7 | 11 | 8 | 17:18 | 32 |
| ბლშანი | 26 | 9 | 5 | 12 | 23:38 | 32 |
| ვიკტორია | 26 | 8 | 7 | 11 | 35:40 | 31 |
| ბუდეიოვიცე | 26 | 9 | 4 | 13 | 30:39 | 31 |
| დუკლა | 26 | 8 | 6 | 12 | 28:35 | 30 |
| სიგმა | 26 | 6 | 11 | 9 | 27:34 | 29 |
| ბანიკი | 26 | 6 | 10 | 10 | 36:41 | 28 |
| ოპავა | 26 | 6 | 9 | 11 | 30:32 | 27 |
| იაბლონეცი | 26 | 5 | 9 | 12 | 19:36 | 24 |
| ჰ. კრალოვე | 26 | 3 | 11 | 12 | 19:33 | 20 |

## დანია

XXVI ტური. ლიუნგბიუ — ბრონდბიუ 3:0; კოპენჰაგენი — ვაილე 1:4; ჰერფიოლგე — ორჰუსი 1:1; ესბიერგი — ვიბორგი 1:2; სილკებორგი — აკადემისკი 1:0; ოდენსე — ოლბორგი 1:4

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰერფიოლგე | 26 | 13 | 5 | 8 | 39:37 | 44 |
| ბრონდბიუ | 26 | 12 | 7 | 7 | 46:30 | 43 |
| ვიბორგი | 26 | 12 | 6 | 8 | 39:36 | 42 |
| ოლბორგი | 26 | 10 | 11 | 5 | 46:28 | 41 |
| სილკებორგი | 26 | 11 | 7 | 8 | 42:28 | 40 |
| ლიუნგბიუ | 26 | 12 | 4 | 10 | 41:37 | 40 |
| აკადემისკი | 26 | 10 | 8 | 8 | 37:30 | 38 |
| კოპენჰაგენი | 26 | 10 | 4 | 12 | 36:31 | 34 |
| ოდენსე | 26 | 7 | 9 | 10 | 24:33 | 30 |
| ორჰუსი | 26 | 7 | 7 | 12 | 27:39 | 28 |
| ვაილე | 26 | 5 | 10 | 11 | 30:53 | 25 |
| ესბიერგი | 26 | 6 | 4 | 16 | 27:52 | 22 |

## შვეიცარია

VII ტური. გრასჰოპერი — სერვეტი 2:3; ბაზელი — ქსამაქსი 1:1; ლუცერნი — ლოზანა 1:0; ივერდონი — სენტ გალენი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ გალენი | 7 | 5 | 2 | 0 | 19:7 | 40 |
| გრასჰოპერი | 7 | 3 | 3 | 1 | 17:12 | 29 |
| ბაზელი | 7 | 2 | 4 | 1 | 9:7 | 29 |
| ლოზანა | 7 | 2 | 2 | 3 | 5:6 | 26 |
| სერვეტი | 7 | 3 | 1 | 3 | 15:9 | 24 |
| ლუცერნი | 7 | 3 | 0 | 4 | 9:20 | 23 |
| ივერდონი | 7 | 2 | 0 | 5 | 7:12 | 21 |
| ქსამაქსი | 7 | 1 | 2 | 4 | 7:15 | 19 |

## უკრაინა

XXI-ე ტური. ზირკა — დინამო 1:4; კარპატი — კრივბასი 1:0; ნივა — შახტარი 1:1; ჩორნომორეცი — დნიპრო 2:2; დონეცკი — ტავრია 0:0; მეტალისტი — ვორსკლა 2:1; ცსკა — მეტალურგი 1:0; მარიუპოლი — პრიკარპატიე 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 21 | 19 | 2 | 0 | 59:11 | 59 |
| შახტარი | 21 | 13 | 3 | 5 | 34:10 | 42 |
| კრივბასი | 21 | 12 | 6 | 3 | 37:20 | 42 |
| ვორსკლა | 21 | 11 | 5 | 5 | 40:21 | 38 |
| მეტალისტი | 21 | 9 | 4 | 8 | 28:26 | 31 |
| მეტალურგი | 21 | 8 | 6 | 7 | 25:21 | 30 |
| კარპატი | 21 | 10 | 0 | 11 | 29:28 | 30 |
| დონეცკი | 21 | 7 | 8 | 6 | 23:21 | 29 |
| მარიუპოლი | 21 | 9 | 1 | 11 | 33:34 | 28 |
| ცსკა | 21 | 6 | 7 | 8 | 21:25 | 25 |
| პრიკარპატიე | 21 | 6 | 6 | 9 | 18:29 | 24 |
| დნიპრო | 21 | 5 | 7 | 9 | 19:37 | 22 |
| ტავრია | 21 | 5 | 5 | 11 | 24:36 | 20 |
| ნივა | 21 | 4 | 7 | 10 | 26:40 | 19 |
| ჩორნომორეცი | 21 | 4 | 5 | 12 | 11:37 | 17 |
| ზირკა | 21 | 0 | 8 | 13 | 11:42 | 8 |

## საბერძნეთი

XXIXტური. იონიკოსი — პანილიაკოსი 0:2; კალამატა — ოლიმპიაკოსი 0:1; ოფი — ეთნიკოსი 4:1; აეკ — პრუდეფტიკი 3:2; პაოკ — პანაჰაიკი 1:1; ტრიკალა — პანიონიოსი 2:3; კავალა — აპოლონი 1:3; არისი — ირაკლისი 2:1; პანათინაიკოსი — ქსანტი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 29 | 25 | 2 | 2 | 75:17 | 77 |
| პანათინაიკოსი | 29 | 24 | 4 | 1 | 76:21 | 76 |
| ოფი | 29 | 15 | 9 | 5 | 51:37 | 54 |
| აეკ | 29 | 15 | 6 | 8 | 54:37 | 51 |
| პანიონიოსი | 29 | 14 | 2 | 13 | 46:49 | 44 |
| პაოკ | 29 | 11 | 10 | 8 | 48:37 | 43 |
| არისი | 29 | 12 | 7 | 10 | 41:36 | 43 |
| ირაკლისი | 29 | 13 | 4 | 12 | 50:49 | 43 |
| ქსანტი | 29 | 10 | 8 | 11 | 32:37 | 38 |
| იონიკოსი | 29 | 9 | 10 | 10 | 36:41 | 37 |
| პანილიაკოსი | 29 | 10 | 4 | 15 | 35:41 | 34 |
| პანაჰაიკი | 29 | 7 | 11 | 11 | 30:38 | 32 |
| კალამატა | 29 | 8 | 8 | 13 | 30:49 | 32 |
| ეთნიკოსი | 29 | 9 | 4 | 16 | 25:45 | 31 |
| კავალა | 29 | 8 | 6 | 15 | 31:51 | 30 |
| პრუდეფტიკი | 29 | 5 | 7 | 17 | 24:44 | 22 |
| აპოლონი | 29 | 5 | 6 | 18 | 22:44 | 21 |
| ტრიკალა | 29 | 4 | 6 | 19 | 26:59 | 18 |

## შვედეთი

III ტური. ჰამარბი — გაის 2:1; ელფსბორგი — ჰელსინგბორგი 2:3; ჰალმსტადი — აიკ 4:0; ტრელებორგი — გიოტებორგი 1:1; იორებრო — ფრიოლუნდა 6:0; იორგრიტე — ნორჩიოპინგი 2:0; ჰაკენი — სუნდსვალი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გიოტებორგი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| ჰალმსტადი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:0 | 6 |
| იორგრიტე | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 6 |
| იორებრო | 3 | 1 | 2 | 0 | 9:3 | 5 |
| ნორჩიოპინგი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| სუნდსვალი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| ჰამარბი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| ჰაკენი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:5 | 4 |
| ჰელსინგბორგი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| ტრელებორგი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | 4 |
| აიკ | 3 | 1 | 1 | 1 | 3:6 | 4 |
| გაის | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | 1 |
| ფრიოლუნდა | 3 | 0 | 1 | 2 | 0:7 | 1 |
| ელფსბორგი | 2 | 0 | 0 | 2 | 3:5 | 0 |

## პოლონეთი

XXIV ტური. ოდრა — ვიძევი 2:0; ლეგია — რაძიონკოვი 4:2; ამიცა — გროცლინი 0:1; გურნიკი — სტომილი 1:0; ლკს — პოლონია 0:2; ვისლა — რუხი 4:0; ზაგლებე — პოგონი 3:1; ლეხი — პლოცკი გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონია | 24 | 16 | 5 | 3 | 42:20 | 53 |
| ლეგია | 24 | 12 | 10 | 2 | 47:26 | 46 |
| რუხი | 24 | 12 | 9 | 3 | 42:23 | 45 |
| ვისლა | 24 | 12 | 7 | 5 | 49:31 | 43 |
| ამიცა | 24 | 9 | 9 | 6 | 35:26 | 36 |
| პოგონი | 24 | 8 | 9 | 7 | 38:38 | 33 |
| ზაგლებე | 24 | 8 | 8 | 8 | 30:28 | 32 |
| ოდრა | 24 | 9 | 5 | 10 | 27:27 | 32 |
| ვიძევი | 24 | 8 | 6 | 10 | 31:37 | 30 |
| სტომილი | 24 | 7 | 9 | 8 | 25:34 | 30 |
| პლოცკი | 23 | 7 | 6 | 10 | 23:33 | 27 |
| გურნიკი | 24 | 6 | 8 | 10 | 30:29 | 26 |
| რაძიონკოვი | 24 | 7 | 4 | 13 | 26:41 | 25 |
| ლკს | 24 | 5 | 7 | 12 | 21:30 | 22 |
| გროცლინი | 24 | 6 | 2 | 16 | 18:42 | 20 |
| ლეხი | 23 | 4 | 6 | 13 | 27:44 | 18 |

## თურქეთი

XXX ტური. ფენერბაჰჩე — სამსუნი 1:0; ბურსა — გენჩლერბირლიგი 2:5; ტრაბზონი — ალთაი 2:1; ადანა — ვანი 2:0; ანთალია — ბეშიქთაში 2:2; გიოზთეფე — ერზურუმი 1:4; გაზიანთეფი — ისთანბული 1:0; ქოჯაელი — ანკარაგიუჯიუ 4:1; გალათასარაი — დენიზლი 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 30 | 22 | 6 | 2 | 68:20 | 72 |
| ბეშიქთაში | 30 | 20 | 6 | 4 | 60:20 | 66 |
| გაზიანთეფი | 30 | 15 | 10 | 5 | 42:22 | 55 |
| ფენერბაჰჩე | 30 | 14 | 10 | 6 | 48:38 | 52 |
| ტრაბზონი | 30 | 14 | 7 | 9 | 42:30 | 49 |
| სამსუნი | 30 | 15 | 4 | 11 | 46:35 | 49 |
| გენჩლერბირ. | 30 | 12 | 8 | 10 | 46:45 | 44 |
| დენიზლი | 30 | 11 | 8 | 11 | 47:51 | 41 |
| ადანა | 30 | 11 | 5 | 14 | 45:52 | 38 |
| ანკარაგიუჯიუ | 30 | 10 | 8 | 12 | 42:49 | 38 |
| ქოჯაელი | 30 | 11 | 5 | 14 | 41:49 | 38 |
| ერზურუმი | 30 | 10 | 8 | 12 | 37:45 | 38 |
| ბურსა | 30 | 10 | 6 | 14 | 44:54 | 36 |
| ანთალია | 30 | 9 | 7 | 14 | 34:51 | 34 |
| ალთაი | 30 | 9 | 6 | 15 | 32:39 | 33 |
| ისთანბული | 30 | 6 | 11 | 13 | 27:37 | 29 |
| გიოზთეფე | 30 | 6 | 5 | 19 | 22:46 | 23 |
| ვანი | 30 | 3 | 6 | 21 | 32:68 | 15 |

## ჰოლანდია

XXXI ტური

**ფეიენოორდი 1:1 აიაქსი**

0:1 ლაუდრუპი (11), 1:1 ბოსველტი (48)

ფეიენოორდი: დუდეკი, ვან გობელი, კონტერმანი, დე ჰაანი, რზასა, ბოსველტი, პაუვე, დე ვისერი, კალუ (ვან ფოსენი 68), დალ ტომასონი, ხულიო კრუზი

მწვრთნელი: ჰენკ ვან სტეე

აიაქსი: გრიმი, მოკოენა (იაკუბუ 46), ვერლაატი, ვან ჰალსტი, ჩივუ, ვინტერი, კნოპერი, ვიჩგე, ბ. ლაუდრუპი, შ. არველაძე (ვამბერტო 76), გრონკიაერი

მწვრთნელი: ჰანს ვესტერჰოფი

გაფრთხილება: ვერლაატი, მოკოენა, ბოსველტი, ვიჩგე, კნოპერი

მსაჯი: დ. იოლი

45 000 მაყურებელი

**ტვენტე 1:3 პსვ**

0:1, 0:2 ბრუგინკი (6, 20), 1:2 ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (24), 1:3 ბრუგინკი (71)

პსვ: ვატერეუსი, ვან დერ ვეერდენი, ოიერი, ნიკიფოროვი, ჰაინცე, რომედალი (კოლკა 81), ვან ბომელი, ვოგელი (ვან დერ დულენი 89), ბოუმა (ივანი 86), ნილისი, ბრუგინკი

მწვრთნელი: ერიკ გერეტსი

**ვალვაიკი 1:1 დენ ბოსხი**

1:0 ჰეესაკერსი (31), 1:1 ვან დერ ჰორნი (86)

**ნაიმეგენი 1:0 ვიტესი**

1:0 დე გიერი (75)

**ტილბურგი 5:3 გრააფსხაპი**

1:0 ვან დერ ჰიდენი (9), 2:0 შუკოვი (19), 2:1 ვისკაალი (22), 3:1 ლანდზაატი (45პ), 3:2 მერდინკი (52), 4:2 კალუვე (56), 5:2 შუკოვი (72), 5:3 ვისკაალი (82)

**ჰერენვენი 5:1 როდა**

0:1 პეეტერსი (7), 1:1, 2:1 პოპოვიჩი (12, 51), 3:1 ლურლინგი (60), 4:1 მიტრიტა (78), 5:1 დე ნოიერი (90)

**სპარტა 1:2 კამბური**

1:0 ბუხარი (30), 1:1 რუკი (48), 1:2 ნელისე (73)

**ალკმარი 2:0 მაასტრიხტი**

1:0 ბოსმანი (45), 2:0 რიკსენი (75)

**სიტარდი 3:0 უტრეხტი**

1:0 ჰეერინგი (21), 2:0 გერიტსენი (46), 3:0 ამოა (77)

ჩემპიონატის მორიგ ტურში ორი აღსანიშნავი ფაქტი მოხდა. პირველი ის, რომ პსვ-მ სტუმრად „ტვენტე" დაამარცხა 3:1 და ქვეყნის ჩემპიონის ტიტული მეთხუთმეტედ მოიპოვა, მეორეც — კვირას გამართულ სუპერმატჩში როტერდამის „ფეიენოორდმა" ამსტერდამის „აიაქსს" უმასპინძლა. შეხვედრა ფრედ 1:1 დასრულდა.

პირველობის დამთავრებამდე სამი ტურით ადრე პსვ-ს გაჩემპიონება არნოლდ ბრუგინკის ჰეთ თრიქმა განაპირობა. მატჩის უდავო გმირმა „ტვენტეს" კარი სამჯერ დალაშქრა, პსვ-ს კი ამდენივე ქულა მოუპოვა. ეინდჰოვენურმა კლუბმა ჯამში 75 ქულა დააგროვა და უახლოეს მდევარ „ჰერენვენს" (რომელმაც მორიგ ტურში შინ „როდა" დაამარცხა 5:1) უკვე 12 ქულით უსწრებს. დარჩენილ ტურებში დეფიციტის აღმოფხვრა უკვე შეუძლებელია.

ერიკ გერეტსმა თავის უწვრთნელ გუნდებს ქვეყნის ჩემპიონობა სამჯერ მოაპოვებინა. წინა სეზონებში იგი ბელგიაში მოღვაწეობდა და ჯერ „ლიერსი" ალაზევა, შემდეგ — „ბრიუგე". ბელგიური ფეხბურთის ისტორიაში გერეტსი პირველი მწვრთნელია, რომელმაც ზედიზედ ორ სეზონში სხვადასხვა გუნდები გააჩემპიონა. შეგახსენებთ, რომ თავისი სათამაშო კარიერის საკმაო წლები გერეტსმა პსვ-ში გაატარა და ექვსჯერ გახდა ჰოლანდიის ჩემპიონი.

პირველობის მორიგი ტურის კიდევ ერთი მოვლენა: როტერდამის სტადიონზე ორი ისტორიული მეტოქე „ფეიენოორდი" და „აიაქსი" დაუპირისპირდა ერთმანეთს. ეს გუნდები წლეულს ჩემპიონობისთვის აღარ იბრძვიან და მიზნად ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება დაუსახავთ. ამ შეხვედრამ ჯერჯერობით ვერაფერს მოჰფინა ნათელი, კვლავაც უპასუხოდ დარჩა შეკითხვა — ვინ მოიპოვებს ლიგის საგზურს.

ამსტერდამელებმა ანგარიში მე-11 წუთზე გახსნეს. ბრაიან ლაუდრუპმა მეტოქის მცველს ფეხებშორის გაუძვრინა ბურთი და „ფეიენოორდის" კარის ბადეში გაახვია. მიმდინარე სეზონში დანიელმა ლეგიონერმა მეცამეტმედ გამოიჩინა თავი.

შეხვედრა სასტარტოში დაიწყო შოთა არველაძემ, რომელმაც, წინა ტურებისგან განსხვავებით, გოლის გატანა ვერ მოახერხა და ბოლო 14 წუთი იგი ვამბერტომ შეცვალა.

„ფეიენოორდმა, კერძოდ ბოსველტმა, ანგარიში მეორე ტაიმის დებიუტში გაათანაბრა. ამსტერდამელთა მეკარე ფრედი გრიმი შეცდა, ბოსველტმა კი შანსი ბრწყინვალედ გამოიყენა. საბოლოოდ ფრე 1:1.

დარჩენილ სამ ტურში დიდი ბრძოლაა მოსალოდნელი. ლიგის საგზურისთვის პრეტენზიას ერთბაშად ექვსი გუნდი აცხადებს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 31 | 24 | 3 | 4 | 94:23 | 75 |
| ჰერენვენი | 31 | 20 | 3 | 8 | 61:34 | 63 |
| აიაქსი | 31 | 17 | 7 | 7 | 70:45 | 58 |
| ფეიენოორდი | 31 | 16 | 9 | 6 | 58:38 | 57 |
| ვიტესი | 31 | 16 | 8 | 7 | 61:41 | 56 |
| ტვენტე | 31 | 15 | 11 | 5 | 50:33 | 56 |
| ალკმარი | 31 | 17 | 4 | 10 | 64:50 | 55 |
| როდა | 31 | 13 | 7 | 11 | 54:48 | 46 |
| ტილბურგი | 31 | 13 | 7 | 11 | 52:59 | 46 |
| უტრეხტი | 31 | 13 | 3 | 15 | 51:57 | 42 |
| ვალვაიკი | 31 | 11 | 6 | 14 | 40:58 | 39 |
| სიტარდი | 31 | 9 | 7 | 15 | 42:50 | 34 |
| სპარტა | 31 | 10 | 4 | 17 | 45:64 | 34 |
| გრააფსხაპი | 31 | 8 | 8 | 15 | 38:52 | 32 |
| ნაიმეგენი | 31 | 7 | 6 | 18 | 35:56 | 27 |
| მაასტრიხტი | 31 | 5 | 6 | 20 | 35:66 | 21 |
| კამბური | 31 | 4 | 7 | 20 | 29:62 | 19 |
| დენ ბოსხი | 31 | 3 | 10 | 18 | 28:71 | 19 |




REUTERS როიტერიდან

ფეიენოორდი — აიაქსი 1:1. როტერდამელი პოლ ბოსველტი ამსტერდამელ კრისტიან ჩივუს აჩერებს



REUTERS შერთიდან

სენტ ჯონსტონი — რეინჯერსი 0:2. სენტ ჯონსტონის დარენ დოდსმა სტუმართა კაპიტანი ლორენცო ამორუზო ბურთთან არ მიუშვა

## შოტლანდია

XXXII ტური

**სენტ ჯონსტონი 0:2 რეინჯერსი**

0:1, 0:2 დოდსი (41, 59)

რეინჯერსი: კლოსი, ლ. ამორუზო, ნუმანი, უილსონი, ბ. ფერგიუსონი, კანჩელსკისი (თუგაი 76), ვან ბრონკჰორსტი (მაკკანი 67), რ. უოლესი (როზენტალი 46), ალბერტცი, კ. რეინა, დოდსი

მწვრთნელი: დიკ ადვოკაატი

**აბერდინი 2:1 მოზერუელი**

1:0 დოუ (32), 1:1 ბრანანი (41პ), 2:1 სოლბერგი (83)

**სელტიკი 1:1 ჰიბერნიანი**

0:1 ლოველი (30), 1:1 მაე (79)

**დანდი 1:2 კილმარნოკი**

0:1, 0:2 პ. რაიტი (35, 75პ), 1:2 ლუნა (76)

**ჰართსი 1:2 დანდი იუნ.**

1:0 ველსი (63), 1:1, 1:2 მატი (73, 87)

გლაზგოში „სელტიკისა“ და „ჰიბერნიანის“ ფრედ დასრულებულმა შეხვედრამ 1:1 ბოლო დროის საუკეთესო შოტლანდიურ გუნდ „რეინჯერსს“ ვადამდელი ჩემპიონობა მოუტანა.

დიკ ადვოკაატის კლუბი ბოლო 12 წლის განმავლობაში მეთერთმეტედ გახდა ქვეყნის ჩემპიონი, პირველობის დასრულებამდე ხუთი ტურით ადრე უახლოეს მდევარ „სელტიკს“ 20 ქულით გაუსწრო და მიუღწეველი შეიქნა.

თავად დიკ ადვოკაატი „რეინჯერსში“ ბოლო ორი წელია, მოღვაწეობს და გუნდს ორჯერ მოაპოვებინა უძლიერესის ტიტული. „მოგება ყოველთვის სასიამოვნოა. დამერწმუნეთ, ნამდვილად ბევრი ვიშრომეთ, წარმატებისთვის რომ მიგვეღწია. მართალია, პირველობა ვადამდე ადრე გავინაღდეთ, მაგრამ ადვილი არაფერი ყოფილა. ერთობ ხანგრძლივი სეზონის მანძილზე ჩავარდნაც გვქონდა და აღმავლობაც, თუმცა იმასაც აღვნიშნავ, რომ მხოლოდ ერთი მატჩი წავაგეთ. ჩემპიონებიც დამსახურებულად გავხდით. ახლა უკვე შემიძლია განვაცხადო, რომ ბრწყინვალე სეზონი ჩავატარეთ — გამოცდილმა სპეციალისტმა „სენტ ჯონსტონთან“ ბოლო ტურის მატჩზეც ისაუბრა — შეხვედრა კვირას გაიმართა, ჩვენ „სელტიკის“ შედეგი ვიცოდით, თუმცა „სენტ ჯონსტონთან“ მხოლოდ მოსაგებად გავედით მინდორზე. მეტოქემ წინააღმდეგობა ველარ გაგვიწია და დამარცხდა. თუმც, ისიც უნდა ვთქვა, რომ ბოლომდე იბრძოლა. ახლა, როცა პირველობა დავიბევეთ, იქნებ ბევრი ფიქრობს, რომ მოვეშვებით, მაგრამ მე ასე არ ვთვლი. საკითხავია, მომდევნო ტურში კიდევ რამდენი გოლის გატანას მოვახერხებთ“...

თუმცა ადვოკაატმა ისიც აღნიშნა, რომ დარჩენილ ტურებში, შესაძლოა რამდენიმე წამყვანი მოთამაშე დაასვენოს, რათა მაისში შოტლანდიის თასის ფინალს „აბერდინის“ წინააღმდეგ სრული მზადყოფნით შეხვდეს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 31 | 24 | 6 | 1 | 85:22 | 78 |
| სელტიკი | 31 | 18 | 4 | 9 | 81:36 | 58 |
| ჰართსი | 32 | 13 | 8 | 11 | 44:38 | 47 |
| მოზერუელი | 32 | 11 | 9 | 12 | 42:61 | 42 |
| დანდი იუნ. | 31 | 11 | 6 | 14 | 33:48 | 39 |
| ჰიბერნიანი | 31 | 9 | 11 | 11 | 45:51 | 38 |
| დანდი | 32 | 10 | 5 | 17 | 41:59 | 35 |
| კილმარნოკი | 32 | 7 | 13 | 12 | 34:42 | 34 |
| სტ. ჯონსტონი | 31 | 8 | 10 | 13 | 31:40 | 34 |
| აბერდინი | 31 | 7 | 6 | 18 | 35:74 | 27 |

## პორტუგალია

XXXI ტური

**ბელენენსეში 2:1 სალგეირუში**

1:0 ფერნანდესი (52), 1:1 ფეპერი (85), 2:1 ნუნეში (90)

**კამპომაიორ. 1:0 სანტა კლარა**

1:0 კონსტანტინუ (55)

**ბრაგა 1:0 ფარენსე**

1:0 ტაილსონი (57)

**ალვერკა 0:1 ამადორა**

0:1 ჟილბერტო (60)

**პორტუ 4:1 სეტუბალი**

1:0 დომინგუში (1), 2:0, 3:0 ჟარდელი (42, 51პ), 2:1 მაიონგი (55), 3:1 ჟარდელი (86)

**ბოავიშტა 2:0 ჟილ ვისენტე**

1:0, 2:0 ერვინ სანჩესი (38, 87)

**რიუ ავე 1:2 სპორტინგი**

1:0 მელო (31), 1:1 აევუ (45), 1:2 ალბერტო აკოსტა (63)

**ლეირია 2:1 ბენფიკა**

0:1 ნუნუ გომეში (8), 1:1 პაულო ალვეში (62), 2:1 დინდა სანტუში (87)

**გიმარაეში — მარიტიმუ**

წუხელ გვიან გაიმართა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპორტინგი | 31 | 21 | 8 | 2 | 51:21 | 71 |
| პორტუ | 31 | 21 | 6 | 4 | 60:20 | 69 |
| ბენფიკა | 31 | 18 | 6 | 7 | 52:32 | 60 |
| ბოავიშტა | 31 | 15 | 6 | 10 | 36:28 | 51 |
| ჟილ ვისენტე | 31 | 13 | 9 | 9 | 44:31 | 48 |
| გიმარაეში | 30 | 14 | 5 | 11 | 43:32 | 47 |
| მარიტიმუ | 30 | 11 | 11 | 8 | 33:29 | 44 |
| ამადორა | 31 | 9 | 14 | 8 | 33:30 | 41 |
| ბელენენსეში | 31 | 9 | 13 | 9 | 35:34 | 40 |
| ბრაგა | 31 | 12 | 4 | 15 | 39:40 | 40 |
| ლეირია | 31 | 9 | 11 | 11 | 28:30 | 38 |
| ალვერკა | 31 | 10 | 7 | 14 | 36:44 | 37 |
| ფარენსე | 31 | 7 | 10 | 14 | 30:55 | 31 |
| რიუ ავე | 31 | 7 | 9 | 15 | 30:47 | 30 |
| სალგეირუში | 31 | 8 | 6 | 17 | 25:43 | 30 |
| კამპომაიორ. | 31 | 8 | 6 | 17 | 28:47 | 30 |
| სეტუბალი | 31 | 8 | 5 | 18 | 23:47 | 29 |
| სანტა კლარა | 31 | 5 | 10 | 16 | 29:45 | 25 |

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

მჩ შესარჩევი მატჩები
26 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 501 | ბოლივია-კოლუმბია | 2,6 | 2,8 | 2,6 |
| 502 | ვენესუელა-არგენტინა | 1,0 | 5,6 | 1,2 |
| 503 | პარაგვაი-ურუგვაი | 2,2 | 2,8 | 3,3 |
| 504 | ბრაზილია-ეკვადორი | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| 505 | ჩილე-პერუ | 1,7 | 2,9 | 5,3 |

ამხანაგური მატჩები
26 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 506 | რუსეთი-აშშ | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 507 | ბულგარეთი-უკრაინა | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 508 | რუმინეთი-კვიპროსი | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| 509 | დანია-შვედეთი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 510 | ნორვეგია-ბელგია | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 511 | პოლონეთი-ფინეთი | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 512 | ლუქსემბურგი-ესტონეთი | 4,4 | 3,2 | 1,8 |
| 513 | ჩეხეთი-ისრაელი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 514 | ავსტრია-ხორვატია | 2,8 | 2,9 | 2,4 |
| 515 | გერმანია-შვეიცარია | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 516 | ირლანდია-საბერძნეთი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 517 | საფრანგეთი-სლოვენია | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 518 | ჰოლანდია-შოტლანდია | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 519 | იტალია-პორტუგალია | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 520 | ჩრდ.ირლანდია-უნგრეთი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 521 | ანდორა-ბელარუსი | 7,0 | 3,8 | 1,4 |

გერმანია. ბუნდესლიგა
27 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 001 | დუისბურგი-არმინია | 2,2 | 3,0 | 3,1 |

ინგლისი. I დივიზიონი
25 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 002 | იფსვიჩი-კრისტალ პალასი | 1,35 | 4,0 | 7,5 |

ინგლისი. II დივიზიონი
25 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 003 | ბორნმუთი-ჩესტერფილდი | 1,5 | 3,8 | 5,3 |

ინგლისი. III დივიზიონი
26 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 004 | ბრაიტონი-პიტერბრო | 3,4 | 3,1 | 2,0 |

საფრანგეთი. II დივიზიონი
27 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 005 | ამიენი-სოშო | 2,9 | 3,0 | 2,3 |

ესპანეთი. თასის 1/2 ფინალი. II მატჩი
26 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 006 | ესპანიოლი-რეალი | 2,8 | 2,9 | 2,4 |

პოლონეთი. ლიგის თასის ფინალი
25 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 007 | ლეგია-პოლონია | 2,5 | 3,0 | 2,5 |

კალათბურთი. 1/8 ფინალი
25 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 801 | მაიამი-დეტროიტი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 802 | სან ანტონიო-ფინიქსი | 1,25 | 12,0 | 3,1 |

26 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 803 | ნიუ იორკი-ტორონტო | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 804 | პორტლენდი-მინესოტა | 1,15 | 12,0 | 4,0 |

27 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 805 | ინდიანა-მილუოკი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 806 | ლეიკერსი-საკრამენტო | 1,1 | 12,0 | 5,0 |

ჰოკეი. 1/8 ფინალი
25 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 807 | ტორონტო-ოტავა | | | |
| 808 | სენტ ლუისი-სან ხოსე | 1,3 | 4,0 | 4,0 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# კულჰარდმა სილვერსტოუნი დაიჩემა

ყოველი რბოლა, ცხადია, ისტორიული მნიშვნელობისაა, მიუხედავად იმისა, სწორედ მაშინ წყდება ჩემპიონობის საკითხი, თუ ჩვეულებრივ, რიგით ეტაპს წარმოადგენს. ნახევარი საუკუნის მანძილზე, ანუ წლევანდელ სეზონამდე, ფორმულაში 646 დიდი პრიზი გათამაშებულა. ასე რომ, გასულ კვირას ლონდონიდან 130 კმ-ით დაშორებულ სილვერსტოუნის ავტოდრომზე ჩატარებული რბოლა საიუბილეო, 650-ე გახდა. ზეისტორიული, პირველი ჩემპიონატის პირველი ეტაპიც იქვე, სამხედრო აეროდრომის ტერიტორიაზე მოწყობილ ტრასაზე შედგა 1950 წლის 13 მაისს. ერთი სიტყვით, სწორედ ინგლისი და სწორედ „სილვერსტოუნი" ითვლება ფორმულა I-ის დაბადების ადგილად. 4600-მეტრიანი წრე თავიდანვე თითქმის ყველაზე სწრაფი იყო. შემდგომში, უსაფრთხოების მიზნით, რამდენიმე მოსახვევი დაემატა, ტრასა ნახევარი კილომეტრით დაგრძელდა და სიჩქარემაც ოდნავ იკლო. ამ ერთ-ერთ უძველეს ავტოდრომზე გუშინწინ 34-ედ გათამაშდა ბრიტანეთის დიდი პრიზი (დანარჩენ 17 ეტაპს ბრენდს ჰეჩმა და ეინტრიმ უმასპინძლა).

რბოლის წინ ორკვირიანმა, თითქმის გადაუღებელმა წვიმამ მონაწილეებს დამატებითი თავსატეხი გაუჩინა. ბოლიდების ტესტირება და ტრასასთან შეგუება პილოტებს რთულ პირობებში მოუხდათ. ის კი არა, ჭირვეულმა ამინდმა კვალიფიკაციის შედეგებზეც გავარიანად იმოქმედა. ლიდერობა თავიდან რუნებს ბარიკელომ იგდო ხელთ, შემდეგ რალფ შუმახერმა, ჰაინც-ჰარალდ ფრენცენმა. მეოცე წუთისთვის მიკა ჰაკინენმა და დევიდ კულჰარდმაც გამოაგელვეს ბედაურები და უპირატესობამ მაშინვე მათ მხარეს გადაინაცვლა.

საკვალიფიკაციო საათის გასრულებამდე ხუთიოდე წუთიღა რჩებოდა, როცა ერთდროულად თითქმის ყველამ მოისურვა უკანასკნელი ცდის გამოყენება. მცირე ხნით ედი ირვინმაც ილიდერა, შემდეგ ისევ ფრენცენმა, ბარიკელომ. ბოლო წუთზე იერიში ჰაკინენმაც მიიტანა, მაგრამ მხოლოდ მესამე შედეგი დააფიქსირა. ბარიკელომ კი სულ რაღაც წამის სამი მეათასედით (!) აჯობა ფრენცენს. ბრაზილიელისთვის ეს მესამე პოულია და პირველი „ფერარის" შემადგენლობაში. ჰა-ჰაც, რომლის გუნდისთვის ბრიტანული ეტაპი 150-ე იყო, კვირას მშვენიერ განწყობაზე გახლდათ, რადგან წინა რიგიდან სტარტის აღების უფლება წლეულს პირველად მოიპოვა.

მსაჯების ნიშნისთანავე რუბინიომ არავის დაანება ლიდერობა და თავში მოექცა ქარავანს. შედარებით მძიმედ დაიძრა მიკას „მაკლარენი", მის უკან მდგომი შუმი კი ამჯერადაც უსწრაფესად მოსწყდა ადგილს და რაკი მარჯვენა მხარე მანქანებით ჩახერგილი იყო, მარცხნიდან სცადა ჩემპიონის გასწრება და თითქმის მიაღწია კიდეც მიზანს, მაგრამ ოდნავ გადავიდა სველ ბალახზე და ტემპი დაკარგა, თანაც ბოლო მომენტში ჰაკინენმა მაინც გადაულობა გზა, თუმც წესი არ დაურღვევია. მიხაელიც უაზრო რისკს მოერიდა და სიჩქარის შემცირება ამჯობინა. ეს უშედეგო მანევრი გერმანელ პილოტს სამი პოზიციის დაკარგვად დაუჯდა, რადგან მიკასგან სიჩქარედაკარგულს ჯერ ჯეისონ ბატონმა და ჟაკ ვილნევმა, შემდეგ კი უმცროსმა ძმამაც გაუსწრო. დაზარალდა ჰაკინენიც — სტარტზე ოდნავ შეყოვნებულსა და შუმახერთან დუელით გართულს იოლად აუარა გვერდი თანაგუნდელმა.

რალფი კი მარტო ძმაზე იერიშს არ დასჯერდა — მეორე წრეზე საუკეთესო დროც აჩვენა და იმ ჩქაროსნულ მოსახვევში („სტოუ"), სადაც უფროს შუმის შარშან ავარია შეემთხვა, ვილნევის ეფექტურად გასწრების შემდეგ ექვსეულშიც ამოჩნდა.

როგორც წესი, სასტარტო ციებ-ცხელების შემდეგ, ხუთიოდ წუთში რბოლა წყნარდება და ხშირ შემთხვევაში ბოქსებამდე მნიშვნელოვანი არაფერი ხდება. ამჯერადაც ასე იყო: ორი წრის მერე დაწინაურებულთა ჯგუფი კარგა ხანს, თითქმის შუა გზამდე, უცვლელი მიმდევრობით დაქროდა. ბარიკელოს კუდში მიჰყვებოდნენ ფრენცენი, ორივე „მაკლარენი", დებიუტანტი ბატონი და რალფ შუმახერი, ოდნავ უკან კი ვილნევი და მიხაელ შუმახერი.

ათი, თხუთმეტი, ოცი წრის მერეც იგივე ექვსეული იყო და ისევ ის წამზე ნაკლები სხვაობა ლიდერთა შორის. დანარჩენები მათ მჭიდრო ჯგუფად, 3-4 წამიანი ინტერვალით მისდევდნენ. სამაგიეროდ, უსაშველოდ, 23 წამამდე გაიზარდა ბარიკელოსთან მიხაელის ჩამორჩენა — მას ვილნევის გასწრებაც კი ვერ მოეხერხებინა.

რაკი თითქმის ნახევარი დისტანცია ისე გაილია, რომ ერთი ცვლილებაც არ მომხდარა, ცხადია, ბოქსები თუ შეიტანდა კორექტივებს რბოლის მსვლელობაში. პირველად ფრენცენმა შეუხვია საწვავისთვის, შემდეგ რალფმა, ბატონმა და აირია მონასტერი. ჰა-ჰას გზიდან ჩამოშორების შემდეგ ნაცრისფერი „მაკლარენები" ზვიგენებივით მიეჭრნენ ლიდერს და როდის „გადაყლაპავდნენ" მის სისხლისფერ „ფერარის", მხოლოდ დროის საკითხი იყო. 30-ე წრეზე კულჰარდმა ტრასის უსწრაფესი მონაკვეთის ბოლოს, „სტოუში", უნაკლოდ შესრულებული რთული მანევრით, როგორც იქნა შეძლო ბარიკელოს გასწრება. მიკამ ბოქსებში შესვლა ამჯობინა, სადაც 11,3 წამით შეაყოვნეს. ლიდერმა კი უსწრაფესად გაიარა წრე, რითაც უფრო გაზარდა თავისი უპირატესობა და მერეღა შევიდა საწვავის ჩასამატებლად — 10,2. ჰაკინენი მერვე დაბრუნდა ტრასაზე, კულჰარდი — მეოთხე, ლიდერობა კი კვლავ ბარიკელომ იგდო ხელთ. „ფერარები" ყველაზე გვიან, ფინიშამდე ასიოდე კილომეტრით ადრე აპირებდნენ ბენზინის ჩასხმას, რომ შედარებით მსუბუქი მანქანებით ბოლომდე დიდი სიჩქარით ევლოთ. მაგრამ რუბინიოს ასეთი ტაქტიკა ძვირად დაუჯდა — 35-ე წრეზე მისი ბოლიდის ჰიდრავლიკამ აურია და უკვე საკმაოდ გაცვეთილსაბურავებიანი „ფერარი" ციბრუტივით დატრიალდა ასფალტზე. ბრაზილიელმა ბოქსებამდე კი მიაღწია, მაგრამ, მექანიკოსების მცდელობის მიუხედავად, ადგილიდან ველარ დაიძრა.

რბოლის სათავეში ახლა შუმი მოექცა, თუმც ორიოდე წუთით, რადგან მალე მასაც პიტსტოპი ელოდა. რაკი ფინიშამდე არც ისე ბევრი იყო დარჩენილი, შეყოვნება ხანმოკლე, 8,8-წამიანი გამოდგა და მიხაელიც მესამე პოზიციაზე დაბრუნდა, მაგრამ ჩამორჩენის შემცირება ვერ შეძლო და გამარჯვებისთვის ბრძოლა მომდევნო ეტაპისთვის გადადო.

ხელმეორედ გალიდერებულ კულჰარდს ბოლომდე აღარავისთვის დაუთმია უპირატესობა და ფინიშის ხაზიც პირველმა გადაკვეთა. მიკამ კი ისღა მოახერხა, რომ თანაგუნდელთან ათწამიანი დეფიციტი თითქმის მინიმუმამდე დაეყვანა, რაშიც დევიდის ბოლიდზე მწყობრიდან გამოსული სიჩქარეთა კოლოფი დაეხმარა.

ექვსი წრით ადრე ფრენცენსაც უმტყუნა ბედაურმა, ხუთიოდ წუთში კი ჰა-ჰას თანაგუნდელის, იარნო ტრულის „ჯორდანთან" მცირე შეჯახების გამო ვილნევის BAR-იც გამოეთიშა ბრძოლას. ამ კონფლიქტით იტალიელმა პილოტმა იხეირა და თავისი ბრიტანელი შეფი ედი ჯორდანი საიუბილეო რბოლაში ერთი ქულით მაინც გაახარა.

ამრიგად, მშობლიური დიდი პრიზის გათამაშება „მაკლარენმა" შთამბეჭდავი დუბლით აღნიშნა. 29 წლის შოტლანდიელმა ზედიზედ მეორედ გაიმარჯვა „სილვერსტოუნზე" და კარიერაში მეშვიდედ (94 რბოლიდან). კულჰარდს 235 ქულა დაუგროვდა, რაც 21-ე შედეგია ფორმულის ისტორიაში. ბავშვივით გახარებულმა დევიდმა პოდიუმზე შამპანურიც ბლომად ყლუპა. გამარჯვებულთან 20-წამიანი ჩამორჩენის მიუხედავად, მიხაელ შუმახერიც არ ჩანდა ნირწამხდარი — რაც მთავარია, შარშანდელი უმძიმესი ავარიის შემდეგ ბუნებრივი, შიშის ფაქტორიც [illegible] და მდევრებთან ოცქულიანი [illegible] შეინარჩუნა. ეს შუმის ზედიზედ მეექვსე პოდიუმია, რაც საკმაოდ იშვიათი შემთხვევაა და მძღოლ-ბოლიდის უმაღლეს დონეზე მეტყველებს.

**ირაკლი ნიკოლაძე**



REUTERS სილვერსტოუნიდან

მინდა გაკოცო: მიკა ჰაკინენი და დევიდ კულჰარდი

## რბოლის შედეგები

**ბრიტანეთის დიდი პრიზი**
23 აპრილი. სილვერსტოუნი
დისტანცია — 60 წრე — 308.356 კმ

1. კულჰარდი (მაკლარენი) 1:28.50,108 (208,326 კმ/სთ) 10 ქულა
2. ჰაკინენი (მაკლარენი) ჩამორჩა 1,477 — 6 ქულა
3. მ. შუმახერი (ფერარი) 19,917 — 4 ქულა
4. რ. შუმახერი (უილიამსი) 41,312 — 3 ქულა
5. ბატონი (უილიამსი) 57,759 — 2 ქულა
6. ტრული (ჯორდანი) 1. 19,273 — 1 ქულა
7. ფიზიკელა (ბენეტონი) 1 წრით
8. სალო (ზაუბერი) 1 წრით
9. ვურცი (ბენეტონი) 1 წრით
10. ალეზი (პროსტი) 1 წრით
11. დინიცი (ზაუბერი) 1 წრით
12. ჰერბერტი (იაგუარი) 1 წრით
13. ირვინი (იაგუარი) 1 წრით
14. ჟენე (მინარდი) 1 წრით
15. მაცაკანე (მინარდი) 1 წრით
16. ვილნევი (BAR) 4 წრით
17. ფრენცენი (ჯორდანი) 6 წრით

**საუკეთესო წრე**

ჰაკინენი 1.26,217 (214.663 კმ/სთ)

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | |
|---|---|
| ჰაიდფელდი (პროსტი) | გაიარა 51 წრე |
| ზონტა (BAR) | 36 |
| ბარიკელო (ფერარი) | 35 |
| დე ლა როსა (ეროუსი) | 26 |
| ვერსტაპენი (ეროუსი) | 20 |

## სტარტზე განლაგება

21 მაცაკანე მინარდი 1.29,174
20 ჟენე მინარდი 1.28,253
12 ვურცი ბენეტონი 1.28,205
19 დე ლა როსა ეროუსი 1.28,135
17 სალო ზაუბერი 1.28,110
15 ჰაიდფელდი პროსტი 1.27,806
23 ზონტა BAR 1.27,772
14 ალეზი პროსტი 1.27,559
8 ჰერბერტი იაგუარი 1.27,461
16 დინიცი ზაუბერი 1.27,301
11 ფიზიკელა ბენეტონი 1.27,253
6 ტრული ჯორდანი 1.27,164
22 ვილნევი BAR 1.27,025
7 ირვინი იაგუარი 1.26,818
18 ვერსტაპენი ეროუსი 1.26,793
9 რ. შუმახერი უილიამსი 1.26,786
10 ბატონი უილიამსი 1.26,733
3 მ. შუმახერი ფერარი 1.26,161
2 კულჰარდი მაკლარენი 1.26,088
1 ჰაკინენი მაკლარენი 1.25,741
5 ფრენცენი ჯორდანი 1.25,706
4 ბარიკელო ფერარი 1.25,703

| FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP | ავსტრალია 12.03.00 | ბრაზილია 26.03.00 | სან-მარინო 9.04.00 | დ.ბრიტანეთი 23.04.00 | ესპანეთი 7.05.00 | ევროპა 21.05.00 | მონაკო 4.06.00 | კანადა 18.06.00 | საფრანგეთი 2.07.00 | ავსტრია 16.07.00 | გერმანია 30.07.00 | უნგრეთი 13.08.00 | ბელგია 27.08.00 | იტალია 10.09.00 | აშშ 24.09.00 | იაპონია 8.10.00 | მალაიზია 22.11.00 | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მ.შუმახერი ფერარი, გერმანია | 10 | 10 | 10 | 4 | | | | | | | | | | | | | | 34 |
| 2 კულჰარდი მაკლარენი, ბრიტანეთი | – | – | 4 | 10 | | | | | | | | | | | | | | 14 |
| 3 ჰაკინენი მაკლარენი, ფინეთი | – | – | 6 | 6 | | | | | | | | | | | | | | 12 |
| 4 ბარიკელო ფერარი, ბრაზილია | 6 | – | 3 | – | | | | | | | | | | | | | | 9 |
| 5 რ.შუმახერი უილიამსი, გერმანია | 4 | 2 | – | 3 | | | | | | | | | | | | | | 9 |
| 6 ფიზიკელა ბენეტონი, იტალია | 2 | 6 | – | – | | | | | | | | | | | | | | 8 |
| 7 ვილნევი BAR, კანადა | 3 | – | 2 | – | | | | | | | | | | | | | | 5 |
| 8 ფრენცენი ჯორდანი, გერმანია | – | 4 | – | – | | | | | | | | | | | | | | 4 |
| 9 ტრული ჯორდანი, იტალია | – | 3 | – | 1 | | | | | | | | | | | | | | 4 |
| 10 ბატონი უილიამსი, ბრიტანეთი | – | 1 | – | 2 | | | | | | | | | | | | | | 3 |
| ზონტა (BAR, ბრაზილია), სალო (ზაუბერი, ფინეთი) — 1 ქულა | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 ფერარი | 16 | 10 | 13 | 4 | | | | | | | | | | | | | | 43 |
| 2 მაკლარენი | – | – | 10 | 16 | | | | | | | | | | | | | | 26 |
| 3 უილიამსი | 4 | 3 | – | 5 | | | | | | | | | | | | | | 12 |
| 4 ბენეტონი | 2 | 6 | – | – | | | | | | | | | | | | | | 8 |
| 5 ჯორდანი | – | 7 | – | 1 | | | | | | | | | | | | | | 8 |
| BAR — 6; ზაუბერი — 1 ქულა | | | | | | | | | | | | | | | | | | |

# პატარა დიდი ჩოგბურთი

გუშინ საქართველოს საჩოგბურთო დედაქალაქ ბათუმში კიდევ ერთი ტურნირი, იუნიორთა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ჩემპიონატი დაიწყო.

ესოდენ პრესტიჟული პირველობის მასპინძლობის უფლება ზღვისპირა ქალაქმა გასულ შემოდგომაზე, იტალიურ გენუაში მოიპოვა საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტის, ლეილა მესხის დიდი მოწადინებისა და მანამდე ქალთა საერთაშორისო ტურნირების შესანიშნავად ორგანიზების წყალობით.

ორ ეტაპად გასამართ ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად ბათუმს 15 ქვეყნის 64 ჩოგბურთელი ეწვია, როგორც ყოფილი საბჭოეთიდან (რუსეთის გარდა), ასევე ბულგარეთიდან, კვიპროსიდან, რუმინეთიდან, იუგოსლავიიდან, მაკედონიიდან და ბოსნია ჰერცოგოვინადან.

ტურნირის ორგანიზატორები არიან ფონდი „აღორძინება“ და საქართველოს ჩოგბურთის ფედერაცია, ბურთებითა და მედლებით მომარაგება კი ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ითავა.

ორი ეტაპის ჯამში საუკეთესოთა ექვსეულში მოხვედრილი 6-6 გოგო-ბიჭი გამოცდილებისა და სამახსოვრო საჩუქრების გარდა გაცილებით სასარგებლო და სასიამოვნო ჯილდოს — 2000 დოლარს მიიღებს გრანტის სახით.

საქართველოს ნაკრების კაპიტანი ტურნირზე გივი გორდაძე იქნება, ქვეყნის სახელით კი ნინო ესებუა, ნანა უროტაძე, მაგდა კვაჭაძე, თამარა ახობაძე და ლიანა დალაქიშვილი იასპარეზებენ.



ნანა უროტაძე

# ფსიქოანალიზის პირმშო



სედრიკ პიოლინს მთავარ ჯილდოს პრინცი ალბერტი გადასცემს

REUTERS

| მასტერსის სერია — მონტე კარლო. მონაკო. თიხნარი. საპრიზო 3 მილიონი $ |
|---|
| მეოთხედფინალი: **სედრიკ პიოლინი** (8, საფრანგეთი) — კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) 6:2, 6:4; **დომინიკ ჰრბატი** (სლოვაკეთი) — ალექს კორეტხა (9, ესპანეთი) 3:6, 6:3, 6:4; **ქარიმ ალამი** (მაროკო) — ალბერტ კოსტა (12, ესპანეთი) 6:4, 7:5; **გასტონ გაუდიო** (არგენტინა) — ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) 6:4, 6:2. |
| ნახევარფინალი: **პიოლინი** — ალამი 6:3, 6:1; **ჰრბატი** — გაუდიო 4:6, 7:5, 6:2. |
| ფინალი: **პიოლინი** — ჰრბატი 6:4, 7:6 (7:3), 7:6 (8:6). |

ჩოგბურთელებს არაერთხელ აღუნიშნავთ, ხეირიანად რომ ითამაშო და წარმატებებს მიაღწიო, მარტო კარგი ფიზიკური მზადყოფნა თუ ამა თუ იმ დარტყმაში დაოსტატება საკმარისი არ არისო. ამაზე მეტად თუ არა, არანაკლებ მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური სიძლიერეა. ბექჰენდი ან ფორჰენდი შეიძლება ათიდან ათჯერ დასვა გვერდითი ხაზის სიახლოვეს, მაგრამ მთავარია, იგივე მაშინ მოახერხო, როდესაც მატჩის ბედი წყდება, ხელი არ აგიკანკალდეს, როდესაც ბადესთან გასული მეტოქე შენს მომდევნო მოქმედებას ელის.

საჩოგბურთო ნიჭზე თუ მიდგება საქმე, სედრიკ პიოლინს ბევრი ვერ გაეჯიბრება. ფრანგს მძლავრი მოწოდება და შესანიშნავი მიღება აქვს, უკანა ხაზზეც საუცხოოდ გრძნობს თავს და ბადესთანაც, ვერც სისწრაფეს დაუწუნებს ვინმე და ვერც სტაბილურობას.

მაშ, რით აიხსნება ის, რომ აშშ-ისა და უიმბლდონის ყოფილ ფინალისტს სულ 4 (უკვე 5) ტიტული მოუპოვებია და კარიერაში პირველი 9 ფინალიც წააგო? რა თქმა უნდა, არა მხოლოდ გამოუცდელობით.

როგორც ამბობენ, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს და გასულ დეკემბერში 30 წლის ფრანგმა ფსიქოლოგს მიმართა დახმარებისთვის. ფროიდის კოლეგამ პირველ ყოვლისა მწვრთნელს, პიერ შერეს ურჩია, ყოველთვის დადებით მხარეებზე გაემახვილებინა ყურადღება და ნაკლებად ეკრიტიკებინა თავისი შეგირდი. რამდენიმე თვეც და შედეგი სახეზეა — თებერვალში პიოლინმა კარიერაში პირველად იმარჯვა პრესტიჟულ ტურნირზე — როტერდამში, კვირას კი თავისთვის ასევე პირველი მასტერსის (ყოფილი მერსედეს სუპერ 9) სერიის პირველობაც მოიგო.

„არ ვიცი, იქნებ ჩემი ახლანდელი წარმატებები მართლაც ფსიქოლოგის დამსახურებაა. ის მირჩევს, თუ როგორ შევინარჩუნო კონცენტრაცია და არ ავღელდე. რთული და არაჩვეულებრივი არაფერია, მაგრამ ჩემზე ეს მართლაც დიდ გავლენას ახდენს. სტაბილურადაც იმიტომ ვთამაშობ.“

თავდაჯერებულმა ფრანგმა მონტე კარლოში ყველა მეტოქე იოლად დაამარცხა და მხოლოდ ფინალში, 22 წლის სლოვაკ დომინიკ ჰრბატისთან გაუჭირდა ოდნავ.

მილიონერთა ქალაქში ფრანგს 1963 წლიდან არ გაემარჯვა და სავსებით შესაძლებელი იყო, ნავსი არც ამჯერად გატეხილიყო — ფინალის დროს გაწვიმდა, რამაც საფარი და ბურთები დაამძიმა, ეს კი ჰრბატის გაცილებით მეტად აძლევდა ხელს.

არასახარბიელო პირობების მიუხედავად, პიოლინმა მაინც აგრესიული ტაქტიკა აირჩია, ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში ბადესთან გარბოდა და გარდა იმისა, რომ გათამაშებებს ეფექტურად ამთავრებდა, მეტოქეს აიძულებდა, ხშირად დაეშვა შეცდომა.

გადამწყვეტი მესამე ხელის დასასრული აღმოჩნდა. ჰრბატი 5:4-ს იგებდა, მაგრამ ჯერ საკუთარი მოწოდება დაკარგა რამდენიმე უნებლიე შეცდომის ხარჯზე, მერე კი მატჩის უგრძეს, 17-წუთიან გეიმში პიოლინმა 4 ბრეიკ-პონტი გადაარჩინა და ტაი-ბრეიკს მიატანა.

ყველაფერი მეორე მატჩ-პოინტზე დასრულდა: ფრანგი შეშლილივით დარბოდა ერთი კიდიდან მეორეში, აულებელ ბურთებს ზედიზედ უკან აბრუნებდა და, ბოლოს და ბოლოს, 2 საათისა და 42 წუთის შემდეგ ჰრბატი გატყდა.

„ძალიან მძიმე მატჩი იყო. დომინიკი ფანტასტიკურად თამაშობდა და თავადაც არ ვიცი, მის დარტყმულებს როგორ ვუსწრებდი. ისე დავრბოდი, თითქოს 20 წლის ვიყავი. მიყვარს ჩემი პროფესია და ეს დამატებით ძალებს მმატებს“ — აღნიშნა პიოლინმა, რომელსაც ამ ოფლის ღვრის საკომპენსაციოდ 400 ათასი დოლარი ერგო.

დაჯილდოების ცერემონიალზე ფრანგი გაბადრული იყო: მონტე კარლოში წინა ორი ფინალისგან განსხვავებით (1993 და 1998), პრინცი ალბერტისგან მან სანუგეშო კი არა, მთავარი ჯილდო მიიღო.

| ჰილტონ ჰედ აილენდი. FAMILY CIRCLE CUP. მწვანე თიხნარი. საპრიზო 1 მილიონი $ |
|---|
| მეოთხედფინალი: **მარი პირსი** (1, საფრანგეთი) — ელენა დოკიჩი (ავსტრალია) 6:3, 6:1; **კონჩიტა მარტინესი** (2, ესპანეთი) — იანა ნეიდლი (კანადა) 6:2, 6:1; **მონიკა სელეში** (4, აშშ) — რუქსანდრა დრაგომირი (11, რუმინეთი) 6:4, 6:1; **არანჩა სანჩეს-ვიკარიო** (4, ესპანეთი) — ამანდა კუტცერი (8, სამხრეთ აფრიკა) 7:6 (14:12), 3:6, 6:2. |
| ნახევარფინალი: **პირსი** — სელეში 6:1, 6:1; **სანჩეს-ვიკარიო** — მარტინესი 7:5, 7:5. |
| ფინალი: **პირსი** — სანჩეს-ვიკარიო 6:1, 6:0. |

ჰილტონ ჰედ აილენდში უკანასკნელად გამართული დიაცთა პრესტიჟული პირველობა (გაისად ტურნირი ჩარლტონში გადაბარგდება) მარი პირსის სრული უპირატესობით გამოირჩეოდა.

მოწოდების სიჩქარის პირადი რეკორდის გარდა (184 კმ/სთ), ფრანგმა ლამაზმანმა ტურნირის რვაგზის ჩემპიონის, ლეგენდარული კრის ევერტის ძველი მიღწევაც გააუმჯობესა — 5 მატჩში მხოლოდ 12 გეიმი წააგო.

განსაკუთრებით შესამჩნევი პირსის უპირატესობა ნახევარფინალსა და ფინალში გახლდათ, როდესაც მან ზედიზედ ორი უხერხული მეტოქე, მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგნები — მონიკა სელეში და არანჩა სანჩეს-ვიკარიო გაანადგურა.

„დღესდღეობით მარი, უბრალოდ, გაცილებით უკეთესად თამაშობს“ — ხელები გაასავსავა სელეშმა. „არასდროს მინახავს, მას ასე სტაბილურად და ამასთან, მძლავრად ეთამაშოს. მარი პირად ცხოვრებაში ძალიან ბედნიერია და ეტყობა, ეს ეხმარება“ — ეს სანჩეს-ვიკარიოს სიტყვებია.

მართლაც, ჯანიანი ფრანგის ცხოვრებაში ბოლო თვეებში ბევრი რამ შეიცვალა უკეთესობისკენ: ჯერ ზამთარში თავის შერეკილ და უჟმურ მამას, ჯიმს შეურიგდა, რამდენიმე კვირის წინ მწვრთნელად საკუთარი ძმა, დევიდი აიყვანა, შესანიშნავი ურთიერთობა აქვს საქმროსთან, ბეისბოლის მულატ ვარსკვლავ რობერტო ალომართან. სადღაც გაქრა პირსისთვის დამახასიათებელი მუდმივად უჟმური გამომეტყველება, ენის უაზროდ გარეთ გადმოგდება თუ მეტოქეთა გამაღიზიანებელი სხვა ჩვევები.

„არასოდეს იცი, პირველ წრეში წააგებ თუ ყველას გადაუვლი, ეს ცოტა იღბალზეცაა დამოკიდებული. მთავარია, ყურადღება არ გაგეფანტოს და ყოველთვის ბოლომდე იბრძოლო. ამ ბოლო ხანს კორტზე უფრო თავისუფლად და ბედნიერად ვგრძნობ თავს, შეიძლება იმიტომაც, რომ ცხოვრებაში არაფერს ვუჩივი“ — აღნიშნა მარიმ, რომელმაც თავის საბანკო ანგარიშს 166 ათასი დოლარი შეჰმატა.

**ავთანდილ სვანიძე**

REUTERS



მარი პირსი



# ვაი პარაგ[illegible]

## საფრანგეთში ფრანგებმა იყვინჩილეს

საქართველოს ჭაბუკ მორაგბეთა ნაკრებმა, საფრანგეთში დასრულებულ მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხე ტურში პარაგვაელები 11:10 დაამარცხეს და B ჯგუფში მეხუთე ადგილი ირგუნეს. ფინალში კი სამოამ კორეელებს 56:14 მოუგო. მესამე ადგილზე რუსები გავიდნენ, მათ ტონგელები 21:15 დაამარცხეს. B ჯგუფში ადგილები საბოლოოდ ასე განაწილდა:

1. სამოა; 2. კორეა; 3. რუსეთი; 4. ტონგა; 5. საქართველო; 6. პარაგვაი; 7. პორტუგალია; 8. ჩეხეთი; 9. პოლონეთი; 10. უკრაინა; 11. ლიტვა; 12. გერმანია; 13. ტუნისი; 14. მაროკო; 15. ჰოლანდია; 16. მადაგასკარი.

მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული კი ფრანგმა ჭაბუკებმა მოიპოვეს. მათ ფინალურ შეხვედრაში ავსტრალიის ნაკრები დააჩოქეს 14:0. ეს გამარჯვება ერთგვარი რევანშია იმ მარცხისთვის, რომელიც „მამლებმა“ შარშანწინდელ მსოფლიოს თასის ფინალში იწვნიეს მწვანე კონტინენტის წარმომადგენელთაგან.

ახალზელანდიელებმა მე-3 ადგილისათვის ბრძოლაში უელსს სძლიეს 34:8 და ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრეს.

**ზაზა ბენიძე**

### RUGBY SUPER 12 — ზე 12. მეცხრე ტური

20 აპრილი

**დანიდინი (ახალი ზელანდია) 38**
**ჰამილტონი (ახალი ზელანდია) 6**

21 აპრილი

**კანბერა (ავსტრალია) 47**
**ველინგტონი (ახალი ზელანდია) 28**

22 აპრილი

**ოკლენდი (ახალი ზელანდია) 54**
**პრეტორია (სამხრეთ აფრიკა) 11**

**დურბანი (სამხრეთ აფრიკა) 13**
**ბრისბენი (ავსტრალია) 24**

**იოჰანესბურგი (სამხრეთ აფრიკა) 54**
**კრაისტჩერჩი (ახალი ზელანდია) 31**

*კეიპტაუნი (სამხრეთ აფრიკა) და სიდნეი (ავსტრალია) ისვენებდნენ*



# ვაშა, ლესოტოს!

ამ წერილის მთავარი გმირები პატარა ქვეყნის შვილები არიან, რომელსაც ოთხივე მხარეს ერთი და იგივე მეზობლის მიწები ესაზღვრება. სამხრეთ აფრიკის შუაგულში მოკალათებული ლესოტოს ხალხს (მილიონნახევრამდე ზანგი და ორიოდე თეთრკანიანი) ლაღი სირბილი ოდითგანვე ჰყვარებია, მით უფრო, გრძელ დისტანციებზე და თუ აქამდე მსოფლიოს სარბიელებზე მაინცდამაინც თავბრუდამხვევი წარმატებები არ ჰქონიათ, ეს ცალკე საუბრის თემაა. ისე კი, ადრე თუ გვიან საქართველოს ნახევრისტოლა ქვეყნის მკვიდრთა სარბენი ტალანტი აუცილებლად უნდა გაფურჩქნულიყო და კვირას, ბელგრადში ამის მომსწრენი შევიქენით. არადა, იქვე იყვნენ კენიელები, სამარათონე მსოფლიოს მმართველი კასტის რამდენიმე ფრიად ავტორიტეტული წევრი და საპრიზო 15 ათასი ამერიკული დოლარის უპირველეს პოტენციურ მფლობელებად მათ მიიჩნევდნენ, თუმც სხვაგვარად მოხდა და გამარჯვებას ვინ ჩივის, შუააფრიკელებს საპრიზო ადგილიც სანატრელი გაუხდათ. პირველი ლესოტოელი თაბისო მოქალი იყო, რომელმაც მთელი გზა ულაყივით თანაბარ ტემპში გაირბინა და უახლოეს მდევარს თორმეტი წამი მოუგო. ის უახლოესი მდევარიც ლესოტოელი კაცი გამოდგა, მესამე ადგილი გამარჯვებულთა მეზობელმა დაიკავა და მერე კი ათეულის ბოლომდე სულ კენიელები ჩამწკრივდნენ, მაგრამ ამით რა ხეირი...

ფული არაა ყველაფერი და მოქალიმ რომ დამატებით 1000-დოლარიანი პრემია მიიღო, მხოლოდ იმიტომ აღვნიშნავთ, რომ მან იგი გზის 36-ე კილომეტრზე „ფილიპიდესის ჭიშკართან“ ყველაზე ჩქარა მირბენისთვის დაიმსახურა — ფილიპედესი ისტორიაში პირველი მარათონის გამრბენი გახლავთ, აი ფინიშზე გული რომ გაუსკდა.

**დავით გულუა**

# კომისარ ქურიძის აღსარება: არ უნდა დამერტყა

გიორგი ბიკაშვილი ბათუმიდან

მშვენიერი ამინდია ბათუმში, უკეთესს ვერ ინატრებ. არ იფიქროთ, სათქმელი არაფერი აქვს და ამინდზეც იმიტომ ჩამოაგდო სიტყვაო, მე სულ სხვა ამინდზე მოგახსენებთ, საკალათბურთო ამინდზე თორემ, მოსაყოლის მეტი რაა.

ვინმე აქეთ გამომგზავრებას თუ აპირებს, არ მსურს, შეცდომაში შევიყვანო და ვალდებული ვარ, ალალად ვთქვა: ისე, ამინდიც კარგია, მზიანი, ამ ზღვისპირა ქალაქში ამ უქმეებზე ციდან წვეთიც არ ჩამოვარდნილა.

ერთის თქმაც შემიძლია — აქ ჩამომსვლელი ნამდვილად არ წააგებს, თუ, რა თქმა უნდა, ავადმყოფურად აზარტული არაა. ბათუმში ახლა კალათბურთი დუღს და გადადუღს, ისე რომ, ჟინსაც მოგიკლავს და თავსაც შეგაქცევინებს.

ქალაქიდან ოდნავ მოშორებით, აქაურები ბათუმგორას რომ ეძახიან, სასტუმრო „თანამგზავრია“ გაშენებული, ბათუმის სტუმარი საკალათბურთო კლუბები ისეთ ადგილზე დააბინავეს, საიდანაც მთელი ქალაქი ხელის გულივით ჩანს, ხუთ გუნდს ოთხსართულიან სასტუმროს სამი სართული სრულად უჭირავს. დღეში სამჯერ თავთავიანთ დროს კვება ეკუთვნით და, რაღა თქმა უნდა, ყველას თავისი ავტობუსიც ემსახურება, რაც კლუბებს გადაადგილების პრობლემას უხსნის. კაცმა რომ თქვას, ბევრიც სადა აქვთ სასიარულო, დარბაზამდე და უკან, სპორტული რეჟიმი მეტის საშუალებას არ იძლევა. ფიროსმანის ქუჩამდე კი, სადაც საკალათბურთო დარბაზი მდებარეობს, ასე ათი-თხუთმეტი წუთის გზაა.

ცალკეა მსაჯთა კორპუსი, ისინი კალათბურთელებისგან იზოლირებულნი არიან. მათ სასტუმრო „ლოტოსი“ გამოუყვეს საცხოვრებლად. თავად ბათუმის „ბასკო“ კი ჩაქვში, „ოაზისში“ არის დაბანაკებული.

**საქართველოს ჩემპიონატი — 6 ტური**

ბათუმი. 22 აპრილი

**სდასუ 62:73 სტუ**

I ტაიმი 34:34

**სდასუ:** ხოშტარია (13), გ. ჩხეიძე (11), უძილაური (20), ლ. აბულაძე, მაჭარაძე (6); ნ. ნოზაძე, არჩვაძე (5), გ. ნაცვლიშვილი (7)

**სტუ:** თორთლაძე (20), ტულუში, ჩუბინიძე (15), ორმოცაძე (9), ოთიურიძე (2); კორძაძე (4), სულაძე (2), ლოსაბერიძე (3), მინაშვილი (8), მიქაძე (10)

**მსაჯები:** მურმან ქურიძე, ზაზა მაჩალაძე

**კომისარი:** თენგიზ ქიქოძე

**საქართველოს ჩემპიონატი — 6 ტური**

ბათუმი. 22 აპრილი

**ვითა 62:75 აზოტი**

I ტაიმი 32:45

**ვითა:** უსტიაშვილი (3), ტურაშვილი (7), შანიძე (7), კოკოლიშვილი (25), ახალკაცი (10); გ. გაგნიძე (10), ქევხიშვილი

**აზოტი:** ა. ჟღენტი (9), გაბისონია (6), გოგობერიშვილი (26), ბაბიაშვილი (11), მ. ბერუაშვილი (21); გოგოლაძე (1), წიკლაური (1), ჯიმშელეიშვილი

**მსაჯები:** ზურაბ აბაშიძე, დავით ბერეკაშვილი

**კომისარი:** როლანდ ხომერიკი

**საქართველოს ჩემპიონატი — 6 ტური**

ბათუმი. 22 აპრილი

**მაკაბი 64:84 ბასკო**

I ტაიმი 28:42

**მაკაბი:** დ. ბერიშვილი (16), ი. ბერიშვილი (11), ტალაბაძე (13), ფერიაშვილი (2), შენგელია (14); მჭედლიშვილი (4), ბ. ნოზაძე (4), შერეზედაშვილი, კრიხელი, ზ. ჩაჩუა

**ბასკო:** აბრამიძე (11), ბელიაევი (7), ბეჟანიშვილი (6), ქარაბაკი (16), ვ. კილაძე (15); ბერია, მაისურაძე (5), კვაჭაძე (2), კეშელავა (6), არხიპოვი (7), ჭეიშვილი (8), დავითულიანი (1)

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე

**კომისარი:** მურმან ქურიძე

დარბაზი — აი, ქართული კალათბურთის ნამდვილი ოაზისი. იქ ყველაფერი იდეალურადაა მოწყობილი, თავად ორი თვის წინ გახლდით ბათუმში და იმის მერეც წარმოუდგენლად ბევრი რამ შეცვლილა. ცხადია, უკეთესობისკენ.

შეჯიბრების ორგანიზატორებმა თამაშების დაწყების დრო ნახევარი საათით ადრე გადაწიეს. შეიკვეცა შეხვედრების შორის დროც. ყოველივე ეს იმიტომ გაკეთდა, რომ საქართველოს ტელევიზიის პირველ არხს მატჩების ტრანსლაციის საშუალება მისცემოდა. კალათბურთისთვის გამოყოფილი საეთერო დროც ამიტომ დაამთხვიეს თამაშებისას. ცნობისათვის, ადგილობრივი ტელევიზია ყოველ დღე სამივე შეხვედრის რეპორტაჟს გადმოსცემს. გუნდების უმეტესობაც ნამატჩევს სასტუმროში დაბრუნებას ამჯობინებს ხოლმე. ასე, თან ნებივრობენ და კალათბურთსაც უყურებენ.

სიმართლე გითხრათ, შაბათის სამივე თამაში ძალიან მოსაწყენი გამოდგა. მეტნაკლებად „ვითა“ — „აზოტის“ დაპირისპირება ინარჩუნებდა ინტრიგას, თუმც ეს მატჩი ისე დამთავრდა, ვერაფრით იტყოდი, ჩემპიონვიცე-ჩემპიონის პაექრობააო. წლეულს „ვითამ“ წაგებას კი უხშირა, მაგრამ დანებებული ჩემპიონი ძნელად თუ ეხსომება ვინმეს, „აზოტთან“ კი „ვითამ“ სირენამდე თითქმის სამი წუთით ადრე დაყარა ფარ-ხმალი, მეტოქის კალათისკენ ბოლოს აღარც იყურებოდა.

ჩემპიონმა თავიდანვე ვერააწყო თამაში. შეტევაში, ასე თუ ისე, რაღაც მაინც გამოსდიოდა, აი, დაცვაში ქმედება კი ვერაფრით მოაწესრიგა. დებიუტშივე ათი ქულით ჩამორჩენილ „ვითას“ მწვრთნელმა გელა წულაძემ წუთშესვენება რომ ითხოვა, რა დიდი მიხვედრა სჭირდება, გოგობერიშვილის წინააღმდეგ დაცვის გამკაცრება მოსთხოვა შეგირდებს, მაგრამ „აზოტს“ ლიდერი თავისას არც ამის შემდეგ იშლიდა და მისმა თავგამოდებამ ლამის ხელიც ჩააქნევინა საინტერესო თამაშის მომლოდინს გულშემატკივარს. ტაიმის ბოლო „ვითამ“ ზონური დაცვის შეთანხმებას მოანდომა, ამასობაში კი ოთარ ხმელიძის გუნდი 16 ქულითაც გაიჭრა წინ — 41:25. ვითელთაგან ნუგზარ კოკოლიშვილი ინდომებდა ძალიან, მაგრამ სანამ უკანა ხაზიც არ გამოერკვა, მისი ჯაფა არ დაფასდა.

გულში იქნებ ზეიმობდნენ კიდეც რუსთაველები, რომ სწორედ მაშინ გამოაჩინა კლანჭები ჩემპიონმა. თავის გამარჯვებაში დაჯერებულ „აზოტს“ „ვითამ“ სწრაფი პირველი შეტევებით უხრვალიტა, ერთხანს თავბრუც დაასხა მეტოქეს და შანიძის გარღვევის შემდეგ სულაც ხუთ ქულამდე შეამცირა ჩამორჩენა. რომ არა გოგობერიშვილი, კაცმა არ იცის, რა მოხდებოდა: რამაზმა ისეთი პასები ურიგა პარტნიორებს, ამის არგამოყენება საცოდაობა იქნებოდა. იქიდან ხმელიძემაც დაუცაცხანა ბიჭებს და მათაც იმდენი ქნეს, ბოლო ხუთი წუთი ბურთი არ ჩააგდებინეს ჩემპიონს.

სტუდენტური დერბი, სდასუ-სტუ, იქნებ მეტად დაძაბულიც იყო, მაგრამ თამაში, როგორც ასეთი, არაფრად ვარგოდა. ორივე მხარე იმდენს სცოდავდა, თანაც ისეთ ელემენტარულ სიტუაციებში, რომ არ ეკადრებოდათ. ეტყობოდა, რომ გუნდები სათამაშო პრაქტიკას მოკლებულნი იყვნენ. ცოდვა გამხელილი სჯობს და ამ შეხვედრის შინაარსზე ტაბლოს ინფორმატორებმაც იქონიეს გავლენა, მათ თავიანთი ხარვეზები ჰქონდათ მუშაობაში და სანამ სიტუაციას ალღო აუღეს, რამდენჯერმე შეფერხდა მატჩი. ამით ქვეყანა არ დაქცეულა, უბრალოდ, ამ და სხვა მიზეზთა გამო მეტისმეტად მოიწყინა ქომაგობამ.

ასეა თუ ისე პირველ ტაიმში ვერც ერთმა მოახერხა უპირატესობის მოპოვება, სტუ ფარზე სჯობნიდა მეტოქეს, სდასუ — თამაშის ორგანიზებაში.

დაიწყო მეორე ნახევარი და შოთა უძილაურმა ჩააგდო სამიანი, მაგრამ მომდევნო წუთნახევარი-წუთის განმავლობაში სდასუ-მ ქულაც ვერ აიღო, იმდენად შეუვალი გახდა ტექნიკოსთა დაცვა. ნუგზარ ჭეიშვილის სამწყსომ ეს მონაკვეთი არც მეტი, არც ნაკლები 15:0 მოიგო და მატჩის ბედიც აქ გადაწყვიტა. ერთხანს სტუ 18 ქულითაც მოსწყდა მეტოქეს, სდასუ-მ კი ყველაზე მეტი ის შეძლო, რომ ათ ქულამდე მიუახლოვდა.

„მაკაბიმ“ მხოლოდ ათ წუთს მოახერხა გათამაშების ლიდერ „ბასკოსთან“ გაძალიანება, მერე და მერე ბათუმელთა უპირატესობა თვალსაჩინო გახდა, რაც ნელ-ნელა ანგარიშზეც აისახა. მოწინააღმდეგის ფარქვეშ შეღწევა ძალიან უჭირდა „მაკაბის“, ამიტომაც თამაში უკანა ხაზში გამწესებულ ტყუპ ბერიშვილებზე ააგეს მწვრთნელებმა. „ბასკოს“ დამრიგებელმა ზურაბ ტომარაძემ ეს რომ იგუმანა, გადაწყვიტა, დასაწყისშივე ჩაეხშო მეტოქის შეტევები და საკუთარ ნახევარზევე მკაცრი მეთვალყურეობა დაუწესა ბერიშვილებს. ამით „მაკაბის“ ყველა გზა მოეჭრა...

ოთხეულში ადგილდაბევებულ „ბასკოსა“ და „აზოტს“ კვირას სტუც შეუერთდა. სტუდენტურმა გუნდმა ბოლო წამებზელა გამოსტაცა გამარჯვება შვიდგზის ჩემპიონ „ვითას“, მისთვისაც და სდასუ-სთვისაც მიუწვდომელი შეიქნა და ოფიციალურად გაიფორმა პლეი ოფის საგზური. სამაგიეროდ, „მაკაბი“ გამოეთხოვა პლეი ოფზე ოცნებას, ამ გუნდს ყველა იმედი რუსთავის „აზოტთან“ წაგებამ დაუსამარა.

ბევრი იჭიდავა და იჯაჯგურა „მაკაბიმ“, თუმც რუსთაველი კლუბის წინააღმდეგ მაინც ვერაფერს გახდა. არადა, ვიცე-ჩემპიონის ძლევა ჰაერივით სჭირდებოდა, მართალია, თეორიული, მაგრამ მაინც ექნებოდა ელიტარულ ოთხეულში შეღწევის შანსი. ერთი სიტყვით, უეჭველად უნდა მოეგო.

„მაკაბის“ ბედი იქნებ სულაც წინა დღეს გადაწყდა, როცა „ბასკოსთან“ შეხვედრისას ფერიაშვილი და ნოზაძე დაშავდნენ. ეს, ცხადია, დიდი დანაკლისი იყო.

მეცხრე ეროვნულში „აზოტს“ ორჯერ გამამწარებელმა „მაკაბიმ“ მოშხდურს თავიდანვე ზონური დაცვა შეაგება. ჯერ ვიტყვი, რომ ეს მოულოდნელი იყო „აზოტისთვის“, თუმც ნაღდია, რომ მეტოქის დაცვითი თამაშის ამგვარმა მეთოდმა არეულობა შეიტანა ხმელიძის გუნდის რიგებში.

ხმელიძემ თავიდან ოდნავ სახეცვლილი ხუთეული განალაგა მოედანზე. იგივე ითქმოდა „მაკაბის“ ძირითადზეც, თუმც ეს უფრო იძულებითი ნაბიჯი გახლდათ. ფეხმტკივანი ფერიაშვილის ადგილი ხუთეულში გიგი მჭედლიშვილმა დაიკავა, რომელიც საწყის წუთებზევე ორივე გუნდის შემადგენლობაში გამოირჩა. დაცვაში მან მოწინააღმდეგეს სათარეშო სივრცე არ დაანება, სწრაფად ერთვებოდა შეტევაშიც და „მაკაბის“ სადებიუტო რვა ქულიდან ექვსი თავად მოინაგრა. ხოლო როცა დავით ბერიშვილმა ზედიზედ ხუთი ქულა მიითვალა, „მაკაბის“ უპირატესობამ თორმეტ ქულას უწია — 17:5.

ამის შემხედვარე ხმელიძემ შემადგენლობის ცვლას მიჰყო ხელი, თუმც ვითარება მაინც ვერ გამოსაწორა და სულ მალე წუთშესვენების აუცილებლობის წინაშე აღმოჩნდა. ეს არა და მისმა ნაფიქრმა მაშინ გამოიღო შედეგი, როცა ინერტულად მოთამაშე გოგობერიშვიი ჯერ შეცვალა, რამდენიმე წუთში კი უკან დააბრუნა. „აზოტის“ დასვენებული ლიდერი რისხვად დაატყდა თავს „მაკაბის“, ორწუთიან მონაკვეთში გოგობერიშვილმა შვიდი ქულა გააკეთა, მერე, სამიანიც რომ ჩააგყო, მატჩში პირველად დააწინაურა ვიცე-ჩემპიონი.

**საქართველოს ჩემპიონატი — 7 ტური**

ბათუმი. 23 აპრილი

**აზოტი 82:67 მაკაბი**

I ტაიმი 38:31

**აზოტი:** ა. ჟღენტი (7), გაბისონია (6), გოგობერიშვილი (26), გოგოლაძე (4), მ. ბერუაშვილი (6); ბაბიაშვილი (17), ლ. ჩაჩუა (3), დანელიანი, წიკლაური (13), ა. ბოისა, ჯიმშელეიშვილი

**მაკაბი:** დ. ბერიშვილი (12), ი. ბერიშვილი (6), ტალაბაძე (6), მჭედლიშვილი (22), შენგელია (18); ქოქოსაძე (3), კრიხელი

**მსაჯები:** მურმან ქურიძე, დავით ბერეკაშვილი

**კომისარი:** თენგიზ ქიქოძე

**საქართველოს ჩემპიონატი — 7 ტური**

ბათუმი. 23 აპრილი

**სტუ 75:73 ვითა**

I ტაიმი 32:41

**სტუ:** თორთლაძე (14), ტულუში, ჩუბინიძე (2), ორმოცაძე (20), ოთიურიძე (7); კორძაძე, ლოსაბერიძე (14), მინაშვილი (14), მიქაძე (4)

**ვითა:** უსტიაშვილი (3), ტურაშვილი (19), შანიძე (11), კოკოლიშვილი (17), ახალკაცი (6); გ. გაგნიძე (15), ქევხიშვილი (2)

**მსაჯები:** ზურაბ აბაშიძე, ზაზა მაჩალაძე

**კოსიმარი:** მურმან ქურიძე

**საქართველოს ჩემპიონატი — 7 ტური**

ბათუმი. 23 აპრილი

**ბასკო 77:57 სდასუ**

I ტაიმი 46:22

**ბასკო:** აბრამიძე (8), ბელიაევი, ბეჟანიშვილი (15), ქარაბაკი (19), ვ. კილაძე (3); ბერია, მაისურაძე (15), კვაჭაძე (3), კეშელავა, არხიპოვი (8), ჭეიშვილი (4), დავითულიანი (2)

**სდასუ:** არჩვაძე (7), ხოშტარია (15), უძილაური (13), გ. ნაცვლიშვილი (4), მაჭარაძე (2), გვრიტიშვილი (2), ნ. ნოზაძე, ლ. აბულაძე (12), სუხიშვილი (2)

**მსაჯები:** დავით ბერეკაშვილი, მაკა კუპატაძე

**კომისარი:** როლანდ ხომერიკი

შეუცვლელად მოთამაშე „მაკაბის“ მეორე ტაიმში აშკარად დაღლა დაეტყო და ზურგი მოუშიშვლდა. თავის მხრივ, აზოტელებმაც მიუშვეს დაცვა და მეტად გახსნილი თამაში გაჩაღდა. ამით რუსთაველები უფრო ხეირობდნენ და მატჩის ბედიც მალევე გადაწყვიტეს თავიანთ სასარგებლოდ. ამის შემდეგ ხმელიძემ წამყვან კალათბურთელებს დასვენების საშუალება მისცა და „აზოტმაც“ მეორე ხუთეულით დაასრულა შეხვედრა. გულში, უკვე, ალბათ, „ბასკოსთან“ შეხვედრაზე ფიქრობდნენ ვიცე-ჩემპიონები.

კვირადღის მეორე მატჩი „ვითა“ — სტუ, დანარჩენი შეხვედრებისგან აშკარად გამოირჩა. იგი უაღრესაცდ დაძაბული იყო და მეტისმეტად დრამატულადაც დასრულდა. როგორც მსგავს სიტუაციებში ხდება-ხოლმე, ვნებათაღელვის ეპიცენტრიც შეიცვალა. დამარცხებულები ვითარებაში გარკვევას ითხოვდნენ, ოღონდ ისე, ზომიერების ფარგლებში. საქმე ის გახლავთ, რომ მსაჯმა მაჩალაძემ თორთლაძეზე ჯარიმა რომ დასტვინა, ამას საფინალო სირენის ხმაც დაერთო და საკითხავი ისღა იყო, ვითელ ახალკაცს ასროლინებდნენ თუ არა ორ საჯარიმოს. წამზომის მაკონტროლებელმა, ჯერ სირენა იყო და მერე არბიტრის სასტვენიო, ასე გადაწყვიტა...

ასე მშვიდობიანადაც არ ჩაუვლია ამ ამბავს. ყველა ყველა და, თვით მურმან ქურიძემ გაიქნია ხელი. ჩემპიონატის მთავარ მსაჯს და ამ შეხვედრის კომისარს მიზეზი რომ დავეკითხეთ, აი, რა გვიპასუხა: „წარმოდგენა არა მაქვს, ვინ იყო, გამაბრაზა პირდაპირ, სიტუაცია რომ ავუხსენი, მომდგა და ისეთი პირით მლანძღა, არავის უკადრებია. თავი ველარ შევიკავე. ისე, სიმართლე გითხრათ, დამნაშავე ვარ. რაც უნდა ყოფილიყო, ხელი არ უნდა დამერტყა.“

თამაშში თავიდან „ვითა“ უფრო მძლავრობდა, გამთამაშებელი დავით უსტიაშვილი კარგად აკონტროლებდა ბურთს და თანაგუნდელებსაც ხშირად ხელსაყრელ პოზიციაში ტოვებდა. ჩემპიონს შორიდან სროლებიც წაუვიდა, რასაც ვერ ვიტყვით მის მეტოქეზე. სტუდენტები საკმაოდ დალაგებულად უტევდნენ, მაგრამ გადამწყვეტ ფაზაში სცოდავდნენ, ქულებს ძირითადად ფარქვეშ ჯაჯგურის შედეგად აგროვებდნენ.

შუაგულ ტაიმში ტურაშვილის სამიანის შემდეგ „ვითა“ ათი ქულით — 23:13 დაწინაურდა. ტექნიკოსთა მწვრთნელმა ნუგზარ ჭეიშვილმა მოწინააღმდეგის თარეშის ასალაგმად ერთხან ზონური დაცვაც მოსინჯა, მაგრამ მალევე მოხსნა, რადგან გაცუდებული შეტევის შემდეგ მისი შეგირდები კოლექტიურად ვერ ბრუნდებოდნენ დაცვაში და მეტოქის არაერთი პირველი შეტევაც გაეპარათ. კარგად ჩაერთო თამაშში გიორგი გაგნიძე. ის, რომ „ვითამ“ პირველი ნახევარი ასე თუ ისე დამაჯერებლად მოიგო, მეტწილად სწორედ გაგნიძის დამსახურება გახლდათ.

შესვენების შემდეგ პირველმა კოკოლიშვილმა ჩააგდო სამიანი, თუმც მომდევნო მონაკვეთი 0:8 წააგო ჩემპიონმა და ჯერ თამაში გათანაბრდა, ორიოდ წუთის შემდეგ კი ანგარიშიც — 46:46. სტუ, როგორც იქნა, გაიქცა პირველ შეტევაში, „ვითას“ კი ნელნელა დაღლა დაეტყო.

მიუხედავად ამის, წულაძის გუნდი ცოცხალი თავით არ თმობდა მატჩის სადავეებს და დამთავრებამდე ორნახევარი წუთით ადრე 6 ქულითაც გაიჭრა წინ. აქ კი ყოფილი ვითელი, ქვეყნის შვიდგზის ჩემპიონი ამროსი ორმოცაძე აფეთქდა. მან მეტისმეტად მნიშვნელოვანი სამიანი ჩააგდო. მერე საშუალო მანძილიდანაც ივარგა და სხვაობა მინიმალური გახადა. სირენამდე 38 წამით ადრე კოკოლიშვილს ნასროლი რომ გაუცუდდა, სტუ-ს დარჩა ერთი სრულფასოვანი შეტევის განხორციელების შესაძლებლობა. ჭეიშვილის გუნდმა არ იჩქარა, ხანგრძლივად ათამაშა ბურთი და მისი ფლობისთვის განკუთვნილ უკანასკნელ წამს შეუტია — დავით თორთლაძის შორეული და ზუსტი სამიანი შოკისმომგვრელი გამოდგა „ვითასთვის“. ჩემპიონმა საპასუხო იერიში კი განახორციელა, მაგრამ გაგნიძეს მიზანმა უმტყუნა, ფარიდან ასხლეტილი ბურთი ახალკაცმა რომ მოიხელთა, ერთდროულად გაისმა სირენაც და მსაჯის სასტვენიც...

მრისხანე „ბასკოსთან“ მატჩში ლევან მოსეშვილს სდასუ-ს დიდი ძალა გამოაკლდა გიორგი ჩხეიძის სახით, რომელმაც წინა დღეს ფეხი გადაიბრუნა, ვერ გეტყვით, მისი ყოფნით რა შეიცვლებოდა, მაგრამ თავიდანვე გაცხადდა, რომ ბათუმელებთან სტუდენტები ბრძოლას არ აპირებდნენ. მოსეშვილმა გათვალა, რომ მეორე დღეს მის გუნდს უმნიშვნელოვანესი შეხვედრა ელოდა „ვითასთან“, სადაც სდასუ-ს ოთხეულში ყოფნა-არყოფნის საკითხი უნდა გარკვეულიყო. ამიტომაც მწვრთნელმა შეგირდები მეტოქეს არ შეაკლა. ცხადია, არც გაემტყუნებოდა.

საქართველოს ჩემპიონატი
6 ტური
ექვსეული

# საუკეთესო მოთამაშე

რამაზ გოგობერიშვილი
«აზოტი»



„ვითა“ — „აზოტის“ დაპირისპირება სანახაობრივად ისეთი ვერ გამოდგა, გულშემატკივარი რომ არის ჩვეული, თუმც ერთ ეპიზოდში შეხვედრა ძალიან დაიძაბა და მთელი მატჩის განმავლობაში წინ მყოფი „აზოტის“ გამარჯვებაც სათუო გახდა. აქ კი რამაზ გოგობერიშვილი ათამაშდა ოსტატურად. მისმა სწრაფმა გარღვევებმა და დროულმა პასებმა ჩემპიონი საბოლოოდ გატეხა.

**— „ვითასთან“ „აზოტს“ ძველი ანგარიშები აქვს... ეს რაიმე დამატებით სტიმულს ხომ არ გაძლევთ?**

— ჩემპიონის დამარცხება ყოველთვის საამაყოა, მიუხედავად იმისა, რომ დღეს ის „ვითა“ აღარაა, რაც იყო. კარგია, რომ მოვიგეთ, თუმცა ჩვენს ფინალურ ორთაბრძოლებში გამარჯვებას მაინც სულ სხვა ფასი ჰქონდა. აქ არაფერ შუაშია ძველი ანგარიშები, ამას „ვითას“ მაშინ მოვკითხავთ, თუ ისიც ფინალში გავა და ჩვენც.

**— როგორ ფიქრობთ, კარგად ითამაშა დღეს „აზოტმა“?**

— ჩვენც და მეტოქემაც ნაწილობრივ გამოვავლინეთ შესაძლებლობები. ამას თავისი მიზეზი აქვს. სათამაშო პრაქტიკა გვაკლდა, მიუჩვევლები ვართ ბათუმის დარბაზის ფარებს. რადგან საბოლოოდ ჩვენ გავიმარჯვეთ, გამოდის, რომ მოწინააღმდეგეზე ოდნავ უკეთესად მაინც გვითამაშია.

**— პირველ ტაიმში ერთხანს 16 ქულითაც იგებდით, თქვენი აზრით, რის ხარჯზე მოახერხა „ვითამ“ წამოწევა?**

— ეს ჩვენივე უყურადღებობის ბრალია. საერთოდ, ბოლო დროს სენად ექცა „აზოტს“, წინ გავიჭრებით თუ არა, თამაში უკვე მოგებული გვგონია და მოვეშვებით-ხოლმე. „ვითასთან“ კი საერთოდ არ შეიძლება მოდუნება, ადვილი შესაძლებელია, ამისთვის დავსჯილიყავით.

**— როდის ირწმუნეთ, რომ მეტოქე თქვენი მომგები აღარ იყო?**

— შეხვედრის დამთავრებამდე წუთ-ნახევრით ადრე. მანამდე ძალიან ვღელავდი.

**— თავად კმაყოფილი დარჩით საკუთარი თამაშით?**

— ვფიქრობ, ურიგოდ არ მითამაშია. ისე კი, დარწმუნებული ვარ, მეტიც შემიძლია და ამიტომაც ძალიან მომთხოვნი ვარ საკუთარი თავის მიმართ.

**— დარჩენილი მატჩებიდან რომელია „აზოტისთვის“ ყველაზე მნიშვნელოვანი?**

— „ბასკოსთან“ და სტუ-სთან შეხვედრებს კი, ცხადია, განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობთ. ბათუმელები თავიანთ მოედანზე დაუმარცხებელნი არიან და მათი ძლევა პრესტიჟულად მიმაჩნია. სტუ კი „აზოტის“ უშუალო მეტოქეა. სტუდენტებთან მოგება ხომ პლეი ოფში მოედნის უპირატესობას მოგვიტანს.

საქართველოს ჩემპიონატი
7 ტური
ექვსეული

# საუკეთესო მოთამაშე

დავით თორთლაძე
«სტუ»



დავით თორთლაძის რკინისებურმა ნერვებმა და მხოლოდ ლიდერთათვის დამახასიათებელმა თვისებებმა აგერ უკვე მერამდენედ იხსნა წლეულს მარცხისაგან სტუ. „ვითასთან“ შეხვედრაში დათომ ბოლო წამებზე ისეთი მნიშვნელობის სამიანი ჩააგდო, მარტო ამიტომ უნდა მივიჩნიოთ ტურის საუკეთესოდ. ამ შეხვედრის გმირმა — თორთლაძემ, გაშმაგებით მებრძოლ ჩემპიონს ორი ქულა არ დაანება და სტუ-საც თავის წილად მოუნაგრა გამარჯვება.

**— სტუ-სთვის ყველაზე კრიტიკულ სიტუაციაში მწვრთნელის დავალებით ესროლეთ თუ სათამაშო სიტუაციამ გიკარნახათ ამის აუცილებლობა?**

— იმ მომენტში მწვრთნელისგან კონკრეტული დავალება არ მიმიღია. მოვლენები იმდენად დინამიურად განვითარდა, რომ არც იყო მაგის დრო, თამაში ხომ პრაქტიკულად არც კი გაჩერებულა. უბრალოდ, ისე მოხდა, რომ სროლამ მე მომიწია და ძალიან გამიხარდა, იღბალმაც რომ გამიმართლა. სხვა მხრივ, მწვრთნელებისგანაც და თანაგუნდელებისგანაც დიდ ნდობას ვგრძნობ, რაც კიდევ უფრო მაგულიანებს.

**— მსგავს სიტუაციებში ბევრჯერ გიყოჩაღიათ, რაც თქვენს კარგ ფსიქოლოგიურ მზადყოფნაზე მიგვანიშნებს...**

— ფსიქოლოგიური ფაქტორი, ვფიქრობ, ერთ-ერთი გადამწყვეტია სპორტში, თუმც ვერ ვიტყვი, რომ ამ მხრივ საგანგებოდ ვემზადები. ერთი შეხედვით იქნებ მშვიდად გამოვიყურები-ხოლმე, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, შინაგანად ძალიან ვღელავ. გადამწყვეტ სროლასაც ემოციურად ვასრულებ. მიზანს, ალბათ, იმიტომ ვაღწევ, რომ იმ მომენტში ჩემში დადებითი ემოციები ჭარბობს, შინაგანი ხმა მკარნახობს, რომ ჩამგდები ვარ.

**— მთლიანობაში როგორ შეაფასებდით სტუ-ს თამაშს?**

— რაკი მოვიგეთ, ცუდი არ ეთქმის, თუმც ბედმაც გაგვიღიმა. ისე კი, გუნდი მაქსიმალური შესაძლებობებისგან ძალიან შორს იდგა.

**— მეტოქეზე რაღას იტყვით?**

— „ვითას“ გაცილებით უკეთესი თამაშები მინახავს, მაგრამ ვფიქრობ, ჩვენთანაც არ უთამაშია ურიგოდ. სტუ-ს ამ შეხვედრაში ბევრი ხარვეზი გამოუჩნდა, რომლებიც სწორედ მოწინააღმდეგის კარგმა თამაშმა წარმოაჩინა.

**— ამ სეზონში სტუ-ს მომავალი როგორღა გესახებათ?**

— გუნდი ეტაპობრივად ისახავს მიზნებს და ჯერჯერობით ყველაფერს აღწევს. იმედი მაქვს, ეს ასე გაგრძელდება და ფინალშიც გავაღწევთ, რაც, ჩემი აზრით, წარმატება იქნება. ისე, პროგნოზები ცხოვრებაში არ გამიკეთებია.

# ვითას შანსი შემოეცრიცა

საქართველოს ჩემპიონატი
8 ტური
ექვსეული

ბათუმი. 24 აპრილი

**მაკაბი 74:86 სტუ**

I ტაიმი 33:40

**მაკაბი:** დ. ბერიშვილი (18), ი. ბერიშვილი (12), ტალაბაძე (8), მჭედლიშვილი (11), შენგელია (25); ბ. ნოზაძე, ლასარეიშვილი, ქოქოსაძე

**სტუ:** თორთლაძე (17), მიქაძე (4), ჩუბინიძე (9), ორმოცაძე (9), კორძაძე (2); ტულუში, სულაძე (2), ოთიურიძე (17), ლოსაბერიძე (6), მინაშვილი (18)

**მსაჯები:** ზურაბ აბაშიძე, მაკა კუპატაძე

**კომისარი:** როლანდ ხომერიკი

საქართველოს ჩემპიონატი
8 ტური
ექვსეული

ბათუმი. 24 აპრილი

**აზოტი 59:75 ბასკო**

I ტაიმი 24:37

**აზოტი:** ა. ღლენტი (1), გაბისონია (9), გოგობერიშვილი (9), ბაბიაშვილი (10), მ. ბერუაშვილი (6); გოგოლაძე (5), დანელიანი, კოჭლამაზაშვილი, წიკლაური (13), ჯიმშელეიშვილი, ლ. ჩაჩუა (6)

**ბასკო:** აბრამიძე (6), ბელიაევი (3), ბეჟანიშვილი (17), ქარაბაკი (19), ვ. კილაძე (16); მაისურაძე, კეშელავა (2), არხიპოვი (3), ჭეიშვილი (8), დავითულიანი (16)

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

**კომისარი:** მურმან ქურიძე

საქართველოს ჩემპიონატი
8 ტური
ექვსეული

ბათუმი. 24 აპრილი

**ვითა 56:88 სდასუ**

I ტაიმი 23:39

**ვითა:** უსტიაშვილი (4), ტურაშვილი (7), კოკოლიშვილი (8), ჭირაქაძე (4), ახალკაცი (14); ტ. ვაშაკიძე, გ. გაგნიძე (16), პაპასკირი (2), შანიძე (1)

**სდასუ:** ხოშტარია (25), გ. ჩხეიძე (10), უძილაური (17), გ. ნაცვლიშვილი (19), მაქარაძე (1); გვრიტიშვილი, არჩვაძე (3), ლ. აბულაძე (1), სუხიშვილი

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

**კომისარი:** თენგიზ ქიქოძე

ექვსეულის ბათუმური წრის ყველაზე პრინციპულ შეხვედრად „ვითა“ — სდასუ მიიჩნეოდა. ათასგვარი ვარიანტი იყო დათვლილი, თუმც ბოლო-ბოლო საქმე ისე წავიდა, რომ ამ თამაშში გამარჯვებული თითქმის ინაღდებდა პლეი ოფის საგზურს. თითქმის იმიტომ, რომ დამარცხებულ შვიდგზის ჩემპიონ „ვითას“ ერთი ძალიან გაცრეცილი შანსი მაინც შემორჩა: უნდა მოიგოს დარჩენილი ორივე თამაში, სდასუ-მ კი ორივე წააგოს.

რატომ მიიყვანა ჩემპიონმა საქმე აქამდე? იმიტომ, რომ გუშინ გადამწყვეტი მატჩი წააგო უშუალო მოცილესთან. სდასუ-მ ყველაფერში აჯობა „ვითას“, სახელოვანი მეტოქე უკლებლივ ყველა კომპონენტში დაჯაბნა.

აი, აქ გამოჩნდა სდასუ-ს მწვრთნელ ლევან მოსეშვილის უნარი. წინა დღეს „ბასკოსთან“ მოსეშვილმა თვითონ დააყრევინა ფარხმალი შეგირდებს და „ვითასთან“ საბრძოლველად გაამზადა. იმ დროს, როცა თავად „ვითა“ ნაკლებმნიშვნელოვან მატჩში ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდს შეაკვდა.

„ვითას“ მწვრთნელმა გელა წულაძემ თავიდან ფეხმტკივანი შანიძე დაზოგა და მის ნაცვლად ძირითად ხუთეულში ახალგაზრდა ჭირაქაძე გაამწესა, დაცვაში კი გუნდი ზონურად განალაგა. სდასუ-მ პირიქით, პერსონალური მეურვეობა ირჩია, მეტოქის გამთამაშებელ დავით უსტიაშვილს გიორგი ჩხეიძე აედევნა, მსროლელ მამუკა ტურაშვილს კი ირაკლი ხოშტარია დაუდგა. ვითელ ნუგზარ კოკოლიშვილს თამაში რომ წაუვიდა და გუნდის საწყისი ექვსი ქულიდან ხუთი მოინაგრა, სდასუ-ს დამრიგებელმა ლევან მოსეშვილმა ასეთი გადაწყვეტილება მიიღო: იმ წუთებში ყველაზე აქტიურ ვითელს ხოშტარია მიამაგრა, ტურაშვილზე კი ახლა უძილაური გადავიდა.

ამ გადაადგილებების მიუხედავად შეხვედრის დებიუტი პირწმინდად მოიგო ჩემპიონმა. უსტიაშვილი ჩვეულად კარნახობდა პარტნიორებს თამაშის სცენარს, კომბინაციებსაც რიგიანად უძღვებოდა. სდასუ პირველად 0:6-ზე გამოერკვა, მას შემდეგ, რაც მოსეშვილმა შესაფერისი ადგილი მოუძებნა მოედანზე გიგი ნაცვლიშვილს. იგი მწვრთნელმა წინა ცენტრზე გაამწესა და ბურთის უფრო სწრაფი გათამაშება ბრძანა.

ამან მალევე მოიტანა შედეგი, „ვითას“ დაცვა დაიქსაქსა და შოთა მაჭარაძის ზუსტი სროლის შემდეგ ანგარიშიც გათანაბრდა — 8:8.

მოვლენებს წინ გავუსწრებ და გეტყვით: დარჩენილი დრო სტუდენტებმა კოშმარად უქციეს ჩემპიონს. თითქმის შეუვალი გახდა სდასუ-ს დაცვა, სტუდენტები დროულად აზღვევდნენ ერთმანეთს. არც შესაიევად მიიწევდნენ თავქუდმოგლეჯილნი და შესაძლებლობებს ბოლომდე იყენებდნენ.

გიორგი ჩხეიძემ არნახულად შეავიწროვა დავით უსტიაშვილი. ტურაშვილსა და კოკოლიშვილს სროლები არ წაუვიდათ, „ვითას“ ცენტრი გულივერ ახალკაცი კი შოთა მაჭარაძისა და გიგი ნაცვლიშვილის მარწუხებში ჩაიკარგა. „ვითა“ ვერც პირველ შეტევაში გაიქცა, ვერც ფარი მოიგო ჩემპიონმა და თითქმის ექვსი წუთი უქულოდ გაატარა. ამასობაში კი სდასუ ჯერ ათი ქულით დაწინაურდა, მერე კი — ოცითაც — 36:16.

„ვითას“ ყველანაირი მცდელობა — შემოეტრიალებინა თამაში — ამაო იყო. წულაძის გუნდი ინდივიდუალური ქმედებით ლამობდა ფონს გასვლას, რაც არაფრით გამოსდიოდა. მეორე ტაიმში კიდევ უფრო აგრესიული გახდა სდასუ, სულაც 25-ზე „გაყინა“ „ვითა“, იმ დროისთვის კი თავად 56 ქულა მოეგროვებინა. ყველა კითხვასაც აქ გაეცა პასუხი.

ჩემპიონობის უპირველესი ფავორიტები, „ბასკო“ და „აზოტი“ გუშინ ისე დაეძგერნენ ერთმანეთს, იქაურობა ზანზარებდა. კალათბურთი კი არა, ნამდვილი ომი გააჩაღეს გუნდებმა.

მეტოქეები დაცვაზე იყვნენ ორიენტირებულნი და თითოეული ქულის მოპოვებაც კი უაღრესად საძნელო საქმედ იქცა. ამ ჭაპანწყვეტაში მსაჯებსაც არანაკლები ჯაფა დაადგათ, მათი ესა თუ ის გადაწყვეტილება ხან ერთ მხრეს აღაშფოთებდა ხოლმე, ხან მეორეს. თამაშის სცენარიდან გამომდინარე ეს, შეიძლება ითქვას, ბუნებრივადაც აღიქმებოდა.

სასტარტო ვნებათაღელვამ რომ გადაიარა, კვლავაც თანაბარი თამაში გაგრძელდა. ბათუმელი მაყურებელი აშკარად მეტს ითხოვდა და მათი გულის საამებლად „ბასკოს“ მწვრთნელი ზურაბ ტომარაძე ათასგვარი გზების ძიებას შეუდგა. ზღვისპირელთა უპირატესობა მას შემდეგ გამოიკვეთა, როცა მოედანზე ალეკო დავითულიანი გამოჩნდა, იგი ვაკო ბეჟანიშვილთან ერთად საუკეთესო იყო თანაგუნდელებში. გარდა ამისა, დავითულიანმა ანდრეი ბელიაევთან ერთად წარმატებით გაართვა თავი რუსთაველთა ლიდერის, რამაზ გოგობერიშვილის განეიტრალებას. ეს უკანასკნელი, მართალია, ბევრს აქტიურობდა, მაგრამ ზემოხსენებული მეურვეობის გადამკიდე ნაკლებად შედეგიანი იყო.

ტაიმის ბოლოს „აზოტმა“ აშკარად დათმო ფარი. ამ მონაკვეთში „ბასკო“ ათი ქულით — 25:15 მოსწყდა მეტოქეს და მერეც, ბოლომდე სულ მდევრის როლში ამყოფა ვიცე-ჩემპიონი. მეორე ნახევარში „აზოტს“ ერთადერთხელ გაუჩნდა წამოწევის შანსი, თუმც ზაზა გაბისონიასა და ვაკო ბეჟანიშვილის წაკინკლავების შემდეგ თითქმის ხუთ წუთს რომ შეწყდა თამაში, ყველაფერი გაცხადდა, ნერვიულობა ხომ ყველაზე მეტად სწორედ „აზოტს“ ვნებს...

საქართველოს ჩემპიონატი
8 ტური
ექვსეული

# საუკეთესო მოთამაშე

გიორგი ჩხეიძე
«სდასუ»



შვიდგზის ჩემპიონ „ვითასთან“ სასიცოცხლო მნიშვნელობის შეხვედრაში საუკეთესოდ წარმოჩინდა სდასუ-ს უკანახაზელი გიორგი ჩხეიძე. ჯიჯომ სულ მხოლოდ 10 ქულა გააკეთა, მაგრამ დაცვაში ძალიან კარგად იმუშავა და ამოსუნთქვის საშუალება არ მისცა „ვითას“ გამთამაშებელსა და შეტევების წინამძღოლს დავით უსტიაშვილს. სტუსთან მატჩში მიღებული საკმაოდ მძიმე ტრავმის შემდეგ, ჩხეიძის ასეთი თამაშიც, მის შეუპოვრობასა და მებრძოლ ხასიათზე მიგვანიშნებს.

**— გიორგი, ორი დღე სიარულიც კი გიჭირდათ, „ვითასთან“ მატჩში კი თითქოს, არაფერიო...**

— მეც და ჩემი თანაგუნდელებიც გაოცებულები ვართ იმით, რაც ჩვენი გუნდის ექიმმა, ზურაბ იოსელიანმა გააკეთა. კოჭი ისეთი გასიებული მქონდა, რას წარმოვიდგენდი, თამაშს თუ შევძლებდი. მან კი მოახერხა და ამ პრინციპული თამაშისთვის ფეხზე დამაყენა. მადლობის მეტი რა მეთქმის.

**— მოელოდით სდასუ-ს ასეთ კარგ თამაშს?**

— ყოველ შემთხვევაში, ძალიან მონდომებულები ვიყავით. სხვა გზა არ იყო, უნდა მოგვეგო. თავიდან ექვს ქულას რომ ვაგებდით, ცოტა არ იყოს, შევშინდი, მაგრამ მერე ნაცვლიშვილის სამმა გარღვევამ დამიბრუნა რწმენა. ეს გადამწყვეტი მომენტი იყო, „ვითამ“ წუთშესვენება რომ ითხოვა, ჩვენმა მწვრთნელმა ლევან მოსეშვილმაც შეგვაგულიანა, მოგებული თამაშიაო.

**— თავად როდის ირწმუნეთ გამარჯვების?**

— 30:11 რომ გახდა ჩვენს სასარგებლოდ.

**— მიუხედავად ამისა, სდასუ წამითაც არ მოდუნებულა...**

— ამის გაკეთება როგორ შეიძლებოდა, „ვითასთან“ გვქონდა საქმე. შესვენებაზე მწვრთნელმა გვითხრა, ხუთ წუთს მაინც თუ შევინარჩუნებთ ამ სხვაობას, დამთავრებული ამბავიაო, თან დაგვარიგა, მეტოქეს სამიანებს ნუ ასროლინებთ.

**— პირადად თქვენ მატჩის წინ რა დაგავალათ მოსეშვილმა?**

— თამაშამდე არაერთხელ შევიკრიბეთ, მოსეშვილი ყველას სათითაოდ გვაძლევდა მითითებებს. მე მეუბნებოდა, კოკოლიშვილი უნდა დაკეტოო, მეც სწორედ მის წინააღმდეგ სათამაშოდ ვიყავი გამზადებული. მატჩის დაწყებამდე ორი-სამი წუთით ადრე მოსეშვილმა თავისთან მიხმო და მითხრა: ჯიჯო, შენ დღეს უსტიაშვილი უნდა დაიჭიროო. ეს ჩემთვის ცოტა მოულოდნელი იყო, მაგრამ...

**— როგორ ფიქრობთ, შეასრულეთ მწვრთნელის დავალება?**

— ეს სხვამ შეაფასოს.

**— მიგაჩნიათ, რომ უკვე პლეი ოფში ხართ?**

— ჯერ არა, რა იცი, რა ხდება. „მაკაბისთან“ იოლი თამაში სულაც არ გველის.

პლეი ოფი. პირველი წრე (სამ მოგებამდე)

# მელოუნმა სიეტლს სარეკორდო უთავაზა

22 აპრილი

| | |
|---|---|
| იუტა | 1 |
| სიეტლი | 0 |

**იუტა 104:93 სიეტლი**

იუტა: სტოქტონი (10 ქულა, 10 პასი), ჰორნაჩეკი (13 ქულა, 11 პასი), რასელი (8), მელოუნი (50 ქულა, 12 მოხსნა), პოლინაისი; ეისლი (10), ოსტერტაგი (7 ქულა, 10 მოხსნა, 5 დაფარება), ლუისი (4), გოლიამი (2), ვონი, პადჯეტი

სიეტლი: პეიტონი (24 ქულა, 11 მოხსნა, 6 პასი), ვილიამსი (23), ლუისი (4), ბორელი (6), გრანტი (6); ბერი (11), ბეიკერი (10), პატერსონი (7), მაკკოი (2), ფოსტერი

„სიეტლ სუპერსონიქსმა" წაგებით დაიწყო წლევანდელი პლეი ოფი. ამ ორი კვირის წინ ამერიკული ფეხბურთის თამაშისას დაშავებული ქართველი ლეგიონერი კი, როგორც ჩანს, ჯერაც ტრავმას იშუშებს — ვლადიმერ სტეფანია არ გამოჩენილა თორმეტკაციან შემადგენლობაში. ასე რომ, ნბა-ში მოთამაშე ჩვენი პირველი თანამემამულის საპლეიოფო დებიუტი არ შემდგარა. თუმც საეჭვოა, „სიეტლის" ყველაზე ტანმაღალი მოთამაშე, 213-სანტიმეტრიანი სტეფანია იმ დღეს თავისიანებს რაიმეში დახმარებოდა. 22 აპრილი ნამდვილად არ იყო „სონიქსის" დღე.

„ზებგერითთა" მწვრთნელმა პოლ ვესტფოლმა იმ ექსპერიმენტს მიმართა, რომელიც რეგულარული სეზონის მიწურულს განახორციელა. სასტარტო ხუთეულში კვლავ გამოჩნდნენ ბორელი, ვილიამსი და ლუისი, მაგრამ ვერ ვიტყვით, ამ ცვლილებამ ვესტფოლის გუნდს რაიმე დადებითი შედეგი მოუტანაო. ხსენებულ კალათბურთელებს პირველად მიეცათ საშუალება, პლეი ოფში დაემტკიცებინათ, რომ ძირითადებს არაფრით ჩამოუვარდებიან, მაგრამ ეს შანსი მხოლოდ შემონდ ვილიამსმა გამოიყენა. იმ დღეს იგი საუკეთესო იყო თავისიანებში გერი პეიტონთან ერთად. მართალი რომ ითქვას, ვერც ამ უკანასკნელმა გაიბრწყინა. „სონიქსის" ლიდერმა თავად კი დააგროვა ქულები, მაგრამ გუნდი არცთუ რიგიანად ათამაშა.

ყოველივე ამას თან დაერთო „ჯაზის" ბებერი ლიდერის, კარლ მელოუნის საუცხოო თამაში და ვესტფოლმაც „სიეტლში" თავისი მარცხიანი საპლეიოფო დებიუტის მიზეზი ამ კაცში უნდა ეძიოს. თუ მას მეორე წრეში გასვლა სურს, თავის ბიჭებს, უპირველეს ყოვლისა, „ფოსტალიონის" შეჩერება უნდა შეაძლებინოს. ეს კი სათქმელად უფრო ადვილია, ვიდრე შესასრულებლად. მელოუნს ამ ზაფხულს 37 წელი შეუსრულდება, მაგრამ მისი თამაშის დონეს ასაკი მხოლოდ დადებითად დაეტყო. მელოუნი მეთხუთმეტე წელია, პლეი ოფში თამაშობს და ახლა, როცა მისი ასაკის კალათბურთელთა აბსოლუტური უმრავლესობა თავისი სპორტული კარიერის ღრმა სიბერეშია, იგი რეკორდს რეკორდზე ამხობს. ამ ერთი კვირის წინ უბერებელმა კარლმა 30-ათასქულიან ზღვარს გადააბიჯა. ეს ხუმრობა არ გეგონოთ, ამგვარი გმირობა მხოლოდ უილტ ჩემბერლენს და ქარიმ აბდულ ჯაბარს ჩაუდენიათ. და აი, მელოუნმა წლევანდელი პლეი ოფის პირველსავე თამაშში „სიეტლს" 50 ქულა უთავაზა, რითაც პლეი ოფში თავისი და თავისი გუნდის რეკორდი დაამყარა და ამაში ვერც ვინ ბეიკერმა და ვერც დაცვის ოსტატმა ჰორას გრანტმა ვერ შეუშალეს ხელი.

22 აპრილი

| | |
|---|---|
| სან ანტონიო | 0 |
| ფინიქსი | 1 |

**სან ანტონიო 70:72 ფინიქსი**

სან ანტონიო: ელიოტი (15), ჯონსონი (14), უოლკერი (13 ქულა, 14 მოხსნა)

ფინიქსი: ჰარდევეი (17), რობინსონი (17), როჯერსი (15)

| | |
|---|---|
| მაიამი | 1 |
| დეტროიტი | 0 |

**მაიამი 95:85 დეტროიტი**

მაიამი: მაშბურნი (29), მურნინგი (20 ქულა, 9 მოხსნა, 9 დაფარება)

დეტროიტი: სტეკჰაუზი (23), ჰილი (13)

| | |
|---|---|
| შარლოტი | 0 |
| ფილადელფია | 1 |

**შარლოტი 82:92 ფილადელფია**

შარლოტი: კოულმენი (23 ქულა, 16 მოხსნა), მეისონი (14 ქულა, 15 მოხსნა), ჯონსი (14), ვესლი (14)

ფილადელფია: აივერსონი (40)

23 აპრილი

| | |
|---|---|
| ლეიკერსი | 1 |
| საკრამენტო | 0 |

**ლეიკერსი 117:107 საკრამენტო**

ლეიკერსი: ონილი (46 ქულა, 17 მოხსნა, 5 დაფარება), ბრაიანტი (23), რაისი (18)

საკრამენტო: ვებერი (28), ვილიამსი (20), დელკი (17)

| | |
|---|---|
| პორტლენდი | 1 |
| მინესოტა | 0 |

**პორტლენდი 91:88 მინესოტა**

პორტლენდი: პიპენი (28), სტუდემაიერი (18), სმიტი (17)

მინესოტა: სილი (23), ბრენდონი (17 ქულა, 12 პასი), გარნეტი (12 ქულა, 11 პასი, 10 მოხსნა)

| | |
|---|---|
| ინდიანა | 1 |
| მილუოკი | 0 |

**ინდიანა 88:85 მილუოკი**

ინდიანა: როუზი (26), მილერი (21), დევისი (12 ქულა, 17 მოხსნა)

მილუოკი: ალენი (28), კასელი (18)

| | |
|---|---|
| ნიუ იორკი | 1 |
| ტორონტო | 0 |

**ნიუ იორკი 92:88 ტორონტო**

ნიუ იორკი: სპრიუელი (21), ჰიუსტონი (21)

ტორონტო: მაკგრეიდი (25), კარტერი (16)

22 აპრილი, შაბათი, ავად გაუთენდათ სანანტონიელებს. მათმა ჯილამ, ჩემპიონმა გუნდმა, „ფინიქს სანზთან" შინ წააგო. იმ დღეს ჩემპიონებს ტიმ დანკანი აკლდათ და „სან ანტონიოს" ერთგულ ქომაგებს ის აშფოთებთ, რომ იგი ვერც მომდევნო შეხვედრაში დაეხმარება თავისიანებს. გულშემატკივართა გულისწყრომა კი იმდენადაა სამართლიანი, რომ „ფინიქსსაც" არ ჰყავდა თავისი ლიდერი — ჯეისონ კიდი, რომ აღარაფერი ვთქვათ მთელი სეზონით გამოთიშულ ტომ გულიოტაზე. მასპინძლებს იმედი ჰქონდათ, რომ დანკანის არყოფნით გამოწვეულ პრობლემებს დევიდ რობინსონი გადაჭრიდა, „ფინიქსს" ხომ ნორმალური ცენტრი არა ჰყავს, მაგრამ რობინსონს „სანზის" ფეხმარდმა ფორვარდებმა — როჯერსმა და კლიფ რობინსონმა ბლომად საჯარიმოები მიაღებინეს და „ადმირალიც" მეორე ნახევარში შეუმჩნეველი შეიქნა. მასზე უკეთ ისევ თირკმელგადანერგილი შონ ელიოტი ირჯებოდა.

სტუმრად იოლი გამარჯვება იზეიმა ალენ აივერსონის „ფილადელფიამ". თავად აივერსონს მოტეხილმა ფეხის თითმა და ნალრძობმა იდაყვმა ხელი ვერ შეუშალა, „შარლოტთან" 40 ქულა დაეგროვებინა. „ფილადელფიას" იმედმა ცუდად კი დაიწყო, თავისი პირველი ქულები მხოლოდ პირველი მეოთხედის მიწურულსღა მიითვალა სამქულიანით, მაგრამ მერე აიწყვიტა და მთელ თამაშში რაც სურდა, იმას უკეთებდა „შარლოტს". მესამე მეოთხედში ხომ სულ აიკლო მასპინძელთა დაცვა და 18 ქულა შეაწია თავისიანებს. ორმოცი ქულა აივერსონისთვის პლეი ოფის რეკორდია.

შაბათს მოთამაშე მეორე აღმოსავლურ წყვილში „მაიამიმ" კარგად ისარგებლა იმით, რომ „დეტროიტის" ლიდერი გრანტ ჰილი იმ დღეს თავის თავს არ ჰგავდა და სულ იოლად დასცა მეტოქე. ფართამპყრობელმა ალონზო მურნინგმა ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო შემტევ ჰილს ოთხჯერ (!) დაუფარა.

კვირამ მშვიდობიანად ჩაიარა მასპინძელთათვის. ყველა ფავორიტმა მოახერხა, სერიაში ანგარიში თავისი გამარჯვებით გაეხსნა.

შაკილ ონილი, რომელიც შვიდი წელია, ამაოდ ცდილობს, ჩემპიონის ოქროს ბეჭედი მოირგოს, ცოფიანივით ეკვეთა „საკრამენტოს" და ლამის მარტომ გადაყლაპა. გიგანტ შაკს ერთბაშად ორ მეურვესთან — კრის ვებერთან და ვლადე დივაცთან უწევდა გამკლავება. მანაც ბრწყინვალედ გაართვა საქმეს თავი, იუგოსლაველი სულ ათ ქულას დააჯერა და ორჯერაც დაუფარა. აი, ვებერთან და მის საშუალო მანძილიდან ზუსტ სროლებთან ონილი ვერას გახდა, მაგრამ ეს პრობლემა შეტევაში კარგი თამაშით გადაჭრა.

გაუჭირდა „პორტლენდს". „მინესოტა" იოლად არ თმობდა. მართალია, „მგლების" ბელად კევინ გარნეტს იმ დღეს სროლები არ წაუვიდა, მაგრამ სამაგიეროდ იგი ჭკვიანურად ანაწილებდა ფარქვეშ პასებს და სამმაგი დუბლიც კი მიითვალა. „პორტლენდს" გამარჯვება გამოცდილი სკოტი პიპენი ჭკვიანურმა თამაშმა მოუტანა. მთელი სეზონის განმავლობაში უფერულად მობურთავე პიპენმა ახლა აიწყვიტა და „მინესოტას" სეზონში ყველაზე მეტი, 28 ქულა ჩაუგდო.

ასევე დიდი ბრძოლა გადახდა თავს აღმოსავლეთის უპირველეს ფავორიტ „ინდიანას", რომელიც ზედიზედ მეორედ ხვდება პლეი ოფში „მილუოკის". ამ უკანასკნელმა შარშანდელი გამოცდილება გაითვალისწინა და ლარი ბერდის ბიჭებს ბლომად ოფლი აღვრევინა. სტუმრებს იქნებ ემარჯვათ კიდეც, „ინდიანას" ჯალენ როუზი რომ არ მოვლინებოდათ მხსნელად. როუზმა ბოლო მეოთხედის შუაში ზედიზედ სამი სამქულიანი ჩააგდო და ბოლო წამებზე ორი საჯარიმოც მიითვალა.

საყოველთაო ინტერესს იწვევდა „ტორონტოს" და მისი მთავარი იმედის, ყმაწვილ ვინს კარტერის საპლეიოფო დებიუტი. კანადურ გუნდს მთლიანობაში არაფერი უშავდა. „რეპტორზმა" ვიცე-ჩემპიონ „ნიუ იორკს" გვარიანი წინააღმდეგობა გაუწია. აი, კარტერს კი ეს დღე ალბათ დიდხანს გაჰყვება როგორც თავისი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე ცუდი მოგონება. ამის უმთავრესი მიზეზი ნიუიორკელი ლატრელ სპრიუელია. მის კლანჭებში მოქცეული კარტერი თავის გაჩენის დღეს წყევლიდა. მან 16 ქულა დააგროვა, რაც საშინელი შედეგი სულაც არაა, მაგრამ ამას ტორონტოელმა 20 სროლა მოანდომა და სულ თამაშიდან სამი (!) ჩააგდო.

**ირაკლი ფირაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა



REUTERS

*ბოლო წუთამდე არავინ უწყოდა, ითამაშებდა თუ არა გუშინ „ბარსელონა" „ატლეტიკოს" წინააღმდეგ. შევახსენებთ: ესპანეთის თასის ნახევარფინალის საპასუხო მატჩის წინ კატალონიელებს ცხრა ფეხბურთელი ჰყავდათ გაშვებული სანაკრებო შეხვედრებზე. კლუბმა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას მატჩის გადადება სთხოვა, მაგრამ უარი მიიღო.*

*ატლეტიკოელები მინდორზე გავიდნენ და მასპინძლებს დაელოდნენ. მალე ბარსელონელებიც გამოჩნდნენ, თუმცა... ხოსეპ გვარდიოლა (მარჯვნივ) მსაჯ მანუელ დიას ვეგასთან მივიდა და კლუბის გადაწყვეტილება ამცნო: ჩვენ არ ვითამაშებთ... „ბარსელონა" თასისთვის ბრძოლას გამოეთიშა და ჯარიმის გადახდაც მოუწევს.*

## გერმანია

მეორე ბუნდესლიგა

XXVIII ტური

**ქემნიცი 1:3 ზანქტ პაული**

ჰოკეი

## PLAY OFF

მერვედფინალი



REUTERS

სტივ ტომასის ამ გოლმა ტორონტოელებს სერიაში მესამედ გაამარჯვებინა

დასავლეთი

**სან ხოსე — სენტ ლუისი 3:3**

21 აპრილი

**სენტ ლუისი — სან ხოსე 5:3**

3:1 0:2 2:0

1:0 ნადი 4'04 (1); 2:0 მაკინისი 4'39 (1), 3:0 პერსონი 7'13 (1); 3:1 რიჩი 18'32 (3); 3:2 ფრიზენი 32'26 (1); 3:3 სტიუარტი 37'03 (1); 4:3 პრონგერი 43'34 (2); 5:3 იანგი 59'21 (2)

23 აპრილი

**სან ხოსე — სენტ ლუისი 2:6**

0:1 1:5 1:0

0:1 იანგი 12'31 (3); 0:2 იანგი 20'21 (4); 0:3 ჰეხტი 29'29 (4); 0:4 პრონგერი 31'42 (3); 0:5 ნეში 32'51 (1); 0:6 იანგი 34'22 (5); 1:6 ნოლანი 37'13 (5); 2:6 მარჩმენტი 56'00 (2)

**კოლორადო — ფინიქსი 4:1**

21 აპრილი

**კოლორადო — ფინიქსი 2:1**

0:0 1:1 1:0

0:1 რენიკი 32'31 (2); 1:1 ოზოლინში 38'25 (3); 2:1 ფორსბერგი 45'43 (1)

**დალასი — ედმონტონი 4:1**

21 აპრილი

**დალასი — ედმონტონი 3:2**

0:0 2:1 1:1

1:0 ლანგენბრუნერი 25'35 (1); 1:1 მარჩანტი 32'45 (1); 2:1 ჰეჩერი 34'12 (1); 2:2 დაუდი 41'07 (2); 3:2 ჰალი 54'58 (3)

აღმოსავლეთი

**ვაშინგტონი — პიტსბურგი 1:4**

21 აპრილი

**ვაშინგტონი — პიტსბურგი 1:2**

1:1 0:0 0:1

0:1 რაიტი 5'52 (2); 1:1 გონჩარი 10'01 (1); 1:2 იაგრი 47'56 (3)

**ტორონტო — ოტავა 3:2**

21 აპრილი

**ტორონტო — ოტავა 2:1**

0:0 0:1 1:0 1:0

0:1 ჟიუნო 24'36 (1); 1:1 ტომასი 55'30 (4); 2:1 ტომასი 74'47 (5)

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.opentext.org.ge/sarbieli